

178  
1983

ISSN 0132-598

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი

# საქართველო საბავშვო ჟურნალი



6 1983



# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს  
არჩევნების დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის მათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს უზღავანების ვადის  
გასვლასთან დაკავშირებით სსრ კავშირის კონსტიტუციის 90-ე მუხლისა და „სსრ  
კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-12  
მუხლის შესაბამისად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღმანს:


საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეთერთმეტე მოწვევის  
უმაღლესი საბჭოს არჩევნები დანიშნოს კვირას, 1984 წლის 4 მარტს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ი. ანდროპოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. მენთეაშაშვილი.**

მოსკოვი, კრემლი. 1983 წლის 16 დეკემბერი.





# საჭმომთა სამკრთაღი

№ 6

ნოემბერი  
დეკემბერი

1933 წელი

შურნალი გამომდის 1926 წლის 1 მარტიდან

საპარტევლოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, კროკუბატურისა და  
უმალღესი სასამართლოს მეცნიერულ-პრაქტიკული შურნალი

## შინაარსი

სამართალდაცვითი ორგანოები ახალი ამოცანების წინაშე	0
<u>კროფილაქტიკა — მთავარი მიმართულება</u>	
მ. ჩიკაძე — არასრულწლოვანთა დანაშაული: ამოცანები და კროკუბატორები	6
წ. კუხალაშვილი — კარტიული ორგანიზაციების ღვიძლი საქმე	14
<u>მეურნეობა და სამართალი</u>	
მ. მაისურაძე — სამეურნეო დავების განხილვა რესპუბლიკის სახელმწიფო არგიტ- რების ორგანოებში	22
<u>სასამართლო პრაქტიკის განვითარება</u>	
ლ. საყვარელიძე — გავაძლიეროთ ბრძოლა სოციალისტური წინააღმდეგ	27
<u>კადრები — ჩვენი მუდმივი საჭრუნავი</u>	
მ. ხაზარაძე, ვ. სიმონიშვილი — კროკუბატურის კადრების კროფისული დავს- ტატივის ერთი მეთოდოლოგიური საკითხის გამო	34
<u>სასურსათო კროკუბატორის სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხები</u>	
მ. კასრაძე — ახალი დავულება კონტრაქტაციის ხელშეკრულების შესახებ	41
<u>გარემოსა და ფაუნის სამართლებრივი დაცვა</u>	
ა. ლაგარტყავა — ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალურად გამოყენებისათვის	47
ბ. სავანელი — კლანტაში სიცოცხლის მრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის	51
ა. ხაჯალია — საბჭოთა სახელმწიფოს ბუნებისდაცვითი ფუნქციის ჩა- მოქალებისათვის ძირითადი მომენტები	55
<u>შურაღლება — გამოცდილება!</u>	
მ. აგლაძე — კანონიერების დაცვა კომუნისტური შრომის საფარმოდ	61
<u>სამართლებრივი ცოდნა მასებს</u>	
ლ. მაისურაძე — მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდა რადიოს მეშვეობით	65
<u>ჩვენი კროფისიის აღმართები</u>	
მ. ხუციშვილი — დამსახურებული სიყვარული და ავტორიტეტი	66
პაბატა კრისტი — დელფის ორკესტრი	68
ინფორმაცია	75



## СОДЕРЖАНИЕ

საბჭოთა  
საგარეო  
აფიშა

Правоохранительные органы перед новыми задачами . . . . .	3
<b>ПРОФИЛАКТИКА — ГЛАВНОЕ НАПРАВЛЕНИЕ</b>	
О. Черкезия — Преступление несовершеннолетних: задачи и проблемы . . . . .	6
Дж. Кухалашвили — Кровное дело партийных организаций . . . . .	14
<b>ХОЗЯЙСТВО И ПРАВО</b>	
В. Майсурадзе — Рассмотрение хозяйственных споров в органах арбитража республики . . . . .	22
<b>ОБОБЩЕНИЕ СУДЕБНОЙ ПРАКТИКИ</b>	
Л. Сакварелидзе — Усилить борьбу против спекуляции . . . . .	27
<b>ПОСТОЯННАЯ ЗАБОТА О КАДРАХ</b>	
О. Хазарадзе, В. Симошвили — По поводу одного методического вопроса о повышении мастерства прокурорских работников . . . . .	34
<b>ПРАВОВОЕ ОБЕСПЕЧЕНИЕ ПРОДОВОЛЬСТВЕННОЙ ПРОГРАММЫ</b>	
Э. Касрадзе — Новое положение о догзоре контрактации . . . . .	41
<b>ПРАВОВАЯ ОХРАНА ОКРУЖАЮЩЕЙ СРЕДЫ И ФАУНЫ</b>	
А. Лабарткава — Об охране и рациональном использовании животного мира . . . . .	47
Б. Саванели — О сохранении многообразия жизни на планете . . . . .	51
А. Хазалия — Основные моменты становления продовольственной функции советского государства . . . . .	55
<b>ВНИМАНИЕ — ОПЫТ!</b>	
А. Агладзе — Охрана законности на предприятии коммунистического труда . . . . .	61
<b>ПРАВОВЫЕ ЗНАНИЯ МАССАМ</b>	
Л. Майсурадзе — Правовое воспитание населения посредством радио . . . . .	65
<b>ЛЮДИ НАШЕЙ ПРОФЕССИИ</b>	
О. Хуцишвили — Заслуженный авторитет . . . . .	66
Агата Кристи — Оракул из Дельф . . . . .	68
Информация . . . . .	75



### საბეჭდო კოლეგია:

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ლ. ალექსიძე, ა. ბარაბაძე,  
გ. ბერძენიშვილი (პ/მგ მდივანი), გ. ინჭკირველი, აკ. კარანაძე,  
მ. ლეკვეიშვილი, გ. ტყეშელაძე, ა. შუშანაშვილი,  
ა. ხოჭოლავა, ს. ჯორბენაძე

© „საბჭოთა სამართალი“, 1983 წ.

რედაქციის მისამართი, თბილისი, კლუბანოვის პრ. 108. ტ. 95-58-87, 95-88-49.

გადიცა წარმოებას 21.12.83 წ., ხელმოწერილი დასაბეჭდად 6.2.84 წ.,  
ფორმატი 70×108<sup>1/16</sup>, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პერობითი ნაბეჭდი  
ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,5  
შეკვ. № 2910 ტირაჟი 15750 ლე 06430

საქ კვ 13-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.



# საპარტულდაცვითი ორგანოები ახალი აპოსტანების წინაშე

წლის ბოლოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, უკვე დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, შეაჯამა სახალხო მეურნეობის განვითარების ერთი წლის შედეგები და დასახა ეკონომიკისა და კულტურის აქტუალური პრობლემების გადაწყვეტის ამოცანები. 1982 წლის ნოემბრის და 1983 წლის ივნისის პლენუმების მსგავსად, ეს პლენუმიც გამოირჩევა მაღალი ინტელექტუალური დონით, ოპტიმიზმით, საკითხების განხილვის სისრულითა და სიღრმით. მრეწველობის, საფლას მეურნეობის, განათლების, მოსახლეობის მომსახურების და კეთილდღეობის ყველა ასპექტი განხილულ იქნა კომპეტენტურად, პრინციპულად. დაისახა აგრეთვე ბევრი სამომავლო ამოცანა, სტრატეგიული მნიშვნელობის პრობლემების გადაწყვეტის გზები. პლენუმის შედეგები, მისი გადაწყვეტილებანი მრავალი ფიქრის აღმძვრელია და ხანგრძლივი, საფუძვლიანი შესწავლის საგანი გახდება.

ცნობილია, რომ წლულს ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა მეურნეობრიობის სრულყოფის, შრომის, საგეგმო და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცების უმნიშვნელოვანესი ღონისძიება. ამის შედეგად მოკლე ვადაში განმტკიცდა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი, მიღწეულია ახალი, დიდი წარმატებანი ეკონომიკის ზრდის ტემპში, ამაღლდა ხარისხობრივი მაჩვენებლები, დაისახა დადებითი ძვრა სახალხო მეურნეობაში. აი რამდენიმე მონაცემი: თუ 1981 წელს სამრეწველო პროდუქცია გაიზარდა 23 მილიარდი მანეთით, 1982 წელს კი 20 მილიარდი მანეთით, 1983 წელს ზრდამ შეადგინა 29 მილიარდი მანეთი; 1981 წელს შრომის ნაყოფიერების ზრდა შეადგენდა 2,7 პროცენტს, ხოლო 1982 წელს 2,1 პროცენტს, 1983 წელს მან შეადგინა 3,4 პროცენტი.

„როგორც ვხედავთ,—ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლის ტექსტში, — შედეგები არის. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია არ შევანელოთ ტემპი, საქმეებისათვის საერთო დადებითი განწყობა, უფრო აქტიურად განვავითაროთ პოზიციური პროცესები“.

ისე, როგორც ყველა პარტიულ ფორუმზე, ამ პლენუმზეც დიდი ყურადღება დაეთმო სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობის სრულყოფის და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს. დაისახა იურიდიული სამსახურის გაუმჯობესების, სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, ვარემოს დაცვის ამოცანები.

პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საჭიროა რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობა უფრო შემტევი, მიზანსწრაფული და ოპერატიული გახდეს. აუცილებელია ამაღლდეს სამრეწველო და საფლას მეურნეობის საწარმოებში იურიდიული სამსახურის მნიშვნელობა, მათი როლი სახელმეკრულებო დისციპლინის დაცვაში.

ცნობილია, რომ ზოგაერთი საწარმო, რომელმაც შეასრულა მთლიანი პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმები, არ ასრულებს ასორტიმენტის მიხედვით პროდუქციის დავალებებს. ამასთან არღვევს სახელმეკრულებო ვალდებულებებს. რესპუბლიკის ბევრი საწარმოს ხელმძღვანელები

ვ. მარქსის საბ. ს. წ. სსრ



უგანრიგოდ გასცემენ პროდუქციას, გეგმის გადამეტებით ხარჯავენ მას საკუთარი საჭიროებისათვის. ზოგიერთ მომხმარებელს პროდუქცია აწვდის სხვების ხარჯზე და მათ საზიანოდ. ეს კი არსებით ზიანს აყენებს რესურსების გეგმიან განაწილებას, არღვევს მიწოდების რიტმულობას, ფუშავს სხვა საწარმოების გეგმებს.

მიუხედავად იმისა, რომ სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევები დიდ ზიანს აყენებენ სახელმწიფოს, დამნაშავე თანამდებობის პირებს პასუხს არავინ სთხოვს, მათ არ აკისრებენ არც დისციპლინურ, არც მატერიალურ პასუხისმგებლობას, თუმცა ამას ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა.

ჩვენი ურჩაღის ამ ნომერში ქვეყნდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი არბიტრის ვ. მაისურაძის სტატია, რომლიდანაც ჩანს, რომ არბიტრაჟი ბოლო ხანს მწვავე რეაგირებას ახდენს პროდუქციის მიწოდების შესახებ კანონმდებლობის დარღვევის დაქტებზე. სამწუხაროდ, იგივე არ ითქმის საუწყებო არბიტრაჟის შესახებ, რომლებიც ზოგჯერ ვიწრო ინტერესებით ხელმძღვანელობენ.

ქვენებზე იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის გამოსვლაში ნათქვამია: „საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილების არასრულ დაკმაყოფილებას თან სდევს ნეგატიური მოვლენები, მათ შორის სპეკულაცია. რა თქმა უნდა, ასეთ საზარელ მოვლენას კვლავ გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ სახელმწიფოს ხელის არსებული ყველა საშუალებით“<sup>2</sup>.

ამ მოთხოვნის შესასრულებლად დიდი ამოცანები დგება რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოების წინაშე. საპროკურორო და სასამართლო პრაქტიკის განზოგადების მონაცემები მოწმობს. რომ ისინი სპეკულაციის საქმეთა განხილვისას ძირითადად სწორად იყენებენ მოქმედ კანონმდებლობას. მაგრამ ამ კატეგორიის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ბევრნაკლია. სასამართლოები ყოველთვის სწორად არ აფასებენ სპეკულაციის საშიშროებას, უსწოროდ აკვალიფიცირებენ ამ დანაშაულებრივ ქმედლებებს. ყოველთვის არ სრულდება კანონის ეს მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც საქმის ყველა გარემოება სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად უნდა იქნეს გამოკვლეული. სასამართლო პრაქტიკაში ხშირად არ სრულდება ის სახელმძღვანელო მითითებანი, რომლებიც მოცემულია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წლის 13 დეკემბრის დადგენილებაში „სპეკულაციის საქმეთა სასამართლო პრაქტიკის შესახებ“.

აუცილებელია გაძლიერდეს მომთხოვნელობა საგამოძიებო ორგანოების მიმართაც. სპეკულაციის ყველა საქმე გულდასმით და სრულყოფილად უნდა იქნეს გამოძიებული. საჭიროა დადგინდეს სასპეკულაციო საქონლის შეძენის წყარო, გამოვლინდეს სპეკულაციის ყველა თანამონაწილე, უფრო მეტი ყურადღება მიექცეს მსხვილ სპეკულანტთა გამოვლენასა და დასჯას.

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მდგომ გლობალურ პრობლემებს შორის იური ვლადიმერის ძე ანდროპოვმა დასახელა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი სიმდიდრეთა რაციონალური გამოყენების საკითხი. „საწარმოო ძალების განვითარების თანამედროვე მასშტაბი და ტემპი, თქვა მან, მოითხოვს დამოკიდებულების შეცვლას საკითხებისადმი, რომლებიც დაკავშირებულია გარემოს დაცვასთან და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებასთან. ამ ამოცანას დიდი ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა აქვს. საქმე ხომ არსებითად ეხება ადამიანთა ჯანმრთელობას და ჩვეყნის ეროვნული სიმდიდრისადმი სათუთ, ყაირათიან მიდგომას. უფრო მეტიც, ეს მომავლის საკითხებიცაა, მათ გადაწყვეტაზე დამოკიდებულია პირობები, რომლებშიც უნდა იცხოვრონ მომავალმა თაობებმა.“

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ იმ სეროზოზული მეცადინეობის მიუხედავად, რომლებსაც ჩვენ ვეწევით, პრობლემების სიმწვავე არ იხსნება დღის წესრიგიდან.



ეს მოწმობს, რომ უფრო მტკიცედ და მიზანმიმართულად უნდა ვეწყო-

დამოუკიდებლობის ბუნების დაცვისათვის<sup>3</sup>.  
 ამ ნომერში ჩვეყნდება ა. ლაბარტყავას, ბ. სავანელის და ვ. ხაზალის  
 სტატიები, რომლებიც ამ პრობლემებს შეეხება. სტატიაში მოყვანილი ფაქ-  
 ტები მოწმობს, რომ ჩვენს რესპუბლიკაში გარემოსა და ფაუნისადმი დამო-  
 კიდებულება არადამაკმაყოფილებელია და მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს.  
 უნდა აღმოიფხვრას უკანონო ნადირობის, ბრაკონიერობის ფაქტები. სამარ-  
 თლდაცვის ორგანოებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ გარემოსა და  
 ცხოველთა სამყაროს კანონმდებლობის დაცვას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა დიდი ამოცანები  
 დაუსახა ადმინისტრაციულ ორგანოებს. ეკვი არ არის, რომ ისინი წარმატე-  
 ბით შეასრულებენ პლენუმის გადაწყვეტილებებს და განამტკიცებენ კანონი-  
 ერებას ყველა სფეროში. ამისათვის საჭიროა თითოეულმა ჩვენგანმა განუხრე-  
 ლად იხელმძღვანელოს ი. ვ. ანდროპოვის მიითებით: „ჩვენი საზოგადოებ-  
 რივი განვითარების ნორმალური მიმდინარეობა წარმოუდგენელია ისე, თუ  
 უმკაცრესად არ შესრულდა კანონები, რომლებიც იცავენ საზოგადოების  
 ინტერესებსა და მოქალაქეთა უფლებებს. საჭიროა, კერძოდ, მთლიანად მო-  
 ვულოთ ბოლო ისეთ მოვლენას, როგორც არის პირადი გამდიდრების მიზნით  
 სახელმწიფო საზოგადოებრივი ქონებისა და სამსახურებრივი მდგომარეობის  
 გამოყენების შემთხვევები. რადგან, თუკი ჩავუფიქრდებით, ეს სხვა არა არის  
 რა, თუ არა თვით ჩვენი წყობილების არსისათვის ძირის გამოთხრა. ამ კანონი  
 შეურიგებელი უნდა იყოს, ხოლო მისი გამოყენება — გარდაუვლი“.



<sup>3</sup> გაზეთი „კომუნისტი“, 1983 წლის 27 დეკემბერი.



# არასრულწლოვანთა დანაშაული: ამოხანები და პრობლემები

მ. ჩაჩავაძე

ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი კეთდება არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების თავიდან აცილებისა და აღმოფხვრისათვის. ეს აიხსნება, ჯერ ერთი იმ ნიშნულებისა და პირობების სპეციფიკური ხასიათით, რომლებიც წარმოშობს არასრულწლოვანთა სამართალდარღვევებს და, მეორეც, ჩამოყალიბების სტადიაში მყოფი მათი ფიზიოლოგიური და ასაკობრივი თავისებურებებით. ყოველივე ეს ქმნის იმის საფუძველს, რომ უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ საზოგადოებრიობის მორალური ზემოქმედება და ავტორიტეტი, მოქალაქეთა ინიციატივა და თვითმოქმედება მოზარდთა სამართალდარღვევების პროფილაქტიკაში.

არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის დიდწილად აღმოფხვრისათვის საქმეში საზოგადოებრიობის მონაწილეობის ძირითადი ორგანიზაციული ფორმაა არასრულწლოვანთა საქმეების კომისია.

არასრულწლოვანთა კომისიები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად შექმნილია რაიონის, ქალაქის (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომთან, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისია პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ, ადმინისტრაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად დიდ მუშაობას ეწევა არასრულწლოვანთა შორის უზედამხედველობასთან და დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერებისათვის. იგი წარმართავს მთელს საქმიანობას არასრულწლოვანთა უზედამხედველობისა და სამართალდარღვევების თავიდან აცილებისათვის, აკონტროლებს და კოორდინაციას უწევს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების მუშაობას. უწევს მათ მეთოდოლოგიურ დახმარებას.

კომისია თავისი გეგმებით, რომლებიც კვარტალების მიხედვით დგება, ითვალისწინებს იმ მთავარი ამოცანების გადაწყვეტას, რომლებსაც მის წინაშე სახავენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო.





ყოველკვარტალურ გეგმებთან ერთად რესპუბლიკურ კომისიას, ისევე როგორც რეგიონალურ კომისიებს, აქვს კომპლექსურ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გეგმები.

რესპუბლიკური კომისია რეგულარულად ამოწმებს და შეისწავლის არასრულწლოვანთა შორის უზედამხედველობასა და დამნაშავეობასთან ბრძოლის მსვლელობას, განიხილავს თავის სხდომებზე ამ საკითხებს და არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად იღებს გადაწყვეტილებებს, კონტროლს უწევს მათს შესრულებას, განაზოგადებს და ავრცელებს დადებით გამოცდილებას, ყოველკვარტალურად შეისწავლის არასრულწლოვანთა შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციას.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების საქმიანობის გააქტიურებისათვის, მოზარდთა შორის უზედამხედველობისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მაღალეფექტიანი პროფილაქტიკური მუშაობის ორგანიზაციისათვის არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკურმა კომისიამ თავის სხდომაზე განიხილა და დაამტკიცა არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების თავიდან აცილების და აღმოფხვრის რეკომენდაციები და სამახსოვრო, რომლებიც მოამზადა ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა.

ასეთივე რეკომენდაციები შეიმუშავეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დანაშაულებრივი საქციელის ფსიქოლოგიის შემსწავლელმა ლაბორატორიამ, რომლებიც განაზილა და დაამტკიცა რესპუბლიკურმა კომისიამ. მოწონებულ იქნა აგრეთვე წინადადებანი სასწავლო დაწესებულებებსა და სამუშაოზე ბავშვებისა და მოზარდების მოწყობისათვის არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის მუშაობის ორგანიზაციის შესახებ, რომლებიც შეიმუშავა შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

ყველა ეს რეკომენდაცია და წინადადება სახელმძღვანელოდ გავგზავნა სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების ყველა კომისიას, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, აგრეთვე პარტიის საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებს.

სამეცნიერო დაწესებულებებს თავიანთ გეგმებში შეტანილი აქვთ თემები არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებზე. მაგალითად, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტს დავალებული აქვს მოამზადოს და გამოსცეს ბროშურა „არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდური რეკომენდაციები“. ამას გარდა, ინსტიტუტი ამზადებს შემდეგ მონოგრაფიებს: „სამართალდარღვევების თავისებურებათა შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკაში“, „არასრულწლოვანთა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაცია ქალაქისა და რაიონის მასშტაბით“, „არასრულწლოვანთა დამნაშავეობის რეციდივების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდიკა და ორგანიზაცია“ და სხვ.

რესპუბლიკური კომისია ყოველთვიურად იღებს ინფორმაციებს სამინისტროებიდან და უწყებებიდან არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევებ-



ბის აღმოსაფხვრელად გაწეული მუშაობის შესახებ, ანალიზებს მათ და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

1983 წელს რესპუბლიკურ კომისიას სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებულმა ყველა კომისიამ მოახსენა არასრულწლოვანთა შორის უზედამხედველობისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის შესახებ.

ბოლო ხანს დაინერგა ასეთი პრაქტიკა: საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო ყოველ სამ დღეში ერთხელ აწვდის რესპუბლიკურ კომისიას ოპერატიულ ინფორმაციას რესპუბლიკაში არასრულწლოვანთა დამნაშავეობის მდგომარეობის შესახებ. სამართალდარღვევის ყველა საქმეს უწესდება კონტროლი. ხოლო სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს. შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს დავალება ეძლევათ 10 დღის ვადაში მოახსენონ რესპუბლიკურ კომისიას იმ მიზეზებისა და პირობების შესახებ, რომლებმაც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას. აგრეთვე მათი თავიდან აცილებისათვის განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე.

ყველაზე საგულისხმო შემთხვევა განიხილება რაიონული და საქალაქო კომისიების გაფართოებულ სხდომებზე, რომლებსაც ესწრებიან პარტიული საბჭოთა, ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონული ორგანოების ხელმძღვანელები, მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული გრაფიკით ყოველ ორ კვირაში ანგარიშს აბარებენ რესპუბლიკურ კომისიას მოზარდთა შორის სამართალდარღვევების, მათ შორის ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დარგში გაწეული მუშაობის შესახებ.

სახალხო მეურნეობის სხვადასხვა მშენებლობაზე სტუდენტთა რაზმებთან ერთად იგზავნებიან ძნელად აღსაზრდელი არასრულწლოვანები.

სამართალდარღვევების ჩადენის მიდრეკილების მქონე მოზარდების გამოვლენისა და მათ შორის სათანადო აღმზრდელი მუშაობის ჩატარების მიზნით საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო, განათლების სამინისტრო და პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან ერთად, ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობით რეგულარულად ახორციელებს კომპლექსურ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, რაც დადებით შედეგს იძლევა.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების უმრავლესობა ადმინისტრაციულ, განათლების კულტურის ორგანოებთან კომპლექსურ რულ და სხვა ორგანიზაციებთან ერთად მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა არასრულწლოვანთა მიერ სამართალდარღვევის, ჩადენის ხელშეწყობი მიზეზებისა და პირობების თავიდან აცილებისათვის. აღრიცხავს იმ არასრულწლოვანებს, რომლებიც თავს არიდებენ სწავლასა და მუშაობას, ახორციელებს ღონისძიებებს, რათა დააბრუნონ ისინი სასწავლო დაწესებულებებში და კვლავ ჩააბნ შრომითს საქმიანობაში. მათ მჭიდრო კონტაქტები აქვთ საწარმოებსა და ორგანიზაციებთან იმ არასრულწლოვანთა შრომითი მოწყობისათვის, რომლებიც შრომითი აღზრდის კოლონიიდან, სპეცკოლონიდან ანდა სპეცპროფტექსასწავ



ლებლიდან დაბრუნდნენ, ისინი თითოეულ ძნელად აღსაზრდელ მოზარდს მიუჩენენ აღმზრდელს ან დამრიგებელს, მართავენ საუბრებსა და ლექციებს სამართლებრივ თემებზე, აწყობენ შეხვედრებს ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებთან. შრომის კანონმდებლობის დაცვისადმი საწარმოებსა და დაწესებულებებში დაწესებულია მუდმივი კონტროლი.

**მ**ოზარდი თაობის იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდის, სკოლის, ოჯახის, უწყებების, ორგანიზაციებისა და საზოგადოებრიობის როლისა და პასუხისმგებლობის ასამაღლებლად განხორციელებულია შემდეგი ღონისძიებანი:

— საქართველოს სსრ განათლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროებში, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტში შემოღებულია იდეურ-აღმზრდელითი მუშაობის დარგში მინისტრის მოადგილეების თანამდებობა და შექმნილია შესაბამისი სამმართველოები; სასწავლო დაწესებულებებში შეიქმნა პრორექტორების, დირექტორის მოადგილეებისა და ფაკულტეტის დეკანების ინსტიტუტი იდეურ-აღმზრდელითი მუშაობაში; ყველა სამინისტროში, უწყებაში, შემოქმედებითი კავშირებში, სხვა რესპუბლიკურ ორგანოებში მოქმედებს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ხელშემწყობი საბჭოები;

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მინისტრის მოადგილეებს, უწყებათა, სამეურნეო ქვეგანყოფილების ხელმძღვანელებს კადრების დარგში, დაეკისრათ აღმზრდელითი ფუნქცია. მათ ეწოდებათ მოადგილეები კადრებისა და აღმზრდელითი მუშაობის დარგში;

— ქ. თბილისის ლენინის რაიონისა და ზესტაფონის რაიონის სახალხო დებუტატთა საბჭოების აღმასკომებთან ექსპერიმენტის წესით შეიქმნა მშრომელთა საზოგადოებები.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად არასრულწლოვანთა დამნაშავეობა 1981 წელთან შედარებით 1982 წელს საგრძნობლად შემცირდა, ხოლო 1983 წელს, 1982 წელთან შედარებით სტაბილურია.

ამბროლაურის, ასპინძის, ყაზბეგის, ხულოს, შუახევის, ონის და ლენინგორის სახალხო დებუტატთა საბჭოების აღმასკომებთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების კარგი მუშაობის შედეგია ის, რომ ამ რაიონებში არ ყოფილა არასრულწლოვანთა მიერ სამართალდარღვევის ჩადენის არც ერთი შემთხვევა.

არასრულწლოვანთა შორის უზედამხედველობისა და სამართალდარღვევების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა აფხაზეთსა და აჭარაში, ქალაქებში ქუთაისში, ზუგდიდში, ჭიათურაში, წყალტუბოში, გაგრაში, ბოლნისის, ბორჯომის, გეგეჭკორის, ცხაკაიას, ჩოხატაურისა და თეთრი წყაროს რაიონებში.

რესპუბლიკის 11 ქალაქსა და რაიონში (ქალაქები: ტყიბული, ფოთი, ჭიათურა, ტყვარჩელი და ახალქალაქის, ბოლნისის, გორის, ვანის, ქარელის, ქობულეთისა და ქ. თბილისის საქარზნო რაიონები) არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულობათა რაოდენობა სტაბილურია.

მოზარდთა დამნაშავეობის მხრივ მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. გარდაბნის, გეგეჭკორის, დუშეთის, თეთრი წყაროს, ცხაკაიას, ჩოხატაურის, გუდაუთის, ხობის, საჩხერის, მცხეთის, გურჯაანის და ადიგენის რაიონებში,



აგრეთვე ქ. ცხინვალში. ანალიზი ცხადყოფს, რომ ეს გამოწვეულია ადგილობრივი საზოგადოებრივი და საბჭოთა ორგანოების, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების მუშაობის ნაკლოვანებებით. აქ სათანადო ყურადღებას არ უთმობენ არასრულწლოვანთა შორის უზედამხედველობისა და დანაშაულებების პროფილაქტიკას. მოზარდთა აღზრდისას ყოველთვის არ ითვალისწინებენ მათ ინტერესებისა და მოთხოვნილებათა მრავალფეროვნებას. იმას, რომ მათ ჭარბი ინფორმაცია აქვთ, ნაადრევად არიან ფიზიოლოგიურად განვითარებული და აქტიურად არ არიან ჩაბმულნი სპორტსა და შრომაში.

სამართალდარღვევებთან ბრძოლის არასახარბიელო მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად სასწავლო დაწესებულებათა საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა შედეგია. ასევე ამითაა გამოწვეული ის, რომ 1983 წელს დანაშაულის ჩამდენი 631 არასრულწლოვანიდან 357 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფტექსასწავლებლების მოსწავლეები არიან, რაც საერთო რაოდენობის 63 პროცენტს შეადგენს.

ამის ერთ-ერთი მიზეზია გაკვეთილების ხშირი გაცდენა, აკადემიური ჩამორჩენილობა, მეორეწლიანობა, სასწავლებლიდან გარიცხვა და სხვა. მაგალითად, 1982-1983 სასწავლო წელს არასაპატიო მიზეზით გაცდა 2213613 საათი. 1981-1982 სასწავლო წლის შედეგების მიხედვით რესპუბლიკის სკოლების კლასებში დატოვებულ იქნა 2443 ბავშვი, რაც მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 0,3 პროცენტს შეადგენს.

1982-1983 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიდან უღირსი საქციელისათვის გაირიცხა 31 მოსწავლე.

ბევრგან არ სრულდება მთავრობის დადგენილება საქალაქო და რაიონულ კომისიებში განთავისუფლებული პსუსისმცვებელი მდივნების, საჭიროების შემთხვევაში კი არასრულწლოვანებთან მუშაობის დარგში შტატიანი ინსპექტორების თანამდებობათა შემოღების თაობაზე.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების მუშაობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ უმეტეს შემთხვევებში მოზარდები და ბავშვები სჩადიან ნაკლებმნიშვნელოვან დანაშაულებრივ ქმედობას, რაც დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს. კერძოდ ეს არის ცელქობა და წვრილმანი ქუჩური ხულიგნობა, საზოგადოებრივ ადგილებში ქცევის წესების დარღვევა; მშობლების, მეზობლების, ნათესავების, თანასკოლების გაქურდვის შემთხვევები, ხილისა და ბოსტნეულის მოპარვა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების, აგრეთვე მოქალაქეთა პირადი ქონების უმნიშვნელო გაფუჭება და ა. შ.

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულობებიდან კი ჭარბობს მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცება, აგრეთვე ხულიგნობა. გაცილებით იშვიათია ძარცვა — მოქალაქეთა პირადი ქონების ამკარა დატაცება. მოქალაქეებზე ყაჩაღურ თავდასხმას სჩადიან შედარებით იშვიათად და უმთავრესად უფროსი ასაკის (16-17 წელი) მოზარდები. ბოროტ ხულიგნობას, ისევე როგორც უმეტეს სხვა საშიშ დანაშაულს, ჩვეულებრივ სჩადიან მთვრალი მოზარდები.

დანაშაულთა ხელშემწყობი მიზეზებია: უმეთვალყურეობა, უზედამხედველობა და უკონტროლობა ბავშვთა და მოზარდთა ქცევისადმი, ცუდი აღზრდა ოჯახში. ეს უფრო ხშირად იმ ოჯახებში ხდება, რომლებიც დაშლილია



მშობელთა ცუდი ურთიერთობის ან სხვა მიზეზების გამო, რაც იწყებს ბავშვებზე მშობელთა ზრუნვის შესუსტებას ან მთლიანად შეწყვეტას (მშობელთა სიკვდილი, ხანგრძლივი ავადმყოფობა და ა. შ.).

**მ**ოზრდილთა მიერ ბავშვთა და მოზარდთა წაქეზება ან დანაშაულის ჩადენაში ჩაბმა ასევე ისეთი ფაქტორებია, რომლებიც ხრწნის არასრულწლოვანთა გონებას. კანონი წამქეზებლებს მიიჩნევს საშიშ დამნაშავეებად და მათ უღმობლად უნდა ვებრძოლოთ.

მაგრამ არის განუზრახველი, ანუ ობიექტური წაქეზება, თუმცა არანაკლებ მავნეა მოზრდილთა ცუდი მაგალითი, რომლის უარყოფითი მნიშვნელობა არასრულწლოვანთა ზნეობრივ ფორმირებაში აშკარაა. ბავშვებსა და მოზარდებს მუდმივი კავშირი აქვთ მოზრდილებთან ოჯახსა და ქუჩაში, სკოლა-გადილობრივ ადგილებში და ხშირად ხედავენ, რომ ისინი ცუდად იქცევიან. ეს კი მათზე დიდ გავლენას ახდენს. უდავოა ის ამბავი, რომ ყოველივე ცუდს ბავშვები და მოზარდები იძენენ მოზრდილების ან იმ თანატოლებისაგან, რომელთაც უკვე შეთვისებული აქვთ ცუდი მაგალითი. შემთხვევით როდია ფართოდ გავრცელებული გამონათქვამი: „მოზრდილები პასუხს აგებენ ყველაფრისათვის, რასაც ბავშვები სჩადიან“.

არასრულწლოვანთათვის საშიში სიტუაცია იქმნება, მაგალითად, იმ ოჯახებში, სადაც ლოთობა, გარყენილება, ჩხუბი და აყალმაყალი ხდება. ამგვარი მასალების განხილვისას არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები ხშირად ავლენენ, რომ ზოგიერთი მშობელი არა მარტო გულგრილად ეკიდება ბავშვთა ყოფნას ამგვარ გარემოში, არამედ ლოთობა-ღრეობაში ითრევს მათ. ასეთ ოჯახებში ბავშვები და მოზარდები მორალურად მახინჯდებიან და სამართალდარღვევათა გზას ადგებიან.

არასრულწლოვანებზე დამლუბველად მოქმედებს მშობელთა შემრიგებლური დამოკიდებულება ბავშვთა ანტისაზოგადოებრივი ქცევისადმი, მათი მისწრაფება — უსაფუძვლოდ გაამართლონ უმართებულო მოქმედება, ნაცულოდ იმისა, რომ დაგმონ იგი.

ზოგიერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციის, სახალხო განათლებისა და სხვა ორგანოს შემრიგებლური დამოკიდებულება ლოთობისა და ხულიგნობისადმი, ანტისაზოგადოებრივი საქციელის ჩამდენ პირთა დაუსჯელობა და ნებაზე მიშვება ასევე ხელს უწყობს დამნაშავეობას.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი პარტიული და სამეცერნო ხელმძღვანელი სათანადო შეფასებას არ აძლევს არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა საშიშროებას, ხშირად ფორმალურად უდგება ამ ასაკობრივი ჯგუფის ბავშვთა აღზრდის ამოცანების გადაწყვეტას. ეს დაუშვებელია. უნდა გაძლიერდეს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო და ადმინისტრაციული ორგანოების პასუხისმგებლობა არასრულწლოვანებთან მუშაობისათვის. მოზარდთა აღზრდაში საჭიროა ყოველთვის ითვალისწინებდნენ მათი ინტერესებისა და მოთხოვნილებების მრავალფეროვნებას, გაზრდილ ინფორმირებას, უფრო ადრეულ ფიზიოლოგიურ განვითარებას.

**ქ**რსებითი ნაკლოვანებებია ადმინისტრაციული ორგანოების პროფილაქტიკურ საქმიანობაში. შინაგან საქმეთა ორგანოები, არასრულწლოვანთა საქმეების ცალკეული ინსპექციები ყოველთვის არ უზრუნველყოფენ აღრიცხვაზე



აყვანილ „ძნელ“ არასრულწლოვანებთან ინდივიდუალურ-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა კომპლექსის ჯეროვან შესრულებას, არ მიმართავენ ღონისძიებებს იმ პირთა მაქსიმალური გამოვლენისა და პასუხისგებაში მიცემისათვის, რომლებიც დანაშაულში ითრევენ არასრულწლოვანებს. მილიციის, პროკურატურის ორგანოები, სახალხო სასამართლოები ბოლომდე არ სწავლობენ არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა ხელშემწყობ მიზეზებს, აქტიურად არ იღვწიან მათი აღმოფხვრისათვის.

ზოგიერთი სამეურნეო ორგანოს, საწარმოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელები ჯეროვნად არ ზრუნავენ მომუშავე მოზარდთა ყოფაცხოვრებისათვის, მათი პროფესიული ცოდნისა და ჩვევების, ზოგადი განათლებისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის. სუსტად არის გამოყენებული დამრიგებლობის შესაძლებლობანი. საშეფო მუშაობა ხშირად ფორმალური ხასიათისაა. არ არის აღმოფხვრილი მოზარდთა მიმართ შრომის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები.

უდგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, ფიზკულტურული ორგანიზაციები, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების კომიტეტები საკმარისად არ ზრუნავენ, რომ მოზარდებმა თავისუფალი დრო გონივრულად გამოიყენონ.

მოსწავლეთა სკოლისგარეშე აღზრდის, აგრეთვე წარმოებაში დასაქმებულ მოზარდთა გონივრული დასვენების ორგანიზაციის მიზნით სუსტად არის გამოყენებული კლუბები, კინოთეატრები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, კულტურისა და დასვენების პარკები, სპორტული ნაგებობანი, უზრუნველყოფილი არ არის „ძნელ“ მოზარდთა ფართოდ ჩაბმა ფიზკულტურულ-სპორტულ და თავდაცვით-მასობრივ მუშაობაში. დამაკმაყოფილებლად არ წყდება საცხოვრებელ მიკრორაიონებში სათამაშო და სპორტული მოედნების ქსელის განვითარების საკითხები.

ბავშვთა უზედამხედველობისა და დანაშაულებრივი ქმედების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საქმეში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდევლობითი მუშაობის გაუმჯობესებას. ამ საქმეში ჩვენ საკმაოდ გვაქვს არსებითი ხარვეზები და ნაკლოვანებანი, სათანადოდ ვერ ვითვალისწინებთ თანამედროვე საერთაშორისო ასპარეზზე მკვეთრად გამწვავებული იდეოლოგიური ბრძოლის თავისებურებებს.

ბურჟუაზიული პროპაგანდა მიზნად ისახავს იმას, შეცდომაში შეიყვანოს ადამიანები, უწინარეს ყოვლისა, მოზარდი თაობა, შთაავსოს მათ, თითქოს კაპიტალიზმის პირობებში ცხოვრება სამოთხეა, ცილი დასწამოს სოციალისტურ სამყაროს. უნდა ითქვას, რომ მერყევი ახალგაზრდობას ერთი ნაწილი დასავლეთის პროპაგანდის სათავგადასავლო ლიტერატურისა და გაზგატყუარი ფილმების გამხრწნელი ზემოქმედების შედეგად ადვილად ექცევა დამნაშავე ელემენტების გავლენის ქვეშ და ადგება დანაშაულებრივი მოქმედების გზას.

ამიტომ საჭიროა ვზასაცდენილ ახალგაზრდობას ფართოდ განემარტოს ამერიკული და, საერთოდ, კაპიტალისტური სამყაროს ახალგაზრდობის ზედარი, ავეუსნათ მათ, თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში ამერიკული „სამოთხე“, რა პირობებში უხდებათ ბავშვებს იქ ცხოვრება, ფარდა ავხადოთ იმ სიყალბეებს.



ბეს, რომლის პროპაგანდასაც ეწევიან იმპერიალისტური ქვეყნების პრესა, რადიო, კინო და სხვ.

ჩვენმა მოზარდმა თაობამ უნდა იცოდეს, რომ კაპიტალისტური სამყაროს საღად მოაზროვნე ადამიანებს აწუხებთ თავიანთი ახალგაზრდა თაობის ბედი, მათი მომავალი, არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის ზრდა.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში როგორც მცირეწლოვანთა, ისევე სრულწლოვანთა დანაშაული კაპიტალისტური წყობილების შინაგან წინააღმდეგობათა პირდაპირი შედეგია, რაც გამოწვეულია ერთი მხრივ, მშრომელთა ფართო მასების გაღატაკებით, ხოლო, მეორე მხრივ, ვაბატონებული კლასების განებივრებულ ბავშვთა მორალური გახრჩნით. დამნაშაევობის გამომწვევი მიზეზები აქ სოციალური ხასიათისაა.

კაპიტალის ქვეყნებში ბავშვთა დამნაშაევობის ზრდას ხელს უწყობს ის, რომ ახალგაზრდამ იცის: მის ქვეყანაში ყველაფერი იყიდება ფულით, დაწყებული სიყვარულით და დამთავრებული პოლიტიკური მრწამსით, კაპიტალისტურ სამყაროში წარმატება მხოლოდ ფულს მოაქვს, ბიზნესი ყოველს შემძლეა. ბავშვთა დამნაშაევობის ზრდის ერთ-ერთი მიზეზია ხვალისდელი დღის რწმენის უქონლობა, რაც ერთობ დამახასიათებელია კაპიტალისტური სამყაროს ადამიანებისათვის.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ბავშვთა დამნაშაევობის ერთ-ერთი მიზეზია რასობრივი დისკრიმინაცია, რომლის შედეგადაც მცირეწლოვან დამნაშაევთა რიცხვი განუწყვეტლივ იზრდება.

**ს**რულიად სხვა მდგომარეობაა საბჭოთა ქვეყანაში, სადაც ცხოვრების სოციალური პირობები ყოველნაირად უწყობს ხელს კომუნისტური საზოგადოების მომავალ მშენებელთა სწორ აღზრდას. ბრძოლა ჩვენი ქვეყნის ბავშვთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ზელისუფლების უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საქმეა.

არასრულწლოვანთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისათვის მიღებულია საკმაოდ ბევრი გადაწყვეტილება. ახლა საჭიროა განხორციელდეს დასახული ღონისძიებანი. ამაში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ყველა პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა, ადმინისტრაციულმა ორგანომ, მთელმა საზოგადოებრიობამ.



# პარტიული ორგანიზაციების ღვიძლი საქმე

პ. კუხალაშვილი

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა კანონების დაცვას, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას, მინდობილი საქმისათვის კომუნისტებისა და ყველა მშრომელის პასუხისმგებლობის ამაღლებას.

სოციალისტური კანონიერების დარღვევა, რა ფორმითაც უნდა გამოვლინდეს იგი, დიდ ზიანს აყენებს კომუნისტური მშენებლობის ინტერესებს. ვ. ი. ლენინი გვაფრთხილებდა: „სულ მცირეოდენი უკანონობა, საბჭოთა წესრიგის სულ მცირეოდენი დარღვევა უკვე ის ხვრელია, რომელსაც დაუყოვნებლივ გამოიყენებენ მშრომელთა მტრები“<sup>1</sup>.

სოციალისტური დისციპლინისა და კანონიერების განმტკიცების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია დამნაშავეობისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა. საბჭოთა სახელმწიფომ ძირითადად გამოაცალა სოციალური საფუძვლები დამნაშავეობას, შექმნა აუცილებელი წინამძღვრები დამნაშავეობის შემცირებისა და პერსპექტივაში მისი ლიკვიდაციისათვის. „პარტია, ნათქვამია სკკპ პროგრამაში, აყენებს ამოცანას უზრუნველყოფილ იქნეს სოციალისტური კანონიერების ზუსტად დაცვა, აღმოფხვრას მართლწესრიგის ყოველგვარი დარღვევა, მოხდეს დამნაშავეობის ლიკვიდაცია, აღიკვეთოს მისი წარმომშობი ყველა მიზეზი“<sup>2</sup>.

პარტიის ამ საპროგრამო ამოცანის გადაწყვეტისათვის ხორციელდება მინიშნებით სოციალური ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებს საზოგადოებრიობის როლის გააქტიურებასაც.

დამნაშავეობასთან ბრძოლაში მოსახლეობის ფართო მასების მონაწილეობა სოციალისტური საზოგადოების დამახასიათებელი ნიშანი, საბჭოთა სისხლის სამართლის პოლიტიკის ერთ-ერთი საფუძველია. უფრო მეტიც, ამყამად იგი კონსტიტუციურ პრინციპად არის გადაქცეული. საბჭოთა კონსტიტუციას მოქალაქეთა ერთ-ერთ ძირითად მოვალეობად მიიჩნია სოციალისტური საკუთრების დაცვა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვებათა წინააღმდეგ ბრძოლა (სსრ კავშირის კონსტიტუციის 61-ე მუხლი), ანტისაზოგადოებრივი საქციელისადმი შეუთრგებლობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ყოველმხრივი ხელშეწყობა (სსრ კავშირის კონსტიტუციის 65-ე მუხლი).

საზოგადოებრიობის მონაწილეობა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 661.

2 „სკკპ პროგრამა“, თხზ., 1971, გვ. 154.



გაფართოებასთან, რომლის პრინციპებია მოქალაქეთა, შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სულ უფრო ფართო ჩაბმა სახელმწიფოს და საზოგადოების მართვაში, მათი აქტიურობის ამაღლება, სახალხო კონტროლის გაძლიერება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცება, საჯაროობის გაფართოება, საზოგადოებრივი აზრის მუდმივი გათვალისწინება.

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის მონაწილეობით ხორციელდება სამართალდარღვევათა ადრეული პროფილაქტიკის მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია. მას აწესრიგებს შესაბამისი ორგანიზაციების, კოლექტივების დებულებანი, აგრეთვე ნორმატიული აქტები. საკმარისია ითქვას, რომ შრომითი კოლექტივები სსრ კავშირის კანონის შესაბამისად ახორციელებენ ღონისძიებებს, რათა თავიანთი წევრები აღზარდონ საბჭოთა კანონების დაცვისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის, სახალხო დოვლათისადმი ყაირათიანი დამოკიდებულების, ლოთობის, ხულიგნობის, გამომძალველობისა და კომუნისტური მორალის სხვა ანტიპოდებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით (მე-17 მუხლი).

დამნაშავეობისა და სხვა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურა და მონაწილეობენ მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები — პროფკავშირები, კომკავშირი, ნებაყოფლობითი საზოგადოებები. შექმნილია სპეციალიზებული თვითმოქმედი ორგანიზაციების ფართო ქსელი — ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები, ამხანაგური სასამართლოები, ბავშვებთან და მოზარდებთან მუშაობის საზოგადოებრივი საბჭოები, საბინაო კომიტეტები და ა. შ. ფუნქციონირებენ პროფილაქტიკური საბჭოები შრომით კოლექტივებში, სახალხო მსაჯულთა საბჭოები, ამხანაგური სასამართლოების მუშაობის საზოგადოებრივი საბჭოები, მართლწესრიგის დაცვის საზოგადოებრივ პუნქტებთან არსებული საბჭოები და სხვ. სამართალდარღვევათა პროფილაქტიკაში, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან მოქმედი არასრულწლოვანთა საქმეების, მუქთახრობის, ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პროფილაქტიკური საქმიანობის სიმძიმის გადატანას მოქალაქეთა სამუშაო, საცხოვრებელ და სასწავლო ადგილას. დღეისათვის, მაგალითად, დედაქალაქში შრომითი კოლექტივის, მიკრორაიონის, რაიონისა და ქალაქის მასშტაბით პროფილაქტიკურ საქმიანობას ეწევა 40-ზე მეტი საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

საზოგადოებრიობა აქტიურად მონაწილეობს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ყველა ეტაპზე: სათანადო რეაგირებას ახდენს ისეთ დარღვევაზე, რომელიც ჯერ კიდევ არ გადაზრდილა დანაშაულში; ავლენს დანაშაულის ხელშემწყობ პირობებს და ახორციელებს ღონისძიებებს მათს აღმოსაფხვრელად; აღმზრდელით შემოქმედებას ახდენს ცალკეულ მერყევ ელემენტებზე, რათა თავიდან აიცილონ მათ მიერ დანაშაულის ჩადენა; აქტიურად მონაწილეობს დანაშაულის გამომჟღავნებასა და გახსნაში, დამნაშავე პირების დაკავებაში, საქმის გამოძიებასა და სასამართლო განხილვაში, მსჯავრდადებულთა აღზრდა-გამოსწორებაში და ა. შ. აქვე უნდა ითქვას, სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობა სრულ-



ლებითაც არ ნიშნავს სამართალდამცველი ორგანოების როლის შესუსტებას ან მათი სამსახურებრივი ფუნქციების გადაცემას საზოგადოებრიობისათვის. მისი მიზანია ხელი შეუწყოს, დაეხმაროს სამართალდამცვეს ორგანოებს მათი ფუნქციების განხორციელებაში.

მართლწესრიგის განმტკიცებისადმი ხელმძღვანელობის დედაქალაქის პარტიულ ორგანიზაციაში დამკვიდრებულმა სისტემამ საშუალება მოგვცა მაქსიმალურად გაგვეაქტიურებინა საზოგადოებრიობის მონაწილეობა დამნაშავეობის, სამართალდარღვევათა და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტთან ჩამოყალიბებულია და ფუნქციონირებს მართლწესრიგის განმტკიცებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ჯგუფი, რომელიც ქალაქის მასშტაბით კოორდინაციას უწევს ყველა ორგანოს, ძირეული და საშუალო რგოლის მთელ საქმიანობას. სამუშაო ჯგუფი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში შრომითი კოლექტივების ფართო საზოგადოებრიობის ჩაბმას. ამის წყალობით დედაქალაქში შეიმჩნევა სახალხო რაზმეულების, ამხანაგური სასამართლოებისა და სხვა საზოგადოებრივ ფორმირებათა აქტიურობა, მალღდება მართლწესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების ავტორიტეტი, უფრო თანამიმდევრულად წარმოებს ბრძოლა ლოთობის, ალკოჰოლიზმის, ნარკომანიისა და მუქთახორობის წინააღმდეგ.

ჩვენი განსაკუთრებული ზრუნვის საგანია სახალხო რაზმეულების საქმიანობა, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქალაქში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფაში. განხორციელებული ღონისძიებების შედეგად არსებითად დაიხვეწა და უფრო სრულყოფილი გახდა მართლწესრიგის განმტკიცებაში, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის ეს ფორმა.

ქ. თბილისის ყველა რაიონში შექმნილია სახალხო რაზმეულთა შტაბები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ პარტიის რაიონული კომიტეტის მდივნები. ქალაქის მასშტაბით მათს საქმიანობას კოორდინაციას უწევს სახალხო რაზმეულთა საქალაქო შტაბი.

ამჟამად თბილისში 1.126 სახალხო რაზმეულია, რომლებიც თავიანთ რიგებში აერთიანებენ 40 000 სახალხო რაზმელს, მათს შემადგენლობაში 13.286 კომუნისტი და 14.874 კომკავშირელია. ყოველწლიურად ქალაქის ქუჩებში და მოედნებზე სამორიგოდ გამოდის 1.200 რაზმელი. სპეციალური სახალხო რაზმეულები შინაგან საქმეთა ორგანოების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამსახურის მუშაკებთან ერთად ეწევიან პატრულირებას.

სახალხო რაზმეულების საქმიანობის მეტად საინტერესო ფორმა დაინერგა ტრანსპორტზე. ჩამოყალიბდა სახალხო რაზმეული მოწინავე მძღოლებისაგან. რომელთა ავტომანქანები აღჭურვილია კავშირგაბმულობის საშუალებებით. მათი მოვალეობაა ოპერატიულად აცნობონ შინაგან საქმეთა ორგანოებს სამართალდარღვევის ყველა ფაქტი. რომლებსაც ისინი შენიშნავენ ქალაქში თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს.

შექმნილია სპეციალიზებული სახალხო რაზმეულები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ასეთი სახალხო რაზმეული ფუნქციონირებს თბილისის შინაგან საქმეთა სამმართვე-



ლოს სახელმწიფო ავტონისპექციის განყოფილებასთან. მათი დახმარებით უფრო ეფექტიანად წარმოებს მოძრაობის შედარებით რთულ უბნებში კონტროლი, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილება, აგრეთვე მოძრაობის წესების დარღვევათა პროფილაქტიკის ამოცანების გადაწყვეტა.

მილიციის გამოცდილი მუშაკები, როგორც წესი, მორიგეობის დაწყების წინ ინსტრუქტაჟს უტარებენ სახალხო რაზმელებს. ხორციელდება ღონისძიებანი სახალხო რაზმელთა სამართლებრივი ცოდნის ღონის ასამაღლებლად. პრინციპული მნიშვნელობა აქვს სახალხო რაზმეულთა საქმიანობის შედეგების შეჯამებას, მათი მუშაობის პერიოდულ შემოწმებას. ყოველწლიურად ეწყობა სახალხო რაზმეულთა დათვალიერება. მაგალითად, წლეულს დათვალიერება გაიმართა სექტემბერში, სახალხო რაზმეულთა საქალაქო შტაბის გვეგის მიხედვით. სპეციალური კომისიის შემადგენლობას ხელმძღვანელობდა პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი. პრესის ორგანოები სისტემატურად აშუქებენ დათვალიერების მიმდინარეობას. შედეგების შესაჯამებლად ყველა რაიონში გაიმართა შეკრებები, რომლებზეც მოწინავე რაზმეულების გამოცდილების განზოგადებასთან ერთად დიდი ყურადღება დაეთმო რაზმეულების საქმიანობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს. დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის ეფექტიანი ფორმაა აგრეთვე მართლწესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების საქმიანობა. იგი ლენინგრადის მშრომელთა ინიციატივის საფუძველზე წარმოიშვა და ფართო გავრცელება ჰპოვა. ამჟამად იგი დამნაშავეობის პროფილაქტიკის სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს დადგენილებით პარტიის რაიკომებსა და რაიონული საბჭოს აღმასკომებს დაევალოთ ქალაქის ყველა საბინაო-საექსპლოატაციო კანტორასთან შეექმნათ მართლწესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტები. პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ნაყოფიერად იმუშავეს ამ პუნქტების ფორმირების, მათთვის შესაფერისი შენობების გამოყოფის, სათანადო ინვენტარითა და მოწყობილობებით აღჭურვისათვის. დღეისათვის ასეთი პუნქტი ჩამოყალიბებულია დედაქალაქის 69 საბინაო-საექსპლოატაციო კანტორასთან.

მართლწესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტები შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკთა მონაწილეობით პერიოდულად ახორციელებენ კომპლექსურ გამაფრთხილებელ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, აღრიცხავენ იმათ, ვინც არ ეწევა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, არკვევენ მეზობლებსა და ოჯახის წევრებს შორის კონფლიქტურ სიტუაციებს ავლენენ დებოზიორებს, ალკოჰოლიანი სასმელების ბოროტად გამოყენებელთ და წინათ ნა-სამართლევ პირებს. უმეტესაყურეოდ დარჩენილ მოზარდებს და ა. შ.

ტერიტორიულ და სამუშაო ადგილას სამართალდარღვევათა პროფილაქტიკა კომპლექსურ, ერთიან ხასიათს რომ ატარებდეს, საზოგადოებრივ პუნქტებს მჭიდრო კონტაქტები აქვთ დამყარებული შრომითს კოლექტივებში შექმნილ სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საბჭოებთან, საწარმო-დაწესებულებათა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. ერთი სიტყვით, მართლწესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტები მიკრორაიონში სამართალდარღვე-



ვათა წინააღმდეგ ბრძოლაში ასრულებენ თავისებური მაკოორდინირებელი ორგანოს როლს.

ქრისტიანობის საზოგადოებრივ ქმედებათა პროფილაქტიკაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის შრომითს კოლექტივებს, რომლებიც მოწოდებული არიან განამტკიცონ შრომის დისციპლინა, საზოგადოებრივი წესრიგი, დაიცვან სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები, გაუფრთხილდნენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ქონებას, მომჭირნენ ხარჯონ ნედლეული და მასალები.

დამნაშავეობასთან, უყაირათობასთან, ლოთობასთან და სხვა ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის უზრუნველყოფაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საბჭოები, რომლებიც შექმნილია მსხვილ საწარმო-დაწესებულებებთან.

პროფილაქტიკის საბჭოს, შემადგენლობაში შედიან მოწინავე მუშა-მოსამსახურეები, ადმინისტრაციის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, სახალხო რაზმელები, ამხანაგური სასამართლოების, დამრიგებელთა საბჭოებისა და მშრომელთა სხვა თვითმოქმედი ორგანიზაციების წევრები. იმ სამშენებლო ორგანიზაციებში სადაც მუშაობენ პირობით მსჯავრდადებული და თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით გათავისუფლებული პირები, საბჭოს შემადგენლობაში შედიან აგრეთვე შესაბამისი კომენდატურის მუშაკები.

საბჭოებს მჭიდრო კავშირი აქვთ შინაგან საქმეთა ორგანოებთან და მართლწესრიგის დაცვის საზოგადოებრივ პუნქტებთან. რაც გამოიხატება რეგულარულად ინფორმაციის გაცვლით და აღრიცხვაზე მყოფ კონტინგენტთან ერთობლივ ინდივიდუალურ-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელებით. ისინი უშვებენ კედლის და მრავალტირაჟიან გაზეთებს.

პროფილაქტიკის საბჭოები სისტემატურად ისმენენ საწარმოს ხელმძღვანელთა, საამქროს, უბნის, განყოფილების უფროსთა, ბრიგადირების, ოსტატების, საერთო საცხოვრებელის კომენდატების ინფორმაციებს სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის ხაზით მუშაობის მდგომარეობის შესახებ, აძლევენ მათ რეკომენდაციებს სამართალდარღვევათა თავიდან აცილების, სასწავლო და შრომის დისციპლინის განმტკიცების მიზნით. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ საშეფო მუშაობას იმ პირებთან, რომლებსაც აქვთ მიდრეკილება ანტი-საზოგადოებრივი ქცევისადმი.

პროფილაქტიკის საბჭოების საქმიანობის გაუმჯობესებას ხელს უწყობს მათი ანგარიშის მოსმენა ადმინისტრაციისა და პარტიული ორგანიზაციის მიერ.

ზნობილია, რომ მოზარდთა შორის სამართალდარღვევათა თავიდან აცილება და აღკვეთა დიდ გავლენას ახდენს დამნაშავეობის შემცირებაზე. ანტი-საზოგადოებრივი შეხედულებანი და ჩვევები პირს სწორედ ამ ასაკში უყალიბდება და დაღს ასვამს მის მთელ ცხოვრებას. კრიმინოლოგიური გამოკვლევები მოწმობს, რომ რეციდივისტი ქურდების უმეტესობა დანაშაულებრივ გზას 18 წლის ასაკამდე დაადგა.

ბოლო დროს საგრძნობლად დაიხვეწა არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების თავიდან აცილების ღონისძიებათა სისტემა. პრაქტიკაში მკვიდრდება არასრულწლოვანთა შორის იდეოლოგიური, აღმზრდელიობითი და გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური მუშაობის ახალი ქმედითი ფორმები, სხვადასხვა




ორგანოს, დაწესებულებისა და მშრომელთა თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას ამ დარგში წარმართავს პარტიის საქალაქო კომიტეტთან არსებული მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის პრობლემების საკოორდინაციო საბჭო.

საბჭოსთან შექმნილია და ნაყოფიერად მუშაობს ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი, ინტერნაციონალური და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის, პროფორიენტაციისა და სხვა სექცია. საბჭო სწავლობს და განაზოგადებს სასწავლო დაწესებულებების, განათლების ორგანოების, შემოქმედებითი კავშირებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამოცდილებას ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში. ამ საქმეში საინტერესო გამოცდილება აქვთ მაგალითად, ლენინისა და გლდანის რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებს. ლენინის რაიონში შექმნილია მშობელთა საზოგადოება, რომელიც იურიდიული პირის სტატუსით ფუნქციონირებს. მშობელთა რაიონული საზოგადოება და მისი პირველადი ორგანიზაციები მთელ თავიანთ საქმიანობას წარმართავენ პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით. მათ მჭიდრო კავშირი აქვთ საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ, სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, შემოქმედებით კავშირებთან, სამეურნეო და ადმინისტრაციულ ორგანოებთან. საზოგადოება ახორციელებს კომპლექსურ ღონისძიებებს აღზრდის მთელი პროცესის შემდგომ, სრულყოფისათვის, უზრუნველყოფს ბავშვთა სწავლასა და აღზრდაში პროფტექნიკური სასწავლებლების, სკოლებისა და სკოლამდელთა დაწესებულებების პედკოლექტივების, მოსწავლეთა ოჯახისა და საშეფო შრომითი კოლექტივების მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობას. საზოგადოება ხელს უწყობს რაიონში დემოკრატიული მდგომარეობის გაუმჯობესებას, ოჯახის განმტკიცებას, ბავშვთა იდეურ-პოლიტიკურ, შრომითსა და ზნეობრივ ჩამოყალიბებაში მშობელთა პირადი პასუხისმგებლობის ამაღლებას; ახორციელებს ღონისძიებებს ახალი ოჯახების შექმნის, შობადობის, მრავალშვილიანობას წასახალისებლად; პროპაგანდას უწყევს სანიმუშო ოჯახების და მშობლების გამოცდილებას; მიკრორაიონის საბჭოებთან, საბინაო-საექსპლოატაციო კანტორებთან, მათს პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობს მუშაობაში ბავშვებისა და მოზარდების თავისუფალი დროის რაციონალური ორგანიზაციისათვის; ზრუნავს ბავშვებისა და მშობლების ერთობლივი საქმიანობის და დასვენების, სპორტულ-მასობრივი, სამხარეთმცოდნეო და ტურისტული მუშაობის ტრადიციის დანერგვისათვის, საოჯახო მხატვრული თვითშემოქმედების განვითარებისათვის; აწყობს თვითმოქმედების კონკრეტებს, სპორტულ შეჯიბრებებს, შაბათობებს, მიკრორაიონის, ქუჩის კეთილმოწყობისა და გამწვანების მიზნით. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოზარდთა შორის სამართალდარღვევების პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებას.

ლენინის რაიონში აქტიურად იწერება ახალი დღესასწაულები და წესჩვეულებანი, საოჯახო ტრადიციები, რომლებიც აღსავსეა მაღალი ზნეობრივი აზრით. ფართოდ გავრცელდა კომკავშირულ-ახალგაზრდული ქორწილები, თაობათა ესტაფეტის საზეიმო გადაცემა, ქუჩის ზეიმები, შრომითი დინასტიების, სამაგალითო ოჯახების პატივისცემა და სხვ.

ახალგაზრდათაობას პოლიტიკურ, იდეურ-ზნეობრივ აღზრდაში ოჯახის როლის, მშობელთა პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის





ქ. თბილისის ლენინისა და ზესტაფონის რაიონული პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში დადებითად იქნა შეფასებული ლენინის რაიონის პარტიული ორგანიზაციის მუშაობა. დადგენილებაში ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე, ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე დასახულია მათი დაძლევის გზები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ზემოაღნიშნული დადგენილებიდან გამომდინარე ამოცანებს მიეძღვნა შარშან პარტიის ლენინის რაიონული კომიტეტის პლენუმი, რომელმაც შეიმუშავა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის გაუმჯობესების, მოზარდთა შორის სამართალდარღვევითა აღმოფხვრის, ამ საქმეში ოჯახის, მშობლებისა და ფართო საზოგადოებრიობის როლის შემდგომი ამოღების კომპლექსურ ღონისძიებათა გეგმა.

არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების პროფილაქტიკაში საზოგადოებრიობის ჩაბმისათვის უპირატესად კონკრეტულ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა პარტიის გლდანის რაიკომი. მუშაობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრისათვის რაიონის 600-მდე პედაგოგმა შეისწავლა მოზარდთა ანტისაზოგადოებრივი ქცევის რაიონისათვის დამახასიათებელი ფაქტორები. აღირიცხა ყველა მოზარდი, რომლებსაც მოუწყვსრიგებელ ოჯახებში უწყვეტ ცხოვრება. სკოლების მიხერვით განაწილდა ძნელად აღსაზრდელი ბავშვები და განისაზღვრა მათ სასწავლო და საცხოვრებელ ადგილას პედაგოგიური ზემოქმედების ზონები.

საშეფო მუშაობა წარმოებს ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ შრომა-აღმშრდებლობითს კოლონიასთან. შედგენილია დემოგრაფიული მონაცემები იმ პირებზე, რომლებიც თავისუფლდებიან სასჯელის მოხდის ადგილებიდან. მათი შრომითი მოწყობისა და საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარებას მუდმივ კონტროლს უწყევნ პარტიის რაიკომი, რაიონული საბჭოს აღმასკომი და კომკავშირის რაიკომი.

გლდანის კომკავშირის რაიკომთან შექმნილია კომკავშირული ოპერატიული რაზმები 120 კაცის შემადგენლობით, ისინი პედაგოგ-ორგანიზატორებთან ერთად სისტემატურად აწყობენ რეიდებს არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების გამოსაუღუნად. მაგალითად, წლეულს 168 რეიდა გამოაქვლინა სამართალდარღვევები, სამუშაოდ გაიგზავნა 125 სკოლადამთავრებული, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაება 83 დროებით უმუშევარი.

პროფილაქტიკის მიზნით შემოწმდა 7 საერთო საცხოვრებელი. შემოწმების შედეგები განიხილეს კომკავშირის რაიკომის ბიურომ და პარტიის რაიკომთან არსებულმა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კომისიამ. სისტემატურად მოწმდება არასრულწლოვანთა ინსპექციებში აღრიცხვაზე მყოფ მოზარდებთან შეფების მუშაობა, პრაქტიკაში ინერგება მათი ანგარიშის მოსმენა პარტიის რაიონული კომიტეტის ბიუროს სხდომაზე და მშრომელთა კრებებზე. ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით პარტიის რაიკომის ბიუროს წევრები აღმინისტრაციული ორგანოების მუშაკებთან ერთად ხვდებიან პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებს. მოზარდთა ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებების წინააღმდეგ ბრძოლის მთელ



საქმიანობას რაიონის მასშტაბით კოორდინაციას უწევს არასრულწლოვანთა დამნაშავეობის პროფილაქტიკის საბჭო.

**წ**ინამდებარე სტატიაში ჩვენ შევეცადეთ გაგვეშუქებინა დამნაშავეობისა და სხვა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში შრომითი კოლექტივების, ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობის ზოგიერთი საკითხი. დადებითთან ერთად, რასაკვირველია, გვაქვს ნაკლოვანებანიც. ჯერ კიდევ ბევრია. მაგალითად, ფორმალიზმის, პრიმიტივიზმის, მოქალაქეთა იდეური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდისადმი ზერელე დამოკიდებულების შემთხვევები. ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა და საზოგადოებრიობის აქტიურობის ამაღლება ჩვენ მიგვაჩნია დამნაშავეობის, სამართალდარღვევათა და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვან რეზერვად.

უკანასკნელ ზანს მუშაობის გააქტიურებას, მომთხონელობის გაძლიერებას დადებითი შედეგი მოჰყვა. ქალაქში მიმდინარე წელს სტაბილური ოპერატიული ვითარებაა, მნიშვნელოვნად შემცირდა როგორც საერთო სახის, ასევე განსაკუთრებით საშიში დანაშაული, გაუმჯობესდა დანაშაულის გახსნის მდგომარეობა, უფრო ორგანიზებული გახდა სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობა.

**ყ**ოველივე ეს საფუძველს გვაძლევს გამოვთქვათ მტკიცე რწმენა, რომ დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციების, ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები, შრომითი კოლექტივები წესრიგისა და დისციპლინის შემდგომი განმტკიცების საქმეს კიდევ უფრო მასშტაბურად და შემტევი სულისკვეთებით წარმართავენ და ახალი მიღწევებით შეხვდებიან 39-ე საქალაქო პარტიულ კონფერენციას.







# სამეურნეო დავების განხილვა რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებში

## 3. მანისუბაძე

საქართველოს სსრ შთავარი სახელმწიფო არბიტრი

სახელმწიფო არბიტრაჟი არის სამართალდაცვითი ორგანო, რომელიც მოწოდებულია განამტკიცოს მეურნეობრიობის სოციალისტური სისტემა, სახელმწიფო და საგეგმო დისციპლინა, სამეურნეო ანგარიში.

სახელმწიფო არბიტრაჟი წყვეტს დავას, რომელიც წარმოიშობა სახელმწიფო, კოოპერაციულ (გარდა კოლმეურნეობებისა), საკოლმეურნეობათაშორისო და სახელმწიფო-საკოლმეურნეო საწარმოებს, ორგანიზაციებს და მათს გაერთიანებებს, აგრეთვე სხვა საზოგადოებრივ საწარმოთა და დაწესებულებათა შორის, გარდა იმ დავისა, რომელიც სსრ კავშირის კანონმდებლობით სხვა ორგანოების განმგებლობას განეკუთვნება. საქართველოს სსრ რესპუბლიკის წინადადებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 10 ოქტომბრის ბრძანებულებით სახელმწიფო არბიტრაჟს დაეკვემდებარა აგრეთვე დავა, რომელიც წამოიჭრება იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო დამზადების ორგანოები და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციები დამზადების დარგში გადაეცა სახელმწიფო-საკოლმეურნეო დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და მათს გაერთიანებებს.

სამეურნეო დავის განხილვის პროცედურას განსაზღვრავს სახელმწიფო არბიტრაჟი სამეურნეო დავების განხილვის წესებით, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 5 ივნისის დადგენილებით. სახელმწიფო არბიტრაჟი მოვალეა უზრუნველყოს საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვა, სამეურნეო დავის გადაწყვეტისას აქტიური ზეგავლენა მოახდინოს საწარმოებზე, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებზე, რათა მათ დაიცვან სოციალისტური კანონიერება, შეასრულონ საგეგმო დავალბანი და სახელშეკრულებო ვალდებულებანი, ებრძოლოს კუთხურობას და სხვა უწყესრიგობას სამეურნეო საქმიანობაში გამოიყენოს ქონებრივი პასუხისმგებლობის სანქციები საგეგმო და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევებისათვის, განახორციელოს ღონისძიებანი სამეურნეო დავის გადაწყვეტაში კანონმდებლობის ერთგვაროვანი და სწორი გამოყენებისათვის, ხელი შეუწყოს სახალხო მეურნეობაში სახელშეკრულებლო და საპრეტენზიო მუშაობის გაუმჯობესებას. ამასთან ერთად სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებს ევალბათ საქმის განხილვის დროს გამოავლინონ კანონიერების, სახელმწიფო დისციპლინის დარღვევები, აგრეთვე სხვა ნაკლოვანებანი, შეიტანონ წინადადებანი მათი აღკვეთისა და თავიდან აცილებისათვის, ხოლო თუ საჭირო გახდა, დამნაშავე პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებებაში მიცემისათვის.

სამეურნეო დავის გამო გადაწყვეტილების მიღების დროს სახელმწიფო არბიტრაჟი სარგებლობს ფართო უფლებით. კანონით მას შეუძლია ვაცდგეს სასარჩელო მოთხოვნების ფარგლებს, თუ ამას სახელმწიფო, აგრეთვე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების კანონით დაცული ინტერესები მოითხოვს.



გარდა ამისა, იგი უფლებამოსილია ვალდებულების უნებმად დამრღვევ მხარეს გადახდევინოს პირგასამტეხლო ჯარიმა, აგრეთვე საურავი მომეტებული ოდენობით კანონმდებლობით დაწესებულ შემთხვევაში და ფარგლებში, ამასთან თანხის ეს ნაწილი გადაარიცხოს საკავშირო ბიუჯეტში. არბიტრაჟის ორგანოებს უფლება აქვთ მთლიანად ან ნაწილობრივ გადაარიცხონ საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში გადახდევინებული პირგასამტეხლო ჯარიმა, საურავი, თუ მოსარჩელეს არ წაუყენებია მოთხოვნა სანქციების შესახებ, ანდა დაარღვია კანონმდებლობა, რაც ზრდის მოპასუხის პასუხისმგებლობას, აგრეთვე მაშინ, როცა საქმე აღძრულია სახელმწიფო არბიტრაჟის ინიციატივით.

სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ, მისი მიღებისთანავე შედის ძალაში და აუცილებლად უნდა აღასრულოს ყველა საწარმომ, დაწესებულებამ, ორგანიზაციამ, სამინისტრომ, სახელმწიფო კომიტეტმა, უწყებამ. გადაწყვეტილების აღსრულება ხდება სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ გაცემული ბრძანების საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს აღმასრულებელ დოკუმენტს.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში დღეისათვის მოქმედებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი. დადებითად გადაწყდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სახელმწიფო არბიტრაჟის შექმნის საკითხი.

რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებში 1983 წლის 6 თვეში განხილულია 12 510 დავა, მათ შორის 12 235 ქონებრივი, რაც 1036 ერთეულით მეტია 1982 წლის შესაბამის პერიოდთან, გადახდევინებულია 31 113 ათასი მანეთი, ხოლო სანქციის სახით 24 216 ათასი მანეთი. მათ შორის გაზრდილი სანქცია სახელმწიფო არბიტრაჟის ინიციატივით გამოყენებულია 341 საქმის მიმართ და თანხობრივად შეადგენს 1 685 ათას მანეთს. გაზრდილი სანქციები გადახდევინებულია ძირითადად იმ დავების მიმართ, რომლებიც პროდუქციისა და საქონლის მიუწოდებლობის გამო წარმოიშვა.

დიდი ყურადღება ექცევა იმ დავას, რომელიც უკავშირდება სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებას, შეცვლას, გაუქმებას.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები განუხრელად ხელმძღვანელობენ კანონიერების პრინციპით. ამაში ჩვენ დახმარებას გვიწევს საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო, რომელშიც გაერთიანებული არიან სწავლული იურისტები, იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების გამოცდილი მუშაკები.

სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების მუშაობის გარდაქმნაში დიდი როლი შეასრულა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის დადგენილებამ დაგეგმვის გაუმჯობესებასა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების თაობაზე. ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება ხელს უწყობს სამეურნეო ხელშეკრულების როლის შემდგომ ამაღლებას, წარმოების გეგმის უკეთ ფორმირებას, სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერებას, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას. თუ 1982 წლის



6 თვეში განხილული იყო 254 წინასახელშეკრულებო დავა, 1983 წლის 6 თვეში განხილულია 275 ასეთი დავა, როგორც წესი დავას განიხილავენ შემოკლებულ, ორკვირიან ვადაში.

ამ სახეობათა დავის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჯერ კიდევ ბევრი საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელები არ იჩენენ სათანადო ყურადღებას სამეურნეო ხელშეკრულების მიმართ. ხშირად ხელშეკრულებას აფორმებენ არაკომპეტენტური პირები. საწარმოთა ხელმძღვანელები ვერ ერკვევიან მათი დადების წესებსა და ვადებში, არ იჩენენ სათანადო პასუხისმგებლობას, არ მონაწილეობენ სახელმიფო არბიტრაჟის მუშაობაში, წინასახელშეკრულებო დავის განხილვაში. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევა, გათვალისწინებულ ვადაში ნაკლებმიწოდების ან მიწოდების გადაცილება კი საგრძნობ ვავლენას ახდენს იმ საწარმოთა რიტმულ მუშაობაზე, რომლებთანაც დამყარებულია სახელშეკრულებლო ურთიერთობა, ასეთი დარღვევები უარყოფითად მოქმედებს მომიჯნავე საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობაზე, ლახავს მათს ინტერესებს.

1982 წლის 6 თვეში განხილულია 2068 დავა ნაკლებმიწოდებისათვის პირგასამტეხლოს გადახდევინების შესახებ, რომელიც ფულადი გამოხატულებით 6 348 ათას მანეთს შეადგენს. 1983 წლის 6 თვეში კი გადაწყვეტილია 2497 ასეთი დავა და გადახდევინებულია 16 128 ათასი მანეთი პირგასამტეხლო. როგორც ხედავთ, განხილულია 429-ით მეტი საქმე, ხოლო გადახდევინებული ჯარიმა გაზრდილია 9 780 ათასი მანეთით.

1983 წლის ივნისის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა თქვა: „ხარისხის ეტალონები ყოვლად უშეღავათო, უმაღლესი უნდა იყოს, თორემ დღეს ზოგჯერ მართლაც გულსატკენ მდგომარეობას ვაწყდებით: საწყისი მასალა კარგია, პროდუქცია კი ასეთია, რომ ხალხი ამჯობინებს მეტი ნისცეს სპეკულანტს, ოღონდ კარგი და გემოვნებით გაკეთებული საქონელი შეიძინოს. საქმე უნდა გამოვასწოროთ, გამოვასწოროთ დაუყოვნებლივ“.

სახელმწიფო არბიტრაჟი, რომელიც ხელმძღვანელობს ამ მითითებით, ყოველ დონეს ხმარობს იმისათვის, რომ არც ერთი საწარმო არ დარჩეს დაუსჯელი მდარე ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის. 1983 წლის 6 თვეში განხილულია 1740 დავა, გადახდევინებულია 4 607 ათასი მანეთი, აქედან საჯარიმო თანხა 2 255 ათასი მანეთი. გარდა ამისა, უხარისხო პროდუქციის გამო იგზავნება შეტყობინებები პარტიულ და სახალხო კონტროლის ორგანოებში, ხოლო თუ საჭირო გახდა, საგამოძიებო ორგანოებშიც. 1982 წლის იმავე პერიოდთან შედარებით დავათა რაოდენობა თუმცა სულ 28 ერთეულით გაიზარდა, მაგრამ გადახდევინებული თანხა საგრძნობლად აღემატება ადრინდელს და შეადგენს 1 472 ათას მენეთს.

1983 წლის 6 თვის განმავლობაში განხილულია 2752 დავა დანაკლისის გამო, ანუ 1982 წლის 6 თვესთან შედარებით 309-ით მეტი დავა. გადახდევინებულია 1563 ათასი მანეთი, ანუ 325 ათასი მანეთით მეტი. ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ ჯერ კიდევ არის საწარმოები, სადაც ყურადღება არ ექცევა სოციალისტურის საკუთრების დაცვას. მნიშვნელოვანი დანაკარგებია გადაზიდვის ხელშეკრულებათა შესრულების დროს. მაგალითად. 1983 წლის 6 თვის



განმავლობაში ამერიკაცავკასიის რკინიგზის სამმართველომ ტვირთის დაკარგვისა და დანაკლისისათვის გადაიხადა 681 ათასი მანეთი.

დიდი ყურადღება ეთმობა კაპიტალური მშენებლობის ხელშეკრულების დარღვევიდან გამომდინარე დავას. მარტო 1981 წლიდან 1983 წლის 6 თვის ჩათვლით სხვადასხვა დარღვევის გამო სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდევინებულია 2 789 ათასი მანეთი.

სამეურნეო საქმიანობაში კანონიერების და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევათა თავიდან აცილებისა და სამეურნეო მუშაკთა სამართლებრივი ცოდნის დონის ამაღლების მიზნით 1983 წლის 6 თვეში უშუალოდ საწარმოში და დაწესებულებაში განხილულია 910 საქმე, რასაც თან სდევს შესაბამისი კონსულტაციების მოწყობა. ჩვენმა თანამშრომლებმა წაიკითხეს 48 ლექცია, მოაწყვეს 41 სემინარი სამეურნეო კანონმდებლობას განმტკიცების საკითხებზე. წლეულს თებერვალში რესპუბლიკის 11 აგროსამრეწველო გაერთიანებაში (გორის, სამტრედიის, ვარდაბნის, თეთრი წყაროს, კასპის, ცხაკაიას, ზუგდიდის, თელავის, ხობის, მარნეულის, ბოლნისის რაიონებში) მოეწყო სემინარი სახელმწიფოებლო საპრეტენზიო საკითხებზე.

ეს რაიონები შერჩეული იყო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების კომიტეტთან შეთანხმებით. ივნისში იმავე საკთხებზე გაიმართა ორი რესპუბლიკური სემინარი (რუსულ და ქართულ ენაზე) ამ კომიტეტის აგროსამრეწველო გაერთიანებების იურიდიული სამსახურის მუშაკებთან.

სახელმწიფო არბიტრაჟი ცდილობს აღკვეთოს საწარმოთა ურთიერთ-ამნისტირების, სახელმწიფოებლო ვალდებულებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების შემთხვევები საკუთარი ინიციატივით საქმეთა აღძვრის ვხით. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ მასალები სახელმწიფო სტანდარტების და სამშენებლო ბანკის ორგანოებიდან რეგულარულად არ შემოდის, ჩვენი არაერთი თხოვნისა და შეხსენების მიუხედავად.

საქმეთა განხილვის დროს გამოვლენილ საგეგმო და სახელმწიფოებლო დისციპლინის უხეშ დარღვევათა გამო საწარმოების, საწარმოო გაერთიანებების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს ეგზავნებათ შეტყობინება სათანადო ღონისძიებათა განსახორციელებლად. მარტო მიმდინარე წლის 6 თვეში ვაგზავნილია 579 შეტყობინება სოციალისტური კანონიერების და სახელმწიფო დისციპლინის სერიოზულ დარღვევათა გამო.

ქ. რუსთავის საწარმოთა ეკონომიკური მნიშვნელობისა და რუსთაველ მეტალურგთა მოწინავე გამოცდილების გათვალისწინებით 1978 წელს პირველად განაზოგადეს და გააანალიზეს ტერიტორიული ნიშნის მიხედვით საქმეები იმ საწარმოთა მიმართ, რომლებიც მოპასუხედ გამოდიოდნენ. სათანადო წერილი ამის თაობაზე ვაგზავნა პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტს. ასეთი პრაქტიკა დანერგილია სხვა ქალაქებსა და რაიონებშიც. მაგალითად, მიმდინარე წელს ასეთი ინფორმაცია ვაგზავნა პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტში.

თუ არბიტრაჟი საჭიროდ მიიჩნევს, შეტყობინებები ეგზავნებათ სამინისტროებს, სახალხო კონტროლის ორგანოებს, ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს და პროკურატურის ორგანოებს. საერთოდ, ბოლო ხანს გაძღვერდა ჩვენი კონტაქტი სამართალდაცვითა და მაკონტროლებელ ორგანოებთან.



თებერვალში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაგზავნა რესპუბლიკის პროკურატურის, სახელმწიფო სტანდარტების და სახელმწიფო არბიტრაჟის ერთობლივი შეტყობინება უხარისხო. არასტანდარტული და არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვების თაობაზე. მიღებულია სათანადო გადაწყვეტილება, სამინისტროებს, უწყებებს მიეცათ შესაბამისი მითითება.

მიუწოდებლობის კონკრეტული გადაწყვეტილება ცნობად ეგზავნება შესაბამის პარტიულ კომიტეტს. მიმდინარე წლის 6 თვეში უკვე გაგზავნილია 200 ასეთი გადაწყვეტილება.

კანონმა სახელმწიფო არბიტრაჟს მიანიჭა უფლება გაეცნოს ხელშეკრულებათა დადების პრაქტიკას, მისცეს შესაბამისი რეკომენდაციები საწარმო-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

ბოლო წლებში შევისწავლეთ რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის, საშენ მასალათა, მსუბუქი მრეწველობის, სასოფლო მშენებლობის სამინისტროთა პრაქტიკა, აგრეთვე საწარმოო გაერთიანება „ისნის“, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“, საწარმოო გაერთიანება „საქთევზ-მრეწვის“, ქარხანა „საქსოფლმანქანის“, თბილისის გაერთიანება „სოლანის“, საწარმოო გაერთიანება „საქქიმის“. რუსთავის ამწესაშენებელი ქარხნის, სიღნაღის სამკერვალო ფაბრიკის პრაქტიკა სამეურნეო კანონმდებლობის დაცვის საქმეში. საკითხები, როგორც წესი, განიხილება სახელმწიფო არბიტრაჟის კოლეგიის სხდომაზე, შესაბამისი ხელმძღვანელობის აუცილებელი მონაწილეობით.

გაწეული მუშაობის მიუხედავად, არბიტრაჟის ორგანოების საქმიანობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. არის საქმეთა განხილვის ვადების დარღვევის ფაქტები, უკანონო და შეუსაბამო გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევები, ზოგ გადაწყვეტილებას აკლია დამაჯერებლობა, ადევს ზერელობის ნიშანი. ყოველთვის არ იგზავნება შეტყობინებანი პროკურატურის ორგანოებში. ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად ხორციელდება საჭირო ღონისძიებანი. მეტი ყურადღება ექცევა საკადრო პოლიტიკას, მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები მათ წინაშე დასახულ გადიდებულ ამოცანათა გათვალისწინებით კვლავაც ყოველ ღონეს იხმარენ მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მკაცრად იბრძოლებენ უწყებრიობისა და კუთხურობის წინააღმდეგ.

**სსსრ** ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა სსსრ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე თქვა: „სახელმწიფო გეგმების შესრულების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, საწარმოო სიმძლავრეების, ნედლეულის, ენერჯის, სამუშაო დროის, კაპიტალდაბანდებათა უკეთ გამოყენებისათვის, ორგანიზებულობისა და პასუხისმგებლობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში, უძრავობისა და ბიუროკრატიზმის, უწყებრიობისა და კუთხურობის წინააღმდეგ ბრძოლაში ყალიბდება სოციალისტური მშრომელის მოქალაქეობრივი თვისებები, საერთო კეთილდღეობისათვის კეთილსინდისიერი შრომის მოთხოვნისა“.

ამ ამოცანების შესრულებას უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოთა მთელი საქმიანობა.







ცნობილია ქალს ჩვენს საზოგადოებაში დაკისრებული აქვს საპატიო ფუნქციები მომავალი თაობის აღზრდასა და ჩამოყალიბებაში.

ამ დანაშაულოს ყველაზე მეტად სჩადიან ის პირნი, რომელთა ასაკიც 30—49 წელია, ესე იგი ადამიანები, რომლებსაც უკვე მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ.

სპეკულაციისათვის მსჯავრდადებულთა დიდ ნაწილს დანაშაული ჩადენილი აქვს ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებებში. მაგალითად, 1976 წელს მსჯავრდადებულთა 81,5 პროცენტს, 1977 წელს 84,7 პროცენტს, 1979 წელს 82,8 პროცენტს, 1980 წელს 85,6 პროცენტს, 1981 წელს 84 პროცენტსა და 1982 წელს 85,7 პროცენტს დანაშაული ჩადენილი აქვთ ქალაქში.

ცხადია, რომ ქალაქებში, მჭიდრო დასახლების პირობებში ამ დანაშაულის ჩადენა უფრო ადვილია. ამ მონაცემებიდან ასევე შეიძლება გამოვიტანოთ კიდევ ერთი საგარეულო დასკვნა, რომ სოფლად სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლა სუსტად წარმოებს.

პენსიონერებისა და დიასახლისების ხვედრითი წილი წლების განმავლობაში შეადგენს მსჯავრდადებულთა დაახლოებით 20 პროცენტს.

სპეკულაციას ხშირად ეწევიან ისეთი ადამიანები, რომლებიც არსად არ მუშაობენ და არსებითად მუქთახორები არიან. მსჯავრდადებულთა შორის დანაშაულის ჩადენის დროს 1982 წელს არსად არ მუშაობდა მსჯავრდადებულთა 13,3 პროცენტი.

სასამართლოები ყოველთვის არ არკვევენ ეწეოდა თუ არა განსასაჯელი საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას. სპეკულანტის ნამდვილი სახის დადგენა არ ხდება. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს, და არა მარტო წმინდა სტატისტიკური თვალსაზრისით. იგი სასჯელის განსაზღვრის, ინდივიდუალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამას მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მსჯავრდადებულის სასჯელის მოხდის პროცესში აღზრდა-გამოსწორების მუშაობის პროცესის სწორი წარმართვისათვის.

უკანასკნელ წლებში შეინიშნება ჯგუფურად ჩადენილი სპეკულაციის შემცირების ტენდენცია.

ეს დადებითად უნდა შეფასდეს. მაგრამ როგორც პრაქტიკის განზოგადების მასალები მოწმობს, გამოძიების დროს არ ხორციელდება ყველა ღონისძიება თანამონაწილის დასადგენად.

სასამართლოები ხშირად სათანადო რეაგირებას არ ახდენენ იმ არსებითს შეცდომებსა და დარღვევებზე, რომლებსაც უშვებენ წინასწარი გამოძიების დროს, არ იკვლევენ იმ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია სასპეკულაციო საგნების შექმნის წყაროს დასადგენად, არ ავლენენ იმ არზებსა და გზებს, რომლებითაც ფართო მოთხოვნების დეფიციტური საქონელი ხვდება სპეკულანტის ხელში. ამის გამოა, რომ დანაშაულის აქტიურ მონაწილეებს ვერ ავლენენ და ისინი თავს აღწევენ პასუხისმგებლობას, დანაშაულის ჩადენის პირობები და შესაძლებლობები კვლავაც რჩება.

საერთოდ არ ვლინდებიან სპეკულანტების ხელშემწყობი თანამდებობის პირები, აგრეთვე ისინი, ვინც ინახავს სასპეკულაციო საქონელს, ეძებს მათთვის მყიდველს და სხვა.

ამრიგად, ის ფაქტი, რომ შემცირდა ჯგუფური სპეკულაციისათვის მსჯავრდადებულთა რიცხვი, მოწმობს იმას, რომ საჭიროა მკვეთრად ავამაღლოთ გა-



მოძიებისა და სამსჯავრო განხილვის ხარისხი, რათა სამართალდაცვითი ორგანოების ზეგავლენა ამ პროცესზე უფრო ღრმა და სრულყოფილი გახდეს.

სპეკულაციის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას, ხომ არ სჩადიოდა ამ დანაშაულს განსასჯელი არაერთგზის ან ხელობის სახით. წინასწარ გამოძიებაში ამ მხრივაც არის ხარვეზები. გამოძიებლები ხშირად სჯერდებიან გამოვლინებულ ფაქტს და არ ცდილობენ მთლიანად ამხილონ დანაშავე. სასამართლოები კი ამასვე არაერთაზრთადაა განიხილებს არ ახდენენ.

უკანასკნელ წლებში მცირდება სპეკულაციისათვის მსჯავრდადებულთა შორის იმ პირთა რიცხვი, რომელთაც მოუხსნელი ან გაუქარწყლებელი აქვთ ნასამართლობები.

სპეკულაციისათვის მსჯავრდადებულთა დასჯითი პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ბოლო შვიდი წლის მანძილზე მსჯავრდადებულთა დაახლოებით  $\frac{1}{4}$ -ს მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 1982 წელს ასეთი სასჯელი დაენიშნა 29 პროცენტს.

პრაქტიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ სასამართლოები, ზემოქმედებულნი რა კანონის მოთხოვნებით პასუხისმგებლობასა და სასჯელის ინდივიდუალუზაციის თაობაზე, ძირითადად სწორად განსაზღვრავენ სასჯელის ზომას. მხედველობაში იღებენ ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივად საშიშ ხასიათსა და ღონეს, აგრეთვე პიროვნების დამახასიათებელ მონაცემებს, შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს. სასჯელის მკაცრი ზომა, როგორც წესი, ეფარდებათ იმ პირებს, რომლებიც მხილებული არიან ხელობის სახით სპეკულაციის ჩადენაში, ან ეწეოდნენ პარაზიტულ ცხოვრებას.

ამავე დროს იმ პირთა მიმართ, რომლებმაც სპეკულაცია ჩაიდინეს პირველად, ეწევიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და იმის გათვალისწინებით, რომ მათი გამოსწორება შესაძლებელია საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე, სასამართლოები იყენებენ სასჯელის ისეთ ზომებს, რომლებიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან.

უმასთან ერთად სასამართლოები კვლავ უშვებენ შეცდომებს ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის დროს, სწორად არ იყენებენ კანონს, არღვევენ როგორც მატერიალურ, ისე პროცესუალურ ნორმებს, სწორად არ განსაზღვრავენ სასჯელს, რასაც განაჩენების შეცვლა და გაუქმება მოჰყვება ხოლმე.

განსაკუთრებით შეუწყნარებელია, როდესაც სასამართლოს გამოაქვს აშკარად ლმობიერი სასჯელი.

ქალაქ ბათუმის სახალხო სასამართლომ თავისი განაჩენით ა. ბოიაროვას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლის პირველი ნაწილით მიუსაჯა ერთი წლით გამასწორებელი სამუშაო, რაც, საქართველოს სსრ 46-ე მუხლის თანახმად, ჩათვალა პირობითად, მაშინ, როდესაც ა. ბოიაროვა 5-ჯერ იყო ნასამართლავი სპეკულაციისათვის.

ბოლნისის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით გ. გამიდოვს, ს. ახმედოვს და მ. იბრაგიმოვს მსჯავრი დაედოთ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლის მეორე ნაწილით. როგორც განაჩენით დადგენილია, ეს პირები სპეკულაციას ეწეოდნენ ხელობის სახით. მათ შორის გ. გამიდოვმა მოგების მიზნით შეიძინა და გაყიდა 82 დასახელების ვერცხლისა



და სხვა ნაკლებად ძვირფასი ლითონის ნივთები, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენდა 8812 მანეთს. ს. ახმედოვმა ასევე გადაყიდა 8500 მანეთის ასეთივე ნივთები, მ. იბრაგიმოვმა კი 3500 მანეთისა. დანაშაულებრივი მოქმედებით ამ პირებმა მიიღეს დიდი გამორჩენა.

სასამართლოს განაჩენით გ. გამიძოვს მიესაჯა 3 წელი, ს. ახმედოვს — 2 წელი და 6 თვე, ხოლო მ. იბრაგიმოვს — 2 წელი თავისუფლების აღკვეთა, სამივეს შეეფარდა ქონების კონფისკაცია.

რესპუბლიკის პროკურორის მოადგილის პროტესტის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განაჩენი სასჯელის აშკარა ლმობიერების გამო გააუქმა.

გორის სახალხო სასამართლომ რ. მამისთვალოვი დამნაშავედ ცნო საქართველოს სსრ სსკ 165-ე მუხლის მე-2 ნაწილით და შეუფარდა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. პროტესტის საფუძველზე განაჩენი გაუქმდა ლმობიერების მოტივით, შემდეგ გარემოებათა გამო: ორჯერ სპეკულაციისათვის ნასამართლევია რ. მამისთვალოვი არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინა სპეკულაცია. გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან შეიძინა დიდძალი სამრეწველო საქონელი, რომელიც სხვადასხვა პირებს მიყიდა სპეკულაციურ ფასებში. სულ შეძენილი ჰქონდა 52324 მანეთის სხვადასხვაგვარი საქონელი.

ასევე აშკარად ლმობიერი განაჩენი გამოიტანა კასპის რაიონის სახალხო სასამართლომ, რომელმაც ვ. დანდუროვი, ცნო რა დამნაშავედ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 17—165 მუხლის II ნაწილით, შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, რაც იმავე კოდექსის 46-ე მუხლის საფუძველზე ჩაუთვალა პირობითად 4 წლის საგამოცდო ვადით. ვ. დანდუროვს მსჯავრი დაედო იმისათვის, რომ აზერბაიჯანში შემდგომი გადაყიდვის მიზნით შეიძინა 22 კილოგრამი და 450 გრამი თევზი სვია და 4 კილოგრამი და 200 გრამი შებოლილი თევზი სათალი. იგი დააკავეს გაყიდვის დროს, როგორც დადგენილია, მას უნდა მიეღო 254 მანეთი მოგება.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ამ განაჩენის გამო პროტესტი შეიტანა პრეზიდიუმში და მოითხოვა განაჩენის გაუქმება სასჯელის აშკარა ლმობიერების გამო. ამ საქმეზე მიღებულ პრეზიდიუმის დადგენილებაში, რომლითაც პროტესტი დაკმაყოფილდა, აღნიშნულია, რომ სასამართლომ სასჯელის განსაზღვრის დროს არ გაითვალისწინა ვ. დანდუროვის პიროვნება, რომელიც სპეკულაციას ეწეოდა წლების განმავლობაში, რამდენჯერმე იყო მსჯავრდადებული სპეკულაციისათვის და როდესაც ეს დანაშაული ჩაიდინა, მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა სპეკულაციისათვის გაქარწყლებული ნასამართლობა.

ამ საქმესთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ სასამართლომ, ჯერ ერთი მხედველობაში არ მიიღო განსასჯელის პიროვნება და, მეორეც, არ გაითვალისწინა, რომ, იყენებდა რა პირობით მსჯავრს, ბოროტ სპეკულანტს ვეღარ შეუფარდებდა სასჯელის დამატებით ღონისძიებას, ქონების კონფისკაციას.

სასამართლოებმა ამ კატეგორიის საქმეების განხილვის დროს პირობითი მსჯავრი უნდა გამოიყენონ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში და მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ სასჯელის პირობით ჩათვლა ავტომატურად გამოირიცხავს ქონების კონფისკაციას. ეს დამატებითი სასჯელი კი იმ პირთა მიმართ, ვინც სპეკულაციას სჩადის, ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული.



უკანასკნელ წლებში სასამართლოები, როორც წესი, აღარ უშვებენ შეცდომებს სპეკულაციის კვალიფიკაციაში, მაგრამ ამის ცალკეული ფაქტები მაინც არის.

საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გააუქმა ქუთაისის სახალხო სასამართლოს განაჩენი პ. იონანიძის საქმის მიმართ, რომელიც მსჯავრდადებული იყო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლის მეორე ნაწილით და მისი ქმედობა გადააკვალიფიცირა იმავე მუხლის პირველი ნაწილით. განაჩენის გაუქმებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ სასამართლომ სწორად არ შეცვალა კვალიფიკაცია. საბრალდებო დასკვნით, პ. იონანიძეს ბრალი დაედო იმისათვის, რომ გადაყიდვის მიზნით ქ. მოსკოვში შეიძინა საძინებელი ოთახის ორი გარნიტური და სამი სამზარეულო, რომლებიც ჩამოიტანა ქალაქ ქუთაისში, აქედან ერთი 2370 მანეთად ღირებულებით საძინებელი ოთახის გარნიტური 4700 მანეთად მიჰყიდა მოქალაქე ს. შვილიძეს. სამსჯავრო გამოძიება არასრულყოფილად წარიმართა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მეორე საძინებელი გარნიტური და სამზარეულოს 3 გარნიტური პ. იონანიძეს სასპეკულაციოდ არ ჩამოუტანია და მათი ყიდვა მას ნათესავეებმა დაავალეს. აქვე უნდა ითქვას, რომ პ. იონანიძეს ერთი საძილე გარნიტური 2370 მანეთად რომ გაეყიდა, და ენახა 330 მანეთი მოგება, მაშინაც კი უკანონო იქნებოდა სასამართლოს განაჩენი.

ზოგჯერ განაჩენი უქმდება მოკვლევის, წინასწარი გამოძიების ან სამსჯავრო გამოძიების ცალმხრივობის ან არასისრულის გამო.

ასე, მაგალითად, საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გააუქმა გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენი ი. ბაირამოვის მიმართ, რომელსაც მსჯავრდებულად დაედო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლის I ნაწილით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლისა და 6 თვის ვადით. განაჩენი გაუქმდა იმის გამო, რომ დარღვეული იყო დაცვის უფლება.

ხშირად საქმეთა საკასაციო წესით განხილვის დროს ხდება კვალიფიკაციის შეუცვლელად სასჯელის ზომების შეცვლა. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ზოგჯერ სასამართლოები სასჯელს ნიშნავენ მსჯავრდადებულის პიროვნების და საქმის კონკრეტულ გარემოებათა მცდარი შეფასების საფუძველზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ქუთაისის სახალხო სასამართლოს განაჩენში შ. ბინიაშვილის მიმართ შეიტანა ცვლილება. საქართველოს სსრ სსკ 165-ე მუხლის II ნაწილით მისჯილი თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით იმავე კოდექსის 46-ე მუხლის თანახმად ჩაეთვალა პირობითი 5 წლის ვადით. კოლეგიამ ჩათვალა, რომ სასამართლომ სასჯელის დანიშვნის დროს არ გაითვალისწინა შ. ბინიაშვილის პიროვნება, რომ იგი არის I ჯგუფის ინვალიდი (მარცხენა ქვედა კიდური მოკვეთილი აქვს, მარჯვენა — დეფორმირებული), ჰყავს II ჯგუფის ინვალიდი მეუღლე.

სასამართლოები ზოგჯერ იჩენენ აშკარა დაუდევრობას, არღვევენ კანონის სავალდებულო მოთხოვნას და 165-ე მუხლის მეორე ნაწილით მსჯავრდადების შემთხვევაში არ იყენებენ სასჯელის დამატებითს ღონისძიებას ქონების კონსფიკაციის სახით.



სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1974 წლის 13 დეკემბრის დადგენილებით განმარტა, რომ თუ ქონების კონფისკაცია კანონით გათვალისწინებულია როგორც სავალდებულო სასჯელის დამატებითი ღონისძიება, ასეთის გამოუყენებლობა დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუ სასამართლო ამას დაასაბუთებს განაჩენში.

მიუხედავად კანონის სავალდებულო მითითებისა, ზოგიერთი სასამართლო არ იყენებს დამატებითს სასჯელს და საერთოდ არაფერს ამბობს ამის შესახებ განაჩენში, რაც კანონის უხეშ დარღვევად უნდა ჩაითვალოს. მაგალითად ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლომ ცნო რა ლ. ვესილგოვი დამნაშავედ 165-ე მუხლის II ნაწილით და მიუსაჯა მას თავისუფლების აღკვეთა; საერთოდ არ იმსჯელა დამატებითი სასჯელის ღონისძიების გამოყენების შესახებ.

ასევე მოიქცა გლდანის სახალხო სასამართლო ე. ლევიშვილის საქმის მიმართ, ქალაქ სოხუმის სასამართლო ს. კასპარიანის საქმის, ქალაქ ბათუმის სასამართლო ნ. კილურაძის საქმის და სხვა საქმეების მიმართ.

სასამართლოები არღვევენ აგრეთვე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლის მოთხოვნას სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მითითებას და რიგ შემთხვევებში არ წყვეტენ საკითხს ნივთმტკიცების ბედის შესახებ. ამის შედეგად სპეკულაციის საგნების კონფისკაცია არ ხდება, ხოლო ფული და ფასიულობა რაც მოპოვებულია დამნაშაულებრივი გზით არ გადადის სახელმწიფოს სარგებლობაში.

ლაგოდნის რაიონის სახალხო სასამართლოს 1982 წლის 3 ივნისის განაჩენით მ. ცერცვაძე ცნობილი იქნა დამნაშავედ 165-ე მუხლის II ნაწილით იმისათვის, რომ მან სხვადასხვა დასახელების სამრეწველო საქონლის გადაყიდვით მოიგო 810 მანეთი. სასამართლომ არ დააკისრა აღნიშნული თანხის გადახდა მსჯავრდებულს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ასეთივე შეცდომა დაუშვეს მახარაძის რაიონის სახალხო სასამართლომ შ. ბიბილოძის საქმის გამო, ქალაქ რუსთავის სახალხო სასამართლომ ნ. ქვიჭრელიძის საქმის გამო და სხვა.

არის შემთხვევები, როდესაც სასამართლოები დაუდევრად ეკიდებიან განაჩენის შედეგებს. მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით აბაზოლი ცნობილია დამნაშავედ 165-ე მუხლის I ნაწილით და შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით. სასამართლომ სასპეკულაციო ნივთებს კონსფისკაცია უყო, მაგრამ განაჩენით არ მიუთითა, თუ ვის სასარგებლოდ ხდება ეს.

სათანადო ყურადღება არ ექცევა კანონიერ ძალაში შესული განაჩენების აღსრულებას, საქმეთა გარკვეულ ნაწილს არ ერთვის ქონების ან სასპეკულაციო საქონლის კონფისკაციისათვის ყველა საჭირო დოკუმენტი. ასეთი ფაქტები იყო ქალაქ ზუგდიდის, სიღნაღის რაიონის, ქობულეთის რაიონის და სხვა სახალხო სასამართლოებში.

განზოგადებით გამოირკვა, რომ ამ კატეგორიის საქმეები, როგორც წესა, განიხილება კანონით დადგენილ ვადაში, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ეს ვადა ირღვევა, რაც იმის ბრალია, რომ საქმის განსახილველად მომზადება სწორად არ არის ორგანიზებული.

ასე, მაგალითად: ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლომ უ. მჭედლიშვილის საქმე 4-ჯერ ვადადო და განიხილა თითქმის ორი თვის შემდეგ. გურ-



ჯანის რაიონის სახალხო სასამართლომ გ. ქადაგაშვილის საქმე 3-ჯერ გადადო და განიხილა ვადის დარღვევით და სხვა.

ამ კატეგორიის საქმეების განხილვის დროს სასამართლოები ზოგჯერ არ ავლენენ დანაშაულის ხელშემწყობ მიზეზებს და პირობებს, არ გამოაქვთ სათანადო კერძო განჩინებანი მაშინაც კი, როდესაც ამისათვის მასალა საქმეშია.

ასე, მაგალითად ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლომ დ. გრიგორიანი დამნაშავედ ცნო 17—165-ე მუხლის I ნაწილით იმისათვის, რომ მან „თბილისთამბაქოს“ ფაბრიკის შენობის წინ გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან შეიძინა ამ ფაბრიკის ნაწარმი 1000 ცალი სიგარეტი „ლუქსი“. ეჭვს გარეშეა, რომ ეს სიგარეტები ფაბრიკიდან იყო მოპარული. სასამართლო ვალდებული იყო კერძო განჩინებით დაცვის მუშაკების ყურადღება მიექცია ამ ფაქტზე, მაგრამ ეს არ იქნა გაკეთებული.

ზეტაფონის რაიონის სახალხო სასამართლომ თავისი განაჩენით ე. აივაზოვი დამნაშავედ ცნო 165-ე მუხლის I ნაწილით და 17—165-ე მუხლის I ნაწილით. მას მსჯავრი დაედო იმისათვის, რომ ქ. თბილისის ონკოლოგიურ საავადმყოფოში წოლის დროს შეიძინა სხვადასხვა დასახელების მედიკამენტები, რაც შემდეგში გაყიდა. მასვე სახლში ბინის ჩხრეკის დროს აღმოაჩნდა სხვა გასაყიდი წამლები. სასამართლომ არ გამოიტანა კერძო განჩინება საავადმყოფოს ადმინისტრაციის მიმართ და გვერდი აუარა იმ ფაქტს, რომ საავადმყოფოში სპეკულანტმა შეძლო წამლების შექენა.

ამ საქმის განხილვისას სასამართლომ დაუშვა მეორე შეცდომა: ე. აივაზოვის დანაშაული დააკვალიფიცირა 17—165-ე მუხლის I ნაწილით; ვინაიდან იმ შემთხვევაში, თუ სასპეკულაციო საქონლის თუნდაც ნაწილია რეალიზებული, დანაშაული ითვლება დამთავრებულად.

სასამართლოები უგულვებელყოფენ ამ კატეგორიის საქმეთა გამსვლელ სხდომებზე განხილვის და პროცესში საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობის მნიშვნელობას. საკმარისია ითქვას, რომ ამ საქმეთა მხოლოდ 12 პროცენტი განიხილება გამსვლელ სხდომებზე, საზოგადოებრიობის მონაწილეობით კი განხილულია საქმეთა მხოლოდ 5 პროცენტი.

ზოგჯერ საქმეთა გამსვლელ სხდომებზე ვანხილვა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობა ფორმალურ ხასიათს ატარებს. სათანადო ყურადღება არ ექცევა გამსვლელი სხდომის მოწყობას ადგილის შერჩევას არის შემთხვევები, როდესაც გამსვლელი სხდომები იქ კი არ იმართება, სადაც ამას აღმზრდელითი მნიშვნელობა აქვს, არამედ იქ, სადაც არის თავისუფალი კლუბი ან წითელი კუთხე. ასეთი გამსვლელი სხდომა, რასაკვირველია, მიზანს ვერ აღწევს.

როგორც აქ მოყვანილი მონაცემები მოწმობს, რესპუბლიკის სასამართლო ორგანოები ჯერ კიდევ ვერ ახორციელებენ გადამჭრელ ღონისძიებებს სპეკულანტების წინააღმდეგ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სასამართლო პრაქტიკის განზოგადების მასალები ხელს შეუწყობს კანონის უფრო სრულყოფილად გამოყენებას, იმ ხარვეზების აღმოფხვრას, რომელიც სასამართლოებს საქმიანობაში შეინიშნება.



## პროკურატურის კადრების პროფესიული დაოსტატების ერთი მეთოდოლოგიური საკითხის გამო

მ. ხაზარაძე,

ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიის მეცნიერებათა ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე,  
პ. სიმონიშვილი,  
რესპუბლიკის პროკურატურის პროკურორ-კრიმინალისტი

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში ადამიანის საქმიანობის ეფექტიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ფლობს პირი უახლეს მეთოდებსა და ტექნიკურ საშუალებებს თავის დარგში. ეს დებულება მთლიანად შეეხება პროკურატურის ორგანოების მუშაკებს, მათ შორის გამომძიებლებსაც. პროკურატურის გამომძიებლების პროფესიული დაოსტატების ამოცანის მეცნიერულ საფუძველზე გადაწყვეტა დაიწყო ამ ოცდაათი წლის წინათ, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1954 წლის 19 ოქტომბრის № 3/195 მითითების<sup>1</sup> შემდეგ, როდესაც შემოღებული იქნა პროკურორ-კრიმინალისტის თანამდებობა და განისაზღვრა მისი სტატუსი.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილის 1967 წლის 14 ივნისის № 3/37 მითითებაში სავანგებოდ არის აღნიშნული, რომ „სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და გამოძიების მეცნიერული მეთოდების დანერგვა სავამოძიებო პრაქტიკაში პროკურატურის ორგანოების ყველა მუშაკის საქმეა“<sup>2</sup>.

ამ საკითხს არც შემდგომ დაჰკლებია ყურადღება. სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა 1970 წლის 20 ნოემბრის № 3-დ-27-70 მითითებაში<sup>3</sup> დააზუსტა პროკურორ-კრიმინალისტის უფლება-მოვალეობანი მას ძირითადად დაეკისრა ოპერატიული მუშაკების სწავლება. განისაზღვრა სწავლების ფორმებიც: პრაქტიკული დახმარება, სემინარებისა და კონფერენციების გამართვა, სტაჟირება და სხვა სასწავლო ღონისძიებათა განხორციელება.

ღრესათვის, როგორც ჩანს, გამოძიების კვალიფიკაციის ამალგების ამოცანა ადმინისტრაციული მხრივ თითქმის გადაწყვეტილია. იგივე არ ითქმის საკითხის დიდაქტიკურ-მეთოდოლოგიური მხარის შესახებ, რომელიც, სამწუხაროდ, იურიდიულ ლიტერატურაში საკმარისად არ არის გაშუქებული. ავტორები მთელ ყურადღებას უთმობენ სწავლებისათვის გამოსაყენებელი ცალკეული თვალსაჩინო მასალის შექმნასა და დამხმარე ტექნიკური საშუალებების გა-

<sup>1</sup> Указание Генерального Прокурора СССР от 19 октября 1954 г. № 3/195. Сборник приказов и инструкций Генерального прокурора СССР. М., «Юридическая литература», 1976 г., ч. I, стр. 455.

<sup>2</sup> იქვე, სტრ. 465.

<sup>3</sup> იქვე, სტრ. 457.



მოყენებას, ხოლო სწავლების მეთოდოლოგიური სისტემის დამუშავებას, პედაგოგის მეცნიერების თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებას უყურადღებოდ ტოვებენ.

გამოცდილება მოწმობს, რომ სემინარებზე გამოძიებლები ძნელად ითვისებენ სასწავლო მასალას და მას მალევე იგიწყებენ. ასეთივეა იმ ოპერატიული მუშაკების სწავლების შედეგებიც, რომლებმაც კვალიფიკაცია აიმაღლეს სსრ კავშირის პროკურატურის ლენინგრადისა და ხარკოვის ინსტიტუტებში.

რით არის ეს გამოწვეული?

წინამდებარე სტატიას არა აქვს პრეტენზია სრულად დაადგინოს და გააანალიზოს ამის გამომწვევი ყველა გარემოება. მისი მიზანი უფრო მოკრძალებულია — გავარკვიოთ ზოგიერთი მიზეზი, რათა შევიმუშაოთ საჭირო რეკომენდაციები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ მიზეზებს შორის ძირითადია:

არ არის გათვალისწინებული კვალიფიკაციის ასამაღლებლად გამოწვეული გამოძიებლებისა და პროკურორების ფსიქიკური მდგომარეობა. მათი დატვირთვა;

მსმენელების უმაღლესი განათლება დადებითი ფაქტორია, მაგრამ ეს ერთდროულად ფსიქოლოგიურად მსმენელთა არასასწავლო განწყობილების მიზეზია. მათ უკვე დამთავრებული აქვთ სწავლა და სწავლების მათთვის კარგად ნაცნობი ფორმები, რომლებსაც პროკურორ-კრიმინალისტი მიმართავს, მეტწილად უარყოფითს რეაქციას იწვევს;

მსმენელები თავიანთი სამუშაოს და პროფესიის გამო იღებენ ზღვა ინფორმაციას, ინდიფერენტული — „ინფორმაციამდეგი“ ხდებიან და სემინარზე მოსმენილ ინფორმაციას გულგრილად აღიქვამენ, რაც, ცხადია, ამცირებს შეთვისებისა და დახსომების დონეს;

კვალიფიკაციის რეალური ამაღლება გულისხმობს მსმენელის არა მარტო ახალი ინფორმაციით გამდიდრებას, არამედ მის „გარდაქმნას“. მისი ნაკლებეფექტიანი ჩვევების შეცვლას. ეს საერთოდ ძნელი საქმეა, მით უმეტეს რთულია მისი განხორციელება ხუთი დღის განმავლობაში<sup>4</sup>, როცა მას თან ერთვის უკვე აღნიშნულ მიზეზთა კომპლექსი;

უმაღლეს სასწავლებლებში იურიდიულ ფაკულტეტზე ხშირად ხვდებიან ისეთი პირებიც, რომლებიც აშკარად არ აკმაყოფილებენ პროფესიოგრაფის მოთხოვნებს. ასეთი იურისტები არიან მსმენელთა შორისაც და, ცხადია, ეს გარემოებაც ამცირებს კვალიფიკაციის ამაღლების ეფექტიანობას;

იურისტთა კვალიფიკაციის ამაღლების მეთოდოლოგიის დაუმუშავებლობის გამო პროკურორ-კრიმინალისტი გვევლინება როგორც ამ მეთოდოლოგიის დამუშავებლის, ასევე მისი განხორციელებლის როლში. შეუძლებელია ეს საქმე ერთმა პიროვნებამ გადაწყვიტოს, თუნდაც იგი იდეალურად აკმაყოფილებდეს სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მითითებით გათვალისწინებულ პირობას, რომ „პროკურორ-კრიმინალისტის თანამდებობაზე უნდა დაინიშნოს ისეთი ოპერატიული მუშაკი, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათ-

<sup>4</sup> სემინარული მუშაობას ხანგრძლივობა, პროკურატურაში არსებული პრაქტიკით, განისაზღვრება ხუთი დღით.



ლება, საგამოძიებო მუშაობის საკმაო გამოცდილება და ფლობს კრიმინალისტურ ტექნიკას<sup>5</sup>.

პროკურორ-კრიმინალისტს ხშირად საქმე აქვს ასაკობრივი თვალსაზრისით არაერთგვაროვან ჯგუფთან. კვალიფიკაციას ერთდროულად იმაღლებენ იურისტები, რომელთა წლოვანება მერყეობს 22 წლიდან საპენსიო ასაკამდე. მსმენელებს აქვთ განსხვავებული ცოდნა, გამოცდილება, ინტერესები, ავტორიტეტი და სხვა.

ჯგუფის ეს „სიჭრელე“ დამატებით სიძნელეებს უქმნის პროკურორ-კრიმინალისტს ყველასათვის საჭირო ღირებულების სასწავლო მასალის შერჩევის თვალსაზრისით.

კვალიფიკაციის ამაღლებისათვის გამოყოფილია იმდენად მცირე დრო, 5 დღე, რომ შეუძლებელია სერიოზულად ილაპარაკო ამ მონაკვეთში მსმენელმა მიიღოს საფუძვლიანი ინფორმაცია და აითვისოს მასალა.

სწავლების პროცესში გამოყენებული მეთოდები, უფრო სწორად, ერთ-ერთი — ინფორმაციულ-საილუსტრაციო მეთოდი არ იძლევა სათანადო შედეგს და ვერ უზრუნველყოფს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ამოცანის გადაწყვეტას. ერთი შედეგით. აზრიც არა აქვს ეძებო გამოსავალი ამ მდგომარეობიდან უიმედობის გამო. მაგრამ ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ყველაფერს ერთბაშად ეშველება.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა:

1. განისაზღვროს იურისტთა კვალიფიკაციის ამაღლების მცირე დროისათვის სწავლების შესაფერისი მიზნები.
2. დადგინდეს სასწავლო მასალის სწავლების სათანადო მეთოდი (თუ მეთოდები).

ეს ორი მიზეზი ერთმანეთთან დიალექტიკურად არის დაკავშირებული.

კვლევაგოგის მეცნიერების დღევანდელი მიღწევების გამოყენებით შესაძლებელია წარმატებით გადაიჭრას იურიდიული კადრების პროფესიული დაოსტატების პრობლემა, დაძლეულ იქნეს კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემშლელი ის მიზეზები, რომელთა შესახებაც ზემოთ იყო ლაპარაკი.

მხედველობაში გვაქვს სწავლებისადმი დაპროგრამებული და პრობლემური<sup>6</sup> მიდგომის იდეები, რომელთა წარმოშობა-განვითარების ისტორია ჯერ ოცდაათ წელსაც კი არ ითვლის, მაგრამ მათი მეთოდოლოგიური საფუძვლებისა და უკვე მიღებული შედეგების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ისინი შეადგენენ სწავლების თეორიისა და პრაქტიკის გაუმჯობესების ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებებს.

ყოველი ახალი სასწავლო მასალა თავის საწყის გამოვლინებაში შეიცავს დაუმთავრებელ, ჯერ კიდევ ბოლომდე განუმარტავ და გაუაზრებელ ნაწილებს, მხარეებს, რომელთა დასრულება, დაბოლოება და ერთმანეთთან შესა-

<sup>5</sup> Указание Генерального Прокурора СССР от 20 ноября 1970 г. № 3д—27—70. Сборник приказов и инструкций Генерального Прокурора СССР. М., изд. «Юридическая литература». М., 1976, ч. 1, стр. 461.

<sup>6</sup> Оконь В. Основы проблемного обучения. М., «Просвещение», 1968. Махмутов М. Н. Проблемное обучение. М., «Педагогика», 1975. Педагогика школы. Под ред. Г. И. Щукиной, М., «Просвещение», 1977. Педагогика школы. Под ред. И. Т. Огородникова. М., «Просвещение», 1978.



ბამისობაში მოყვანა შეადგენს სწავლების არსს. თუ გადაწყვეტა იმგვარად წარმოებს, რომ იდეისა და მეთოდის ძიებაში მარტო მასწავლებელი კი არ არის აქტიური, არამედ მოსწავლეს, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი არ ფლობს ამოცანის გადაწყვეტის მეთოდს, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ სწავლება მიმდინარეობს პრობლემური მიდგომის საფუძველზე. ეს კი ფაქტობრივად მოითხოვს უფრო მეტსაც. მოსწავლეთა უფრო მეტ დაინტერესებას და აქტიურობას რომ მივალწიოთ, მიზანშეწონილად არის მიჩნეული სასწავლო მასალის წარმოდგენა აშკარად გამოვლენილი ფორმალურ-ლოგიკური წინააღმდეგობების შემცველი ამოცანის, ე. ი. პრობლემის სახით. ამ პრინციპული მნიშვნელობის მოსაზრებიდან წარმოდგება სწავლებისადმი პრობლემური მიდგომის სახელიც. მართალია, არ ხერხდება, და არც არის საჭირო, სწავლების მთელი პროცესის მხოლოდ პრობლემების გადაწყვეტის პროცესად გადაქცევა, მაგრამ ამიდ ძირითადი იდეა — პრობლემურობის პრინციპი სწავლებაში — ძალას არ კარგავს. ეს ნათლად გამოჩნდება, თუ წარმოვიდგინოთ, რომ იგი ერთ მთელამდე ავსებს მოსწავლეთა აქტიურობისა და შეგნებულობის პრინციპს, ვინაიდან განსაზღვრავს მოსწავლის აქტიური და შეგნებული მოქმედების საგანს — სასწავლო პრობლემას.

დაპროგრამებული სწავლება მოითხოვს სწავლების მიზნებისა და პროცესის წინასწარ დახასიათებას, განჭვრეტას, სასწავლო მასალის წარმოდგენას შეთვისებისათვის დასაძლევ სიძნელის შემცველი ნაწილების სახით და შეთვისების პროცესის შესახებ მონაცემების ისეთი სიზშირით მოპოვებას, რომელიც შესაძლებელს გახდის ამ პროცესის კონტროლს, კორექტირებას და მართვას.

სწავლებისადმი პრობლემური და დაპროგრამებული მიდგომების ერთდროული გამოყენების პირობებში ორივე მათგანი განიცდის ერთმანეთის კეთილმოყვარე გაგლენას. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს სწავლების ფსიქოვერისტიკული, პრობლემური დაპროგრამების კოლექტიური საუბრის ფორმით განხორციელებულ მეთოდში რომლის საწყისი — ადამიანის ფსიქონტელექტუალური საქმიანობის ინტენსიფიკაციის მეთოდი — თავდაპირველად ჩაისახა და დაწვრილებთ დამუშავდა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტში აკად. ვ. ჯავჭანიძის მეცნიერული ხელმოწევანელობით<sup>7</sup>. ამ მეთოდის დანიშნულებაა პიროვნების ან ადამიანთა ჯგუფის შემოქმედებითი აქტიურობის გაძლიერება ინტელექტუალური ურთიერთობისა და ურთიერთქმედების განსაკუთრებული წესით ორგანიზებულ, წინასწარ დაგეგმილი პროცედურით წარმართულ პროცესში. მას საფუძვლად უდევს პიროვნების პროდუქტიული აზროვნების ინდუცირების ეფექტი, რომელიც ცნობილი გახდა მეცნიერებაში ფსიქოვერისტიკული საქმიანობის მართულ პროცესში ფსიქონტელექტუალური გენერაციის ეფექტის სახელწოდებით.

სწავლების ფსიქოვერისტიკული, პრობლემური დაპროგრამების კოლექტიური საუბრის ფორმით განხორციელებული მეთოდის თვით დასახელებაში შესული სიტყვა „ფსიქო“ გამოხატავს მეთოდის ერთ-ერთ იდეას იმის შესახებ, რომ ამ მეთოდით წარმართულ სასწავლო პროცესში მთავარია ადა-

<sup>7</sup> Проблемы управления интеллектуальной деятельностью. Психоверистическое программирование. Коллект. монография под ред. В. В. Чавчанидзе. Тб., «Мецნიერება», 1974.





მიანი — მასწავლებელი და მოსწავლე, — მთელი თავისი რთული ფსიქიკური ემოციურ-ინტელექტური შესაძლებლობებით, ხოლო „ევრისტიკული“ ხაზს უსვამს სასწავლო პრობლემის გადაწყვეტის დაპროგრამებული, წინასწარ დასახული, ფსიქოევრისტიკული პროგრამით წარმართული პროცესის შემოქმედებით — ძიებით ხასიათს.

იურიდიული კადრების კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში სწავლების ამ მეთოდის გამოყენება მოითხოვს შემდეგი მოთხოვნების დაცვას:

ჯერ კიდევ მეცადინეობამდე უნდა შეირჩეს კვალიფიკაციის ამაღლების მიზნის შესაფერისი სასწავლო მასალა და მოხდეს ამ მასალის წარმოდგენა ამოცანის — პრობლემის, მაგალითად, რაიმე კონკრეტული ან აბსტრაქტული საგან-მომძიებო საქმის საწყისი მონაცემების სახით.

ამის შესაბამისი იურიდიული მეცნიერების თანამედროვე ცოდნის სისტემის გათვალისწინებით დამუშავდეს სპეციალური ფსიქოევრისტიკული პროგრამა, რომელიც ასახავს ამოცანის გადაწყვეტის პროცესს, როგორც გადაწყვეტისათვის საჭირო და საკმარისი კითხვებისა და პასუხების ძირითადი და დამატებითი ინფორმაციის, რეკომენდაციებისა და შენიშვნების სისტემას;

სასწავლო გარემოს სათანადო მოწყობას — სწავლების პროცესის მონაწილეთათვის გარკვეული „კომფორტის“ შექმნას, მაგალითად, სეარძლების ისეთ განლაგებას, რომ უზრუნველყოფილ იქნეს დიალოგის წარმართვა კოლექტივის ნებისმიერ ორ წევრს შორის, მეხსიერების დოკუმენტურ-წერილობითი ან მანქანური წყაროს ხელმისაწვდომობა და სხვა. ერთი სიტყვით: ისეთი პირობების შექმნა, რომ პრობლემების გადაწყვეტის ოპტიმალური დროის განმავლობაში (1,5 საათი, 3 საათი ან 4,5 საათი სათანადო შესვენებით) უზრუნველყოფილ იქნეს მონაწილეთა აუზრუნველობა და ორდინარულ ჩვეულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ძალდაუტანებელი ფორმით;

მასწავლებელი (პროკურორ-კრიმინალისტი), რომელსაც ამ მეთოდის არსის მიხედვით წამყვანი ეწოდება, წინასწარ კარგად უნდა გაეცნოს ამ პროგრამას და მონაწილეებთან ოდნავ ამაღლებული ემოციურ-ინტელექტუალური კონტაქტების დამყარებისა და განსაზღვრულად კოორდინირებული კოლექტიური საუბრის საშუალებით უზრუნველყოს პროცესის წარმართვა. მასწავლებლის მოვალეობაა წინასწარ გაეცნოს კვალიფიკაციის ასამაღლებლად შეკრებილთა მონაცემებს, რომ მათი გათვალისწინებით შეარჩიოს სათანადო პიროვნებები როლებრივი „თანამდებობებისათვის“;

მონაწილეთაგან შეირჩევიან სხვადასხვა საკითხის ექსპერტები, რომელთაც პრობლემის ამოხსნის პროცესში მიმართავენ პროცესის სხვა მონაწილენი ან რომლებიც გარკვეულ მომენტებში თვითონ ჩაებმებიან ამოცანის გადაწყვეტაში.

საკუთრნალო სტატიაში შეუძლებელია დაწვრილებით ვილაპარაკოთ ექსპერტების მოვალეობის შესახებ, მაგრამ ბევრ რამეს გვეტყვის თვით ექსპერტთა „სპეციალობების“ დასახელებაც. იურიდიული კადრების კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო პროცესში, რომელსაც სასწავლო ექსპერიმენტიც შეიძლება ვუწოდოთ, აზრი აქვს „დაინიშნოს“ გამოძიების ცნობილი მეთოდების ექსპერტი, გამოძიების უახლესი მეთოდების ექსპერტი, ექსპერტ-კრიმინალისტი, ექსპერტ-ფსიქოლოგი, ექსპერტ-პროცესუალისტი და სხვა იმისდა მიხედვით, თუ რა ამოცანა თუ პრობლემა დგას ექსპერიმენტის მონაწილეთა



წინაშე. ცხადია, მხედველობაში გვაქვს სასწავლო ფუნქციების შესასრულებლად გამოყოფილი მოსწავლე-ექსპერტი;

მონაწილეთაგან შეიძლება ერთიდან სამამდე ცდის მონაწილე, რომელთა მოვალეობასაც შეადგენს წამყვანის მიერ მოწოდებული ამოცანის გადაწყვეტა ექსპერიმენტის მთელი დროის განმავლობაში: გეგმის დასახვა, იდეის (ვერსიის) წამოყენება, საწყისი მონაცემების გამოკვლევის საფუძველზე ახალი მონაცემების მოთხოვნა („გამოძიების“ წარმართვა) და ა. შ., ვიდრე ამოცანა — საქმე ბოლომდე არ იქნება მიყვანილი.

ამოხსნის გარკვეულ ეტაპზე, როდესაც ცდის მონაწილე ვერ ახერხებს ამოცანის („გამოძიების“) ამოხსნის გავრძელებას, ამ პროცესში ებმებიან ექსპერიმენტის სხვა მონაწილენი, რომელთაც სხვა „თანამდებობა“ არა აქვთ დაკავებული;

მონაწილეთაგან შეიძლება ოპონენტი, რომლის მოვალეობაა ექსპერიმენტის განმავლობაში კრიტიკულად მიუდგეს ცდის მონაწილეთა მოსაზრებებს, „აიძულოს“ ისინი უფრო მეტი სიცხადე და დასაბუთებულობა შეიტანონ ამოცანის გადაწყვეტის საკუთარ იდეებსა და მოქმედებათა მიზანდასახულობა — გეგმებში, ოპონენტისა და მსმენელის კამათში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს.

მთელი ექსპერიმენტის განმავლობაში უკლებლივ ყველა მონაწილეს მოეთხოვება მაქსიმალური კეთილგანწყობილება გამოიჩინოს პარტნიორებისადმი. ექსპერიმენტის თითოეული მონაწილე უნდა გრძნობდეს, და ამჟღავნებდეს კიდევ, რომ იგი თანამოსწავლეთა განმსჯელი კი არ არის, არამედ გარკვეული როლის შემსრულებელი, რომელიც ვალდებულია მთელი თავისი ცოდნით, გამოცდილებითა და ექსპერიმენტში მონაწილეობით ხელი შეუწყოს მთელ კოლექტივს ბოლომდე მიიყვანოს ამოცანის ამოხსნა. ცხადია, ამის განხორციელებაში უდიდესი როლი უნდა შეასრულოს წამყვანმა.

მიუხედავად წამყვანის გადამწყვეტი როლისა, საჭიროა შეიძინოს კიდევ ერთი მონაწილე — კოორდინატორი, რომელიც დაეხმარება წამყვანს დისკუსიის სწორ ორგანიზაციაში, კოლექტიური საუბრის დროს მონაწილეთა მხრივ ეთიკური ნორმების დაცვაში და როლების (წამყვანი, ცდის მონაწილე, ოპონენტი, მონაწილენი, ექსპერტები, წამყვანი) თანამიმდევრულ შესრულებაში.

დაუძაბავი სამუშაო განწყობილებების უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია წამყვანმა მიმართოს დისკუსიის მონაწილეებს გამოთქვან თავიანთი განსხვავებული აზრი სხვის გაუკრიტიკებლად, რათა წამყვანმა შემდეგ თვითონ გადაწყვიტოს, თუ ვისი აზრის მიხედვით გაავრძელებს ამოცანის გადაწყვეტას.

ასეთ პირობებში, ცხადია, კვალიფიკაციის ამაღლების პროცესი იქცევა საინტერესო პროცესად, რომელიც მოკლებული იქნება ინტელექტუალურ დაძაბულობას და მთელი თავისი დინამიკით არ მისცემს საშუალებას მათ მონაწილეებს დაისვენონ ან იფიქრონ თავიანთ ძველ საქმეზე. იგი არც თავის მომაბეზრებელი სასწავლო პროცესის შთაბეჭდილებას ტოვებს — მონაწილე უბრალოდ ივიწყებს, რომ იგი მოსწავლეა. დისკუსიის პროცესი მიმდინარეობს ისე, რომ ახალი ინფორმაცია — იურიდიული ან „საქმის“ — ამოცანის შინაარსთან დაკავშირებული კონკრეტული მონაცემები — ჩნდება ამოცანის ამოხსნის საჭირო, აუცილებელ მომენტში. სწორედ კარნახის ეს დროულობა და ბუნებრიობა არის იმის მიზეზი, რომ იგი უკვე დიდ მნიშვნელობას



იძენს და დისკუსიის მონაწილეთა ინდიფერენტულ დამოკიდებულებას ინფორმაციისადმი ცვლის აქტუური დამოკიდებულებით.

კვალიფიკაციის ამალღების პროცესის სტაჟიან მონაწილეებს საშუალება ეძლევათ გამოამყლავნონ თავიანთი ცოდნა და გამოცდილება, რაც მათ გარკვეულად ავიწყებს თავის „მოსწავლეობას“ და დისკუსიის პროცესში სწორი აზრის გამოთქმას ღირსების საქმედ განაცდევინებს.

რა თქმა უნდა, ხუთი დღის განმავლობაში ძნელია ჩამოყალიბებული იურისტის სტერეოტიპის შეცვლა, მაგრამ პრობლემური დისკუსიის მონაწილეს სულ ცოტა ოთხი-ხუთი როლის შესრულების შემდეგ უკვე გარკვეული ზომით შეიძლება ჩამოუყალიბდეს სწორედ ის წარმოდგენა ამოცანის გადაწყვეტისადმი, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტის ფსიქოგერისტიკულ პროგრამას.

ექსპერტთა როლების შემოტანა პრობლემური დისკუსიის წარმართვის პროცესში ერთნაირად კეთილისმყოფელად მოქმედებს მის როგორც ახალგაზრდა, ასევე პროფესიული სტაჟის მქონე მონაწილეებზე. იგი საშუალებას იძლევა კვალიფიკაციის საქმის სასარგებლოდ იქნეს გამოყენებული შეკრების მონაწილეთა განსხვავება ასაკით. ის, რაც კვალიფიკაციის ამალღების ტრადიციულ ინფორმაციულ-შეტყობინებითი მეთოდის გამოყენების დამამუხრუჭებელი ფაქტორია, აქ მის ხელშემწყობ ფაქტორად იქცევა.

ხაღია, რომ ხუთდღიანი ნაყოფიერი დისკუსია, სულ ცოტა ხუთი მნიშვნელოვანი იურიდიული ამოცანის გადაწყვეტა უახლოესი მოთხოვნების შესაბამისად. თავისთავად მეტყველებს, რომ კვალიფიკაციის ამალღების ეს მეთოდი პროგრესულია. თუმცა იგი, რა თქმა უნდა, ვერ წყვეტს კვალიფიკაციის ამალღების ყველა პრობლემას, თუნდაც იმიტომ, რომ მისი გამოყენების შემთხვევაში არ იხსნება დღის წესრიგიდან ახლად შექმნილი ცოდნა-გამოცდილების გამოყენების ეფექტიანობის შემოწმების საკითხი შემდგომ პრაქტიკულ მუშაობაში.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ სწავლების ფსიქოგერისტიკული, პრობლემური დაპროგრამების კოლექტიური საუბრის ფორმით განხორციელებული მეთოდი პერსპექტიულია იურიდიული კადრების პროფესიული დაოსტატების საქმეში, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მართო ამით პრობლემის სრული გადაწყვეტის იმედი წინამდებარე სტატიის ავტორებს არა აქვთ. ერთი რამ უდავოა — პროკურატურის ოპერატიულ მუშაკთა კვალიფიკაციის ამალღების ეფექტიანობა, გარდა სწავლების სწორი მეთოდისა, დამოკიდებულია პროკურატურაში შრომის მეცნიერულ ორგანიზაციაზეც.







მწიფო შესყიდვა მეურნეობებში ზორციელდება კონტრაქტაციის ხელშეკრულების მიხედვით. მათი დადების საფუძველია: სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების სახელმწიფო გეგმები და მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების გეგმები. მეურნეობათა სურვილისამებრ ხელშეკრულებაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ზეგეგმითი პროდუქციაც. მეურნეობების, მრეწველობისა და ვაჭრობის საწარმოთა პირდაპირი სამეურნეო კავშირთურობების უზრუნველყოფისათვის დადგენილია, რომ ხელშეკრულების დადება ხდება როგორც უშუალოდ მეურნეობებში, სადაც დამამზადებელი მოვალეა მიავლინოს თავისი წარმომადგენელი, ისე დამამზადებლის მიერ მეურნეობისათვის ხელშეკრულების პროექტის გაგზავნის და მეურნეობის მიერ დამამზადებლისათვის ხელმოწერილი ხელშეკრულების ფოსტით დაბრუნების გზით. ეს სიახლე განაპირობა იმან, რომ პრაქტიკულად ის ორგანიზაციები, რომლებიც დამამზადებლის ფუნქციას ასრულებენ, ტერიტორიულად მეურნეობებისაგან დაშორებული არიან. ეს განსაკუთრებით ითქმის ისეთი კულტურების შესყიდვის დროს, როგორიც არის მატყლი, ბოსტნეული, ხილი. ამავე მოსაზრებით, დებულება ითვალისწინებს მეურნეობის მიერ ერთგვაროვან პროდუქციაზე რამდენიმე დამამზადებელთან ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას. მოსალოდნელი დავა გადაწყდება სოციალისტური ორგანიზაციებისათვის ჩვეულებრივი წინასახელშეკრულებო უთანხმოებათა გადაწყვეტის წესით.

**ხელშეკრულება** დგება ოთხ ეგზემპლარად, აქედან ერთი რჩება მეურნეობას, მეორე — დამამზადებელს, მესამე ეგზავნება რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებას, ხოლო მეოთხე — სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვისა და ხარისხის სახელმწიფო ინსპექციას. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისიც, რომ კანონმდებლობა განსაზღვრავს კონტრაქტაციის ხელშეკრულების დადების საბოლოო ვადებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „სოფლის მეურნეობის სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან ეკონომიკური ურთიერთობის სრულყოფის შესახებ“ აწესებს, რომ ხელშეკრულებანი შესაბამისი ვადით უნდა დაიდოს სამთვიან ვადაში სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის დამტკიცების შემდეგ (პ. 24)<sup>3</sup>.

დებულება დაწვრილებით განსაზღვრავს, თუ რა საბუთები უნდა დაურთოს დამამზადებელმა ხელშეკრულებას. ეს საბუთებია: სტანდარტები ან ტექნიკური პირობები, რომლებიც განსაზღვრავენ შესასყიდი პროდუქციის ხარისხს; ინსტრუქციები, რომლებიც აწესრიგებენ პროდუქციის ცალკეულ სახეობათა შესყიდვის, აგრეთვე შესყიდული პროდუქციის მიღებისა და ხარისხის შეფასების საკითხებს, მასზე ანგარიშსწორებას და სხვა ნორმატიული აქტები, თუ ისინი წინათ იყო წარდგენილი. დამამზადებელი მოვალეა მეურნეობის თხოვნით მუშაკებისათვის მოაწიოს ინსტრუქტაჟი და კონსულტაციები ამ აქტების გამოყენების თაობაზე.

რაც შეეხება ხელშეკრულების შესრულებას, ახალმა დებულებამ, პარტიისა და მთავრობის უკანასკნელი წლების ღირებულებების შესაბამისად, განამტკიცა დამამზადებლის მოვალეობა მიიღოს სასოფლო-სამეურნეო პრო-

<sup>3</sup> ЦП СССР, 1983 г., № 19, ст. 104.



დუქცია უშუალოდ მეურნეობაში და გაიტანოს იგი იქიდან თავისი ტრანსპორტით<sup>4</sup>. სოფლის მეურნეობის პროდუქციის რაოდენობას, რომელიც უშუალოდ მეურნეობაში უნდა მიიღოს, განსაზღვრავენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები იმ პირობით, რომ მეთორმეტე ხუთწლედ<sup>5</sup> დაშთავი დეი ამ სისტემაზე გადასვლა, ე. ი. პირუტყვისა და ფრინველის, ჩიძის, კარტაღლის, ბოსტნეულის, ხილის, კენკრისა და ყურძნის უშუალოდ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიღება და მეურნეობებიდან ამ პროდუქციის დამამზადებლის ტრანსპორტით გატანა<sup>5</sup>. ამ სიახლის მიზანია ამდღეს დამამზადებელი ორგანიზაციების პასუხისმგებლობა მოწეული სოფლის მეურნეობის პროდუქციის უფრო სრულად გამოყენებისათვის, გაუმჯობესდეს მისი შენახვა, გადამუშავება და მომხმარებლისათვის მიწოდება. სოფლის მეურნეობის პროდუქციის კონკრეტული რაოდენობა, რომლის მიღებაც უშუალოდ მეურნეობაში ხდება და რომელიც დამამზადებელს მიაქვს თავისი ტრანსპორტით, განსაზღვრულია კონტრაქტაციის ხელშეკრულებით. პროდუქციის დანარჩენ ნაწილს დამამზადებელი იძენს მისაღებ პუნქტებში, რომლებიც შექმნილია იმ ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებში, სადაც მოცემული მეურნეობა მდებარეობს, ან მეზობელ რაიონში, თუ მისაღები პუნქტი მეურნეობასთან ახლოს იმყოფება. პროდუქციის სხვა ადმინისტრაციულ რაიონებში გაგზავნის აუცილებლობისას დამამზადებელი იღებს მას აღნიშნული წესისამებრ და აფორმებს გასაგზავნ საბუთებს თავისი სახელით (პ. 17).

კონტრაქტაციის ხელშეკრულებაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის რაოდენობა და ასორტიმენტი განსაზღვრულია სახელმწიფო შესყიდვის გეგმის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ ჩაბარებას დაქვემდებარებული პროდუქციის ფართო ასორტიმენტი გეგმით განსაზღვრული არ არის, იგი ხელშეკრულებაში დგინდება მხარეთა შეთანხმებით (პ. 13). ამასთანავე დადგენილია დამამზადებლის მოვალეობა. მიიღოს მეურნეობის მიერ გეგმის გადამეტებით მიწოდებული მთელი პროდუქცია ხელშეკრულებაში აღნიშნული ფასებისა და პირობების დაცვით. გამოჩაკლისია მალეფუჭდებადი და არასტანდარტული ხილბოსტნეულის პროდუქცია, რომელიც ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოცულობის გადაჭარბებით ბარდება. ამ პროდუქციას დამამზადებელი იღებს მხარეთა მოლაპარაკების შედეგად შეთანხმებული პირობებისა და ფასების მიხედვით (პ. 14).

სიახლეა, აგრეთვე მეურნეობის მოვალეობა ტელეფონით აცნობოს და-

<sup>4</sup> „სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 14 ნოემბრის დადგენილების შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები სსრ კავშირის იმ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით, რომლებიც ახორციელებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვას, 1981 წლიდან მოყოლებული დამამზადებელ ორგანიზაციებთან, კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებთან, და გაერთიანებებთან ადგენენ უშუალოდ მეურნეობებში პროდუქციის მიღებისა და ჩაბარების დავალებებს.

<sup>5</sup> სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 24 მაისის დადგენილება „ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფისა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“.



მამზადებელს პროდუქციის გაგზავნის დრო, აგრეთვე დროულად აუწყოს მას მოცულობის გადამეტებით ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პროდუქციის რაოდენობისა და ჩაბარების ვადები, და შეათანხმოს ჩაბარების კალენდარული (სადღელამისო) გრაფიკი. ასეთი ვალდებულება მიზნად ისახავს უზრუნველყოს პროდუქციის დროული მიღება და, მაშასადამე, მისი დაცვა-შენახვა. პროდუქციის გადაცემა ძირითადად წარმოებს გრაფიკების მიხედვით, რომლებიც წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული ხელშეკრულების მხარეთა მიერ და შეიძლება შეიცვალოს ხელშეკრულების შესრულების პროცესში ასევე მხარეთა შეთანხმებით.

**წ**ინა წლებში საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული შემთხვევები, დესაც დამამზადებლები უარს ეუბნებოდნენ მეურნეობებს მიწოდებული პროდუქციის მიღებაზე. ამჟამად დადგენილია, რომ ასეთ შემთხვევაში მეურნეობას შეუძლია ეს პროდუქცია მიჰყიდოს სხვა ორგანიზაციებს, აგრეთვე თავისი ოლქის ან მის ფარგლებს გარეთ იმ ფასებში, რომლებიც განსაზღვრულია მხარეთა შეთანხმებით. ამასთანავე დამამზადებელი ორგანიზაციები არ თავისუფლებიან ქონებრივი პასუხისმგებლობისაგან პროდუქციის მიღებაზე უარის თქმის გამო. მიუხედავად ამისა, უარის თქმის დამტკიცების წესი უცვლელი დარჩა. პროდუქციის მიღებაზე უარის თქმისას (პ. 38) პროდუქციის დამამზადებელმა ან მიმღებმა ამის გამო შენიშვნა უნდა გააკეთოს სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადებზე, ტელიგრაფით და ა. შ. ხოლო, უარის თქმის შესახებ დამამზადებლის მიერ წერილობით განცხადებაზე თავის არიდების შემთხვევაში მეურნეობა იწვევს სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვისა და ხარისხის რაიონული სახელმწიფო ინსპექციის ან რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებებს წარმომადგენელს და ამ უკანასკნელის მონაწილეობით ადგენს აქტს, რომელიც ადასტურებს უარის თქმის ფაქტს, აგრეთვე იმ პროდუქციის რაოდენობას, რომლის მიღებაზეც დამამზადებელმა უარი განაცხადა.

მეტად მნიშვნელოვანია ახალი დებულება, რომლის თანახმადაც დამამზადებელი ვალდებულია უზრუნველყოს მეურნეობა ტარით, ტარის ლურსმნითა და საფუთავი მასალებით იმ შემთხვევაში, თუ საამისო ფონდი მეურნეობას გამოყოფილი არა აქვს. დებულება სპეციალურად ადგენს, რომ მეურნეობათა უზრუნველყოფა ტარით, ლურსმნითა და საფუთავი მასალებით ხილბოსტნეულისათვის უნდა წარმოებდეს წლიური მოთხოვნილების არანაკლებ 80 პროცენტის ოდენობით ყოველი წლის პირველ ნახევარში, დამამზადებლის ეს მოვალეობა უზრუნველყოფილია სპეციალური სანქციებით. თუ ამ მასალებით მეურნეობა არ იქნება უზრუნველყოფილი, დამამზადებელი მეურნეობას უხდის ჯარიმას მიუწოდებელი ტარის, ტარის ლურსმნის, საფუთავი მასალების ღირებულების 100 პროცენტის ოდენობით საპრეისკურანტო ფასების მიხედვით და ამასთანავე მოვალეა აანაზღაუროს პროდუქციის გაფუჭებით ან დაღუპვით გამოწვეული ზარალი, თუ იგი ამ მიზეზით წარმოიშვა.

დამამზადებელი მეურნეობებთან ანგარიშსწორებას რიგგორც წესი, საგადასახადო დავალებებით (ჩეკებით) ახორციელებს არა უგვიანეს მეორე დღისა პროდუქციის მიღების შემდეგ, ხოლო თუ დამამზადებელი მისი მომსახურე ბანკის ადგილსამყოფლის ფარგლებს გარეთ იმყოფება, მაშინ არა უგვიანეს ხუთი დღისა პროდუქციის მიღების შემდეგ, მხარეებს შეუძლიათ



კონტრაქტაციის ხელშეკრულებაში გაითვალისწინონ ანგარიშსწორების სხვა ფორმები და წესები. პროდუქციის ტრანსპორტირებისა და გაგზავნის ყველა ხარჯს დამამზადებელი იხდის. იგი უნაზღაურებს მეურნეობებს აგრეთვე კოლმეურნეთა მეურნეობებისაგან და სხვა მოქალაქეებისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის მიღების, აგრეთვე ამ პროდუქციის დაქმნადებელ პუნქტებში მიზიდვის ხარჯებს იმ წესითა და ოდენობით, რომლებიც დადგენილია მოკავშირე რესპუბლიკის მთავრობის მიერ.

დებულების უკანასკნელი განყოფილება ეძღვნება მხარეთა ქონებრივ პასუხისმგებლობას. წინანდელი პრაქტიკისაგან განსხვავებით, დადგენილია მეურნეობათა ქონებრივი პასუხისმგებლობა იმ პროდუქციის გაყიდვისათვის, რომლის ხარისხიც ხელშეკრულებაში პირობადებულზე დაბალია. ამ პასუხისმგებლობის მოცულობა გათვალისწინებული იქნება სპეციალური წესებით. ასეთი პასუხისმგებლობა არ დადგება იმ შემთხვევაში, თუ დაბალი ხარისხის პროდუქციის ჩაბარება მეურნეობისათვის ნებადართულია დადგენილი წესით.

ესალმა დებულებამ უარი თქვა საურავის გადახდაზე მეურნეობის მიერ დამამზადებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის ჩაუბარებლობისათვის. ასეთ შემთხვევებში მეურნეობა დამამზადებელს უხდის ჯარიმას სამი პროცენტის ოდენობით, ზოლო კარტოფილის, ბოსტნეულის, ბახჩეული კულტურების, ნაყოფის, კენკრის, ყურძნის, ციტრუსის, ხმელი ხილის, კაკლისა და თაფლის ჩაუბარებლობისათვის, მათ ღირებულებას სხვა პროცენტის ოდენობით. ასეთივე პასუხისმგებლობა ეკისრება დამამზადებელს პროდუქციის მიღებაზე უარის თქმისა და უშუალოდ მეურნეობაში პროდუქციის მიღების მოვალეობის შეუსრულებლობისათვის.

დებულება ადგენს დამამზადებელთა გააჩივრებულ ქონებრივ პასუხისმგებლობას მეურნეობებთან მცდარი ანგარიშსწორებისათვის. დამამზადებელი ორგანიზაციების მხრივ კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან გაყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქციისათვის მცდარი ანგარიშსწორების ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებსაც ჯერ კიდევ ვხვდებით. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1983 წლის 7 ივლისს მიიღეს დადგენილება, რომელიც რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებს უფლებას ანიჭებს აღძრან სარჩელები დამამზადებელი ორგანიზაციების მიმართ მათგან მეურნეობათა სასარგებლოდ (თუ ასეთი სარჩელები წარდგენილი არ არის ამ მეურნეობათა მიერ) მიუღებელი ან მეურნეობათა მიერ ზედმეტად გადახდილი თანხის მთლიანად ანაზღაურების შესახებ. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების სასარგებლოდ მცდარი ანგარიშსწორების გამო გადახდევინების დროს დამამზადებელი, მეურნეობის სასარგებლოდ გადახდევინებული თანხის გარდა, იხდის ჯარიმას საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში გადახდევინებული თანხის 20 პროცენტის ოდენობით. ეს ნორმა რეპროდუცირებულია დებულებაში. იქვე მითითებულია, რომ დამამზადებელი ორგანიზაციები ჯარიმას უხდიან ბანკს, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ანაზღაურებისათვის საგადასახადო დავალებათა წარდგენის ვადის გადაცილების დროს.

ბრალეული მხარე, ჯარიმის გადახდის მიუხედავად, მოვალეა აუნაზღაუროს მეორე მხარეს მიყენებული ზარალის ჯარიმით დაუფარავი ნაწილი.



დებულებაში ხაზგასმულია ნორმატიული აქტებით ან მოქმედი კანონმდებლობით ანდა კონტრაქტაციის ხელშეკრულებით დადგენილი სანქციების შეფარდების სავალდებულობა ურთიერთჩათვლის გარეშე ვალდებულებათა დარღვევისათვის. დადგენილია, რომ მხარეებს შეუძლიათ გაითვალისწინონ კონტრაქტაციის ხელშეკრულებაში დამატებითი სანქციები ვალდებულებათა შეუსრულებლობის ანდა არასათანადოდ შესრულებისათვის.

**სახელმწიფო, საგეგმო და სახელშეკრულებო დისციპლინის რეალური განმტკიცება.** შეუძლებელია ხელმძღვანელებისა და სხვა თანამდებობის პირთა პირადი პასუხისმგებლობის აუმაღლებლად. დამამზადებელი ორგანიზაციების, მეურნეობების ხელმძღვანელებისა და სხვა თანამდებობის პირთა მიმართ ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის შეფარდების აუცილებლობა სპეციალურად არის აღნიშნული დებულებაში. ასეთ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს შრომის კანონმდებლობა (სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლები, მუხლი 56-ე; საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსი, 135-137 მუხლები), ხოლო კოლმეურნეობის წევრთა მიმართ — კოლმეურნეობის სანიმუშო წესდება. იმ პირებს, რომელთაც ბრალი მიუძღვით ზიანის მიყენებაში, რაც გამოწვეულია ვალდებულების შეუსრულებლობით ან მისი არასათანადოდ შესრულებით, აგრეთვე დამამზადებლებისა და მეურნეობებისათვის სანქციების გადახდით, ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა იმ წესითა და იმ ფარგლებში, რომლებიც დადგენილია შრომის კანონმდებლობით ან კოლმეურნეობის სანიმუშო წესდებით (დებულების მე-4 პ.), მუშაკთა მატერიალურ პასუხისმგებლობას აწესრიგებს შრომის კანონმდებლობის საფუძვლების 49-ე მუხლი (საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 118-124 მუხლები). როგორც წესი, იგი შეზღუდულია მუშაკის გამომუშავების ნაწილით და დგება მხოლოდ მაშინ, თუ ზიანი მიყენებულია ბრალეულის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებებით. ასეთ შემთხვევებს განეკუთვნება ზარალი, რომელიც დაკავშირებულია სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის სანქციის გადახდასთან. მუშაკთა სრულ მატერიალურ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 121-ე მუხლი. მას განეკუთვნება ზარალის მიყენება, რომელიც გამოწვეულია იმით, რომ ერთჯერადი მინდობილობით მიღებული ქონების შენახვას ვერ უზრუნველყოფენ, დატაცების, დანაკლისის, მატერიალურ ფასეულობათა განზრახ განადგურების ან გაფუჭების შემთხვევები. კოლმეურნეობის წევრთა მატერიალური პასუხისმგებლობა განისაზღვრება კოლმეურნეობის სანიმუშო წესდებით.



## სსრკ-ის სამართლებრივი დაცვისა და რაციონალური გამოყენებისათვის

### ა. ლაგარტაშვილი

ფაუნა ბუნების ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილია. იგი ფას-დაუდებელ სიმდიდრეს წარმოადგენს, არის ბეწვეულის, ბუმბულის, ხორცის, ტყავისა და სხვა ნედლეულის წარმოების ამოუწურავი წყარო. დიდია ცხოველთა სამყაროს მნიშვნელობა მეცნიერულ-კვლევითი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი თვალსაზრისითაც. ნადირობა არის არა მარტო ნადირ-ფრინველთა რეწვა, არამედ ადამიანთა სრულფასოვანი დასვენების, ჯანმრთელობის გაუმჯობესების საშუალებაც. ამიტომ არის, რომ საბჭოთა სახელმწიფო უდიდეს ყურადღებას უთმობს ცხოველთა სამყაროს საიმედო დაცვასა და ყაირათიან გამოყენებას. ამის აუცილებლობა იმითაც არის განპირობებული, რომ ზოგიერთი საწარმო, ორგანიზაცია და დაწესებულება, ცალკეული თანამდებობის პირი ჯერ კიდევ არღვევს უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესებს, რის გამოც გარემოსთან ერთად ზიანდება ცხოველთა სამყაროც. ეს იწვევს იშვიათი და ძვირფას სახეობათა ნადირ-ფრინველების საერთოდ გადაშენებას ან საგრძნობლად შემცირებას.

საჭირო გახდა სათანადო სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება, რათა ბუნების უბადლო ქმნილებანი დაცული ყოფილიყო მავნე ხელყოფისაგან.

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიამ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონის საფუძველზე 1981 წლის ივნისში მიიღო კანონი „ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ“, რომლის მიზანია ცხოველთა სამყაროს ეფექტიანი და რაციონალური გამოყენება, საბჭოთა ადამიანების აღზრდა გარემო ბუნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის ფაუნისადმი მზრუნველი, ყაირათიანი და ჰუმანური დამოკიდებულების სულისკვეთებით.

კანონი განსაზღვრავს, თუ რომელი ორგანოები ახორციელებენ მმართველობას ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენებისადმი, მათ შორის სრულიად სამართლიანად გამოყოფილია სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები, რომლებიც კანონის ძალით „კოორდინაციას და კონტროლს უწევენ მათს ტერიტორიაზე მდებარე ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების დარგში“. კანონის მიხედვით, დიდი უფლებამოსილებით არიან აღჭურვილი აგრეთვე პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, ბუნების დაცვის, მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებები, სამეცნიერო დაწესებულებები, მოქალაქეები. ისინი ეხმარებიან სახელმწიფო ორგანოებს ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალური გამოყენების ღონის-



ძიებათა შემუშავებაში, ფაუნის დაცვისა და გამოყენებისადმი კონტროლის განხორციელებაში.

კანსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კანონში ფაუნით სარგებლობას. კანონის მეორე ნაწილში განსაზღვრულია: ფაუნით მოსარგებლე სუბიექტები; სარგებლობის სახეობები და პირობები; ნადირობის, თევზჭერის, წყლის სხვა ბინადართა მოპოვების წესები; ფაუნით სარგებლობა. მეცნიერული, კულტურულ-საგანმანათლებლო და ესთეტიკური მიზნებისათვის; ფაუნით სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძვლები.

კანონის მესამე ნაწილი მთლიანად აწესრიგებს ცხოველთა სამყაროს დაცვას, მის გათვალისწინებას ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებში და მათ აუცილებელ შესრულებას სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებების ორგანიზაციების მიერ.

სახელმწიფო ზრუნავს იშვიათი და გადაშენების პირას მისულ სახეობათა ცხოველების დასაცავად, ახორციელებს რადიკალურ ღონისძიებებს მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამას ემსახურება „წითელი წიგნების“ შემოღება, აგრეთვე შესაბამისი ორგანოების მიერ საჭირო ღონისძიებათა განხორციელება იშვიათი და გაქრობის პირად მისულ სახეობათა ცხოველების შესანარჩუნებლად, მათი ტყვეობაში მომრავლებისათვის.

ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალური გამოყენებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოველთა სახელმწიფო აღრიცხვას, სახელმწიფო კადასტრირების აუცილებლობას, მისი წარმოების წესის განსაზღვრას, ფაუნის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელებას, ამ დარგში კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის საკითხების მოწესრიგებას.

საქართველო ოდითგან მდიდარ იყო ძვირფასი ცხოველებითა და ფრინველებით. მათს მოვლა-პატრონობას განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა სამოცდაათიანი წლებიდან, როდესაც რესპუბლიკის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა გააძლიერეს ყურადღება ბუნების სიმდიდრეთა, მათ შორის ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალური გამოყენებისადმი. განხორციელდა ქმედითი ღონისძიებანი ძვირფასი, იშვიათი სახის ნადირფრინველთა მოვლა-პატრონობის, აღდგენისა და გამრავლების მიზნით. პირველ რიგში აღსანიშნავია საქართველოს სსრ ტყის კოდექსის შემუშავება და მიღება.

ტყის ახალი კოდექსის ბევრ ფასეულობათა შორის რესპუბლიკის ბუნებრივ-კლიმატური პირობების სპეციფიკურობის გამო მეტად მნიშვნელოვანია ამ კანონის მეორე კარის ოცდამეოთხე თავი „სამონადირეო მეურნეობის საჭიროებისათვის ტყით სარგებლობის წესი“. როგორც სატყეო-სამეურნეო საწარმოების, აგრეთვე ტყით მოსარგებლე საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, ცალკეულ მოქალაქეთა მხრივ ტყის მოვლა-პატრონობისადმი, მისი რესურსების გამოყენებისადმი უყაირათო, უპასუხისმგებლო მიდგომა სხვა ბევრ უარყოფით შედეგთან ერთად იწვევს ნადირ-ფრინველთა არსებობისა და გამრავლებისათვის აუცილებელი ბუნებრივი პირობების ხელყოფას. ამის ბრალიც არის, სხვა მიზეზებთან ერთად, ჩვენს რესპუბლიკაში ძვირფას სახეობათა ნადირ-ფრინველების (ქურციკი, დურაჯი, ჯიქი, ნიამორი, აფთარი და სხვა) გადაშენება, მრავალი სახეობის ფაუნის საგრძნობლად შემცირება. ამიტომ უაღრესად დიდმნიშვნელოვანია საქართველოს სსრ ტყის კოდექსის 72-ე



მუხლის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, „ტყით სარგებლობა და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები უნდა ხორციელდებოდეს ნადირის ბინადრობისათვის ხელშეწყობის პირობების შენარჩუნების აუცილებლობის გათვალისწინებით“. 72-ე მუხლის მოთხოვნას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს და მისი რეალური განხორციელება ხელს შეუწყობს ჩვენი რესპუბლიკის მრავალფეროვანი სამონადირეო მეურნეობის საიმედო დაცვასა და განვითარებას.

ქვე შევნიშნავთ, რომ ამ მუხლის მოთხოვნის პრაქტიკული განხორციელების შედეგები უფრო ეფექტიანი იქნება, თუ რესპუბლიკის სამონადირეო მეურნეობის მართვა მთლიანად დაექვემდებარება რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის სამინისტროს. ამ მხრივ უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯიც, კერძოდ, სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებით რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შეიქმნა „სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო“. მაგრამ ეს არ არის საკმარისი. საჭიროა რესპუბლიკის სამონადირეო მეურნეობის მართვის გაუმჯობესება, მისი ყოვლისმომცველი, გეგმაზომიერი მოვლა-პატრონობა, ამ სამმართველოს საქმიანობის სრულყოფა, მისი ფუნქციების დაკონკრეტება და კომპეტენციის გაფართოება. დღეისათვის რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის სამინისტროს სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს ექვემდებარება მხოლოდ ხუთი სატყეო-სამონადირეო მეურნეობა, რაც შეეხება 52 სამონადირეო მეურნეობას, რესპუბლიკის სამონადირეო მეურნეობის უდიდეს ნაწილს, ისინი ექვემდებარებიან მონადირეთა და მეთევზეთა კავშირს. მას არ ძალუძს სრულყოფილად განახორციელოს მრავალფეროვანი სამეცნიერო-ტექნიკური და ეკონომიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებანი და, რაც მთავარია, შექმნას აუცილებელი ჩვეულებრივი პირობები ნადირ-ფრინველთა გამრავლება-მოშენებისათვის. არ ძალუძს, ვინაიდან მის სისტემაში შემავალი მიწერილი სამონადირეო მეურნეობათა ტერიტორიები მათი არ არის, ეს მიწები ძირითადად სატყეო მეურნეობის სამინისტროს მიწებია. ამიტომ მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის უფლებამოსილება ნადირ-ფრინველთა მოვლა-პატრონობის სფეროში ერთობ შეზღუდულია. მას არ შეუძლია მიწერილ სამონადირეო მეურნეობებში ნადირ-ფრინველთა აღდგენის, მოშენებისა და გამრავლებისათვის საჭირო მრავალფეროვანი ბიოტექნიკურ ღონისძიებათა დროული განხორციელება.

სამონადირეო მეურნეობის განვითარებას ძალიან აფერხებს ნადირობის წესების დარღვევა-ბრაკონიერობა, ანუ ნადირობა უნებართვოდ, აკრძალული იარაღით, აკრძალულ ადგილებში, აკრძალულ ნადირ-ფრინველზე. უკანონო ნადირობა დიდ ზიანს აყენებს ცხოველთა სამყაროს, ხელს უშლის მის გამრავლებას, აღდგენას, ზარალს აყენებს სამონადირეო მეურნეობის ეკონომიკას. უკანონო ნადირობა არანაკლებ მორალურ ზიანსაც იწვევს. ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლა საამისოდ უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებთან ერთად ევალება მონადირეთა და მეთევზეთა კავშირს, მის მუშაეებს: ეგერებს, ნადირობის მცოდნეებს და სხვა. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მიწერილ სამონადირეო მეურნეობებში ნადირ-ფრინველთა დაცვის სამსახურის საქმიანობის დონე ძალზე დაბალია. ყველა მიწერილ სამონადირეო მეურნეობას არა ჰყავს ეგერები და დაცვის სამსახურის სხვა მუშაეები, ზოგან კი მათი რიცხვი არასაკმარისია, თანაც ზოგიერთი მათგანი უპასუხისმგებლოდ ეკიდება თავის სამ-



სახურებრივ მოვალეობას, თვითონაც კი ეწევიან უკანონო ნადირობას. მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის კონტროლი მათი საქმიანობისადმი არასაკმარისია.

**უ**კანონო ნადირობა, საქართველოს სსრ ტყის კოდექსის 72-ე მუხლით გათვალისწინებული ტყით სარგებლობის წესების შეუსრულებლობასთან ერთად არის იმის მიზეზი, რომ ჩვენს რესპუბლიკაში საერთოდ გადაშენდა ძვირფასი ჯიშის ზოგიერთი ნადირ-ფრინველი, ბევრი სახეობის ნადირ-ფრინველთა რაოდენობა კი საგრძნობლად შემცირდა.

სამონადირეო მეურნეობის განვითარებისათვის დიდი სნიშვნელობა აქვს გადაშენებული და გადაშენების პირას მდგარი ნადირ-ფრინველების აღდგენას, მათს გამრავლებას ხელოვნური მოშენების გზით.

**ს**აბჭოთა მიწის კანონმდებლობით აღიარებულია საერთოდ მიწების უპირატესად სოფლის მეურნეობის მიზნებისათვის გამოყენების აუცილებლობა. მაგრამ ყოვლად გაუმართლებელია ამ მოტივით სამონადირეო სავარგულების სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად გადაქცევა, რაც აფერხებს რესპუბლიკის ისედაც გაღარიბებული სამონადირეო მეურნეობის შემდგომ განვითარებას. მოვიყვანოთ ერთ ასეთ ფაქტს აბაშის რაიონის სინამდვილიდან. მდინარე რიონსა და სოფელ სუჯუნას შორის საკოლმეურნეო სატყეოს საკმაოდ მოზრდილ ტერიტორიაზე უხვად ბინადრობდნენ გარეული იხვები, ბატები, გედები, ღორები, ტყის ქათმები და სხვა ნადირ-ფრინველი. პატარა წყალსატევებში უხვად იყო თევზი. 60-იან წლებში სატყეოს მთელი ტერიტორია თითქმის მთლიანად იქნა ათვისებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად, ამან. რასაკვირველია, ხელი შეუწყო რაიონში მარცვლეულის, კერძოდ, სიმინდის წარმოების გადიდებას, მაგრამ ამასთან ერთად გამოიწვია ზემოთ ჩემოთვლილ ნადირ-ფრინველთა თითქმის საერთოდ გადაშენება, ვინაიდან სამონადირეო სავარგულების ათვისებით მოისპო ნადირ-ფრინველთა არსებობა-გამრავლებისათვის საჭირო ბუნებრივი პირობები. საჭიროა, რომ სოფლის მეურნეობის მიზნებისათვის მიწების ათვისება განხორციელდეს მოფიქრებულად, მეცნიერულ საფუძველზე, რომ მან ხელი არ შეუშალოს ცხოველთა სამყაროს დაცვა-მოშენებას.





ა. სავანელი

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც გარემო ბუნებასთან ადამიანის დამოკიდებულების ძირითად კრიტერიუმად ეკონომიკური სარგებლობის მიღების დონეს მიიჩნევდნენ.

დღეს საკითხი შემდეგნაირად ისმის: არის თუ არა იმედი, რომ პლანეტაზე შენარჩუნებულ იქნეს სიცოცხლის ის მრავალფეროვნება, რომელიც დღევანდელმა თაობამ მიიღო თავის განკარგულებაში, თუ უკვე უნდა შევეჩვიოთ აზრს, რომ მომავალში დედამიწაზე ბიოსფერო პროგრესიულად გაღარიბდება, რასაც საბოლოო ანგარიშით მოჰყვება უმძიმესი სოციალური და გენეტიკური შედეგები.

შეიქმნა კურორთული სიტუაცია — ბუნება, ურომლისოდაც ადამიანს არსებობა საერთოდ არ შეუძლია, გაცილებით უფრო ნაკლებად დაცული აღმოჩნდა, ვიდრე სახელმწიფო და მართლწესრიგი.

ულორისა და ფაუნის დაცვის უმნიშვნელოვანეს არგუმენტს წარმოადგენს წონასწორობის პრინციპი. ბუნებაში ყველა სახეობა ერთმანეთთან კავშირშია და ერთის განადგურება ჯაჭვური რეაქციის პრინციპით იწვევს მრავალი სხვა სახეობის რაოდენობის შემცირებას ან საერთოდ განადგურებას. ერთად მცხოვრები ერთი სახეობის პოპულაცია წარმოადგენს „ბიოგეოცენოზს“ — ბიოსფეროს ელემენტარულ „აგურს“. თითოეული ამ ელემენტარული „სამყაროს“ ფუნქციონირებაზე დამოკიდებული ბუნებრივი წყლების ხარისხი, ატმოსფეროს შედგენილობა და ნიადაგის ნაყოფიერება.

სპეციალური გამოკვლევით გამოანგარიშებულია, რომ უმაღლესი სახეობის მცენარეულობა მჭიდროდ არის დაკავშირებული დაახლოებით 10 სახეობის მწერ-გამამტვერიანებლებთან. ეს ნიშნავს, რომ ერთი რომელიმე სახეობის მცენარის განადგურება ავტომატურად იწვევს 10 და მეტი მწერის გაქრობას და — პირიქით.

ეს და სხვა ყველასათვის ცნობილი ფაქტები ბუნებაში არსებული სხვადასხვა სახეობის პოპულაციებს შორის ნივთიერებათა, ენერჯის და ინფორმაციის გაცვლის შესახებ კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ეკოლოგიური სისტემიდან ერთი კომპონენტის ამოვარდნა ან ამოღება მოასწავებს მისგან დამოკიდებულ სხვა სახეობათა კონკურენციუზარიაბობის დაქვეითებას ან უშუალო დაღუპვას.

ცხოველთა სამყაროს დაცვის საკითხში მეცნიერთა უმნიშვნელოვანესმა გამოკვლევებმა და დასკვნებმა თავისი ასახვა პოვა საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კანონებში ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ.

კანონის პრეამბულაში ნათქვამია, რომ სსრ კავშირში ახლანდელ და მომავალ თაობათა ინტერესებისათვის ხორციელდება ღონისძიებანი ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალური გამოყენებისათვის.

მეცნიერთა მოწოდება „აზროვნების ეკოლოგიზაციის“ შესახებ ასევე ასახულია პრეამბულაში. კანონმდებლობის მიზანია ხელი შეუწყოს საბჭოთა ადამიანების აღზრდას ცხოველთა სამყაროსადმი მზრუნველი და



ჰუმანური დამოკიდებულების სულისკვეთებით.

ბუნებაში წონასწორობის პრინციპის უზრუნველყოფას ემსახურება პირველი მუხლი, რომლის მიხედვითაც ამ კანონის ამოცანაა მოაწესრიგოს გარეულ ცხოველთა დაცვა და გამოყენება ბუნებრივი თავისუფლების პირობებში, ბუნებრივ გაერთიანებათა მთლიანობის შენარჩუნებისა და რაციონალური გამოყენების მიზნით, აგრეთვე უზრუნველყოს ამ დარგში კანონიერების განმტკიცება.

მუხლი 2 ადგენს: „კანონმდებლობა ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ აწესრიგებს ურთიერთობას ხმელეთზე, წყალში და მოსფეროსა და ნიადაგში ბუნებრივი თავისუფლების პირობებში მცხოვრები გარეული ცხოველების (ძუძუმწოვრების, ფრინველების, ქვეწარმავლების, ამფიბიების, თევზების, აგრეთვე მოლუსკების, მწერებისა და სხვათა) დაცვისა და გამოყენების საქმეში“...

ყველა სახეობის ცხოველთა დაცვის აუცილებლობას ასაბუთებს აგრეთვე ეგრეთ წოდებული პოტენციური სარგებლიანობის პრინციპი. საქმე ის არის, რომ დღეს ჩვენ არ შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, თუ კაცობრიობისათვის მომავალში ბიოსამყაროს რომელ სახეობას ექნება ეკონომიკური და კულტურული მნიშვნელობა. ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში ბრუნვიდან ამოღებულია ცნება „მაგნებელი“ (ცხოველი, მწერი, ფრინველი და ა. შ.). ბუნებაში არ არსებობს მავნე სახეობა, არის მხოლოდ სახეობა, რომელსაც გარკვეულ პირობებში და გარკვეული რაოდენობის გადამეტებით შეუძლია ვნება მოუტანოს სახალხო მეურნეობას ან საზოგადოებას.

ამიტომ კანონის 33-ე მუხლი ფორმულირებულია შემდეგნაირად: „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, სასოფლო-სამეურნეო და სხვა შინაურ ცხოველთა დაავადებებისა და სახალხო მეურნეობისადმი ზარალის თავიდან აცილების მიზნით ხორციელდება ღონისძიებანი ცალკეულ სახეობათა გარეული ცხოველების რიცხვის მოსაწესრიგებლად. ეს ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს ჰუმანური ხერხებით, რომლებიც გამორიცხავს სხვა სახეობის ცხოველებისათვის ზიანის მიყენებასა და უზრუნველყოფს ცხოველთა ბინადრობის გარემოს შენარჩუნებას.“

დღეს არსებული ბიოსამყაროს გენოფონდი არის ის უნიკალური ევოლუციური მემკვიდრეობა, რომლის მეცნიერულად სწორ გამოყენებას და დაცვას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა კაცობრიობის მომავლისათვის.

კანონის მე-10 მუხლის მიხედვით ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა ცხოველთა სახეობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნება ბუნებრივი თავისუფლების პირობებში.

ყველა სახეობის ცხოველთა დაცვის აუცილებლობას ასაბუთებს შეუცვლელობის პრინციპი. ადამიანი თავისი საზოგადოებრივი განვითარების პროცესში ექვემდებარება სოციალური კანონების ზემოქმედებას, მაგრამ იგი ყოველთვის რჩება (და დარჩება) ბიოლოგიურ არსებად. თითოეული ადამიანის სრულყოფილი, ჯანმრთელი ცხოვრება ემყარება ნივთიერებათა ცვლის მილიონი წლების ევოლუციით დაპროგრამირებულ ფიზიკურ-ქიმიურ პროცესს. შეიძლება მოვახდნოთ ზოგიერთი მაღალმოლეკულური ნივთიერების სინთეზირება, რომლებიც ვემოთი დაემსგავსება ბუნებრივი წარმოშობის საკვები პროდუქტების შემადგენელ ელემენტებს, მაგრამ შეუძლებელია ბუნებ-



რივი შენაერთების ურთულესი გამის მიღება, რომელიც გვაქვს, მაგალითად, ხორცში, კვერცხში და სხვა ბუნებრივ პროდუქტებში, შეუცვლელი პრინციპის დარღვევის გამოვლენად შეიძლება მოყვანილ იქნეს ისეთი ფართოდ გავრცელებული დაავადება, როგორც არის ალერგია, რომელსაც რაოდენობითა და სიმძიმით ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია განვითარებულ ქვეყნებში. ალერგია აღმოცენდება და ძლიერდება ჩვენი საკვების ხელოვნური გზით მიღებული ნივთიერებების დამატებით, რომელთა მიმართ ადამიანის ორგანიზმი ევოლუციურად შეუგუებელია. ამავე მიზეზით, ბუნებრივი პროდუქტების ქიმიური ნივთიერებებით შეცვლამ საკვებში გამოიწვია მძიმე მუტაციები ცხოველებში.

შეუცვლელი პრინციპის დაცვა ნაკარნახევია იმითაც, რომ ადამიანის მოთხოვნილებები განუხრელად იზრდება, რასაც შედეგად მოსდევს სამეურნეო საქმიანობაში წინათ გამოუყენებელი ნივთიერებების ჩართვა.

სამეურნეო საქმიანობაში ახალი სინთეზიკური ნივთიერების ჩართვამდე, მეცნიერებამ უნდა ამოწიროს ამ ტიპის ყველა ბუნებრივი რეზერვი, რადგან ბუნებრივი ცოცხალი ორგანიზმი პრინციპულად შეუცვლელია ადამიანისათვის. მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ ყველა ორგანიზმი ჩვენს პლანეტაზე იყოს ცოცხალი სახით და არა როგორც საკოლექციო ეგზემპლარი მუზეუმებისათვის. ამ მიზანს ემსახურება ცხოველთა სამყაროს დაცვა.

სოფლის მეურნეობის ქიმიზაციამ წარმოშვა სრულიად ახალი პრობლემები. ყველა სახეობის ცხოველთა მასობრივი დაღუპვის უმთავრესი მიზეზია ქიმიური სასუქები, პერბიციდები და ინსექტიციდები. ამან განაპირობა მცენარეთა დაცვის მიზნით სხვადასხვა პრეპარატის გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა, საკანონმდებლო მოწესრიგების აუცილებლობა. კანონის 55-ე მუხლის ძალით: „მცენარეთა დაცვის საშუალებების, მათი ზრდის სტიმულირების, მინერალური სასუქებისა და სახალხო მეურნეობაში გამოსაყენებელი სხვა პრეპარატების ხმარებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ცხოველთა სამყაროსა და მათი ბინადრობის გარემოს დაცვის მოთხოვნები. მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებებისა და პრეპარატების გამოყენება ცხოველთა სამყაროზე მათი მავნე გავლენის შეზღუდვის მიზნით შეხამებული უნდა იყოს აგროტექნიკური, სასელექციო-გენეტიკური, ბიოლოგიური და სხვა ღონისძიებების განხორციელებასთან.“

ახალი პრეპარატების შექმნისას, უნდა შემუშავდეს გარემო ბუნებაში მათი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის ნორმატივები, რომლებიც უზრუნველყოფენ ცხოველთა და მათი ბინადრობის გარემოს დაცვას“.

ასეთი საკანონმდებლო ღონისძიებების განხორციელება ნაკარნახევია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მსოფლიო მასშტაბით შექმნილი მდგომარეობით.

ტუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საერთაშორისო კავშირის მონაცემებით, უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში დედამიწის ზურგიდან გაქრა 63 სახეობის ძუძუმწოვარა, 8 ჩანთოსანი, 3 სახეობის ფარფლთათიანები. ამავე ორგანიზაციის მიერ გამოცემული წითელი წიგნის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სულ გაქრა 248 სახეობის ძუძუმწოვარა, 287 სახეობის ფრინველი, 36 სახეობის წყალხმელეთა, 119 სახეობის ქვეწარმავალი, 687 სახეობის ზეგნულიანი.



გამქრალ სახეობათა ნახევარი მოდის XX საუკუნეზე. უკანასკნელ ხანს ყოველწლიურად საშუალოდ ქრება ერთი სახეობის ხერხემლიანი. დღეს ყოველი მეოთხე სახეობის ამფიბია, ყოველი მეექვსე სახეობის ცხოველი, ყოველი მეათე სახეობის ფრინველი გაქრობის საშიშროების წინაშეა.

ცხოველთა სამყაროს ასეთი კატასტროფული განადგურების მიზეზი, გარდა ქიმიზაციისა, არის ცხოველთა ადგილასმაყოფლის მოშლა მშენებლობის, მიწების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების, სამთამადნო მრეწველობის განვითარების, კაშხალების მშენებლობის, ნიადაგის ეროზიის, ქალაქების გაზრდის გამო.

კანონის მე-10 მუხლი ითვალისწინებს ცხოველთა ბინადრობის ადგილის, გამრავლების პირობების და მიგრაციის გზების დაცვას. ამ მუხლის დეტალიზაციას წარმოადგენს 44 მუხლი, რომელშიც დადგენილია შემდეგი: „რკინიგზის, გზატკეცილების, მილსადენის და სხვა სატრანსპორტო მაგისტრალეების, ელექტრო გადამღები და კავშირგაბმულობის ხაზების, აგრეთვე არხების, კაშხალებისა და პიროტექნიკურ ნაგებობათა განლაგების, დაპროექტებისა და მშენებლობის დროს უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ცხოველთა მიგრაციის გზების შენარჩუნებას“.

პლანეტაზე წონასწორობის აღდგენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა ცხოველთა, მცენარეთა და თევზების მოშინაუბრება და კულტივირება. კაცობრიობა განაგრძობს სხვადასხვა სახეობის, მათ შორის იმ ცოცხალ ინდივიდთა მოშინაუბრებას, რომლებსაც გადაშენება ემუქრებათ.

დაწესებულია სისხლისსამართლებრივი. ადმინისტრაციული და სხვაგვარი პასუხისმგებლობა საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, თანამდებობის პირების და მოქალაქეების მიმართ, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ამ კანონის ნორმების დარღვევაში.

კანონის 70-ე მუხლი ადგენს პასუხისმგებლობას ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის: „საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, აგრეთვე მოქალაქენი მოვალენი არიან ანაზღაურონ ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ კანონმდებლობის დარღვევით მიყენებული ზიანი. თანამდებობის პირებს და სხვა მუშაკებს, რომელთა ბრალითაც საწარმომ, დაწესებულებამ და ორგანიზაციამ გასწია ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ხარჯები, ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა დადგენილი წესით“.

ცხოველთა სამყაროს დაცვა და გამოყენება მთელი პლანეტის პრობლემაა. ცხოველთა სამყაროსათვის უცნობი და უცხო სახელმწიფოებრივი საზღვრები, რის გამოც ფაუნის დაცვის პრობლემათა უმრავლესობა შეიძლება გადაწყდეს უპირველესად საერთაშორისო სამართლებრივ ღონეზე. ამიტომ არის, რომ ურთიერთობათა ამ დარგში შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ საერთაშორისო ხელშეკრულებებს უპირატესი იურიდიული ძალა აქვთ. კანონის 72-ე მუხლში პირდაპირ ჩაწერილია: „თუ სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ საბჭოთა კანონმდებლობისაგან განსხვავებული წესები, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები“.





# საბჭოთა სახელმწიფოს ბუნებისდაცვითი ფუნქციის რაიონალური მოქმედების ძირითადი მოქმედებები

ა. ხაზალია,  
ასპირანტი

სოციალისტური სახელმწიფოს ბუნების-  
დაცვითი ფუნქციის შემეცნება საბჭოთა  
სახელმწიფოთმცოდნეობის ერთ-ერთი უმნიშ-  
ვნელოვანესი თეორიულ-შემეცნებითი პრო-  
ბლემაა. სოციალისტური სახელმწიფოს ბუ-  
ნებისდაცვითი საქმიანობა იურიდიულ  
მეცნიერებაში ასეთ შემეცნების საგნად შედა-  
რებით ცოტა ხნის წინათ იქცა. იგი საბო-  
ლოოდ 60-70-იანი წლების მიჯნაზე ჩამო-  
ყალიბდა და დღეს საბჭოთა იურისტების სე-  
რიოზულ ყურადღებას იპყრობს.

დღემდე გამოქვეყნებული გამოკვლევები  
ამ თემაზე უმეტესწილად მიმართულია ან  
სოციალისტური სახელმწიფოს ბუნებისდა-  
ცვითი საქმიანობის კონკრეტულ ობიექტე-  
ბზე ან თვით პრობლემის დასმაზე<sup>1</sup>.

პრინციპულად, ბუნებისდაცვითი პრობ-  
ლემატიკის ასეთი დაყენება და რელიზაცია  
მთლიანად გამართლებულია. მაგრამ ეს არ  
გამორიცხავს იმას, რომ მკვლევარებმა მი-  
მართონ სოციალისტური სახელმწიფოს ბუ-  
ნებისდაცვითი ფუნქციის თეორიას.

სკკ XXV ყრილობის საანგარიშო მოხსე-  
ნებაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ქვეყნის  
განვითარების თანამედროვე ეტაპზე „თეო-  
რიის შემდგომი შემოქმედებითი დამუშა-

ვების საჭიროება კი არ მცირდება, არამედ,  
პირიქით, სულ უფრო იზრდება“<sup>2</sup>.

თეორია წამყვან როლს ასრულებს მართ-  
ვის პრობლემების კვლევაში, რაც უკვე არა-  
ერთხელ აღუნიშნავთ სპეციალურ ლიტერა-  
ტურაში<sup>3</sup>.

სოციალისტური სახელმწიფოს ბუნების-  
დაცვითი ფუნქციისადმი თეორიული მიდ-  
გომა შესაძლებლობას გვაძლევს უფრო ღრმა  
გავიზიაროთ გარემოს ხარისხის მართვა.  
სკკ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებ-  
ში აღნიშნულია, რომ საჭიროა განმტკიცდეს  
მეცნიერების კავშირი მართვის საარსებო  
ამოცანებთან და მოთხოვნილებებთან. კიდევ  
ბევრი რამ უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ  
„დიდი მეცნიერების“ მეცადინეობა, თეო-  
რიული პრობლემების დამუშავებასთან ერ-  
თად, მართვის მექანიზმის განუყოფელი ნა-  
წილი გახდეს<sup>4</sup>.

„ თეორია, — სამართლიანად წერს ვ. ს.  
სემიონოვი, — უზრუნველყოფს მეცნიერულ  
მიდგომას საბჭოთა ხალხის ეკონომიკური,  
სოციალური, პოლიტიკური და კულტურული  
ცხოვრების ხელმძღვანელობისადმი“<sup>5</sup>.

სოციალისტური სახელმწიფოს ბუნების-

<sup>1</sup> См.: Колбасов О. С. Водное законодательство в СССР, М., 1972; Он же. Экология: политика, право, М., 1976; Ломсадзе Н. С. К вопросу законодательства об охране природы. В кн.: Охрана природы Грузии, I часть. Тбилиси, 1965; Мунтян В. Л. Правовые проблемы рационального природокористования. Киев, 1973; Сыродоев Н. А. Правовой режим недр. М., 1976; Шемщученко Ю. С. Организационно-правовые вопросы охраны окружающей среды в СССР. Киев, 1976 и др.

<sup>2</sup> Материалы XXV съезда КПСС, М., 1976, стр. 72.

<sup>3</sup> См.: Актуальные проблемы управления. М., 1972, с. 17.

<sup>4</sup> სკკ XXVI ყრილობის მასალები, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1981, გვ. 216-217.

<sup>5</sup> О научных основах управления социалистическим обществом. М., 1969 с. 10.



დამცველი ფუნქცია, რომელიც ობიექტურად რეალურად არსებობს, ყოველთვის სიტუაციურია, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველთვის კონკრეტულ-ისტორიულ ფორმას იძენს.

თუ არ გავარკვევთ, როგორ გაჩნდა მოცემული მოვლენა და როგორ ვითარდებოდა იგი მომწიფებულ, ჩამოყალიბებულ ფორმამდე, ვერასოდეს ვერ ჩავწვდებით მის ბუნებას. ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ყოველ საკითხს შეგვიძლია „ჩწმენით მივუღებთ, მხოლოდ მაშინ, თუ თვალს გადავვლებთ მის ისტორიულ განვითარებას მთლიანად“<sup>6</sup>.

ვ. ი. ლენინის ამ ფუძემდებელი მეთოდოლოგიური მითითებების საფუძველზე განვიხილოთ სოციალისტური სახელმწიფოს ბუნებისდამცველი ფუნქცია ისტორიული თვალსაზრისით.

ადამიანის სრულყოფას და ბუნების გამდიდრებას ენგელსი მჭიდროდ უკავშირებდა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებას<sup>7</sup>.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა სახელმწიფოს ბუნებისდამცველ საქმიანობას.

ამასთან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლენინურ დეკრეტს „მიწის შესახებ“, რომელიც აუქმებდა მიწის, მისი წიაღის, ტყეებისა და წყლების კერძო საკუთრებას და ადგენდა მხოლოდ მათს სახელმწიფო საკუთრებას.

სახელმწიფოს ბუნებისდამცველი საქმიანობის დონე აისახება ბუნებისდამცველი კომპეტენციის მქონე სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობასა და ამა თუ იმ მომენტში მოქმედ ბუნებისდამცველ კანონმდებლობაში.

მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ბუნებისდამცველმა საქმიანობამ შემდგომი განვითარება პოვა მთელ რიგ დეკრეტებში, რომლებსაც ვ. ი. ლენინმა ხე-

ლი 1917-1921 წლებში მოაწერა, და იმ პერიოდის ზოგიერთ სხვა სამართლებრივ აქტში. დიდი ხნის მანძილზე ჩვენი სახელმწიფოს საქმიანობის მოცემული მიმართულების შინაარსი - და მასშტაბი შემოიფარგლებოდა ამა თუ იმ ბუნებრივი რესურსების, მთელი რიგი ბუნების ძეგლების დაცვით, ნაკრძალი ზონების შექმნით.

სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ბუნების დაცვა ვერ ჩამოყალიბდებოდა მეურნეობრიობის სოციალისტურ სისტემაზე აღრეცალკეული ბუნებისდამცველი მოქმედება, რომელსაც საბჭოთა სახელმწიფო პირველ ოქტომბრის შემდგომ დღეებში ახორციელებდა, ჯერ არ წარმოადგენდა ბუნებისდამცველ ფუნქციას. ამიტომ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული აზრი, რომ ჩვენი სახელმწიფო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე ახორციელებდა ბუნებისდამცველ ფუნქციას, დამაჯერებლად არ მიგვაჩნია.

შექმნილი ვითარების გამო სოციალისტური სახელმწიფო ჯერ ვერ ასრულებდა ბუნებისდამცველ ფუნქციას, როგორც ძირითადად. ეს ფუნქცია ფაქტობრივად იყო შემადგენელი ნაწილი, ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მხარე სოციალისტური სახელმწიფოს ისეთი ძირითადი ფუნქციებისა, როგორც არის სამეურნეო-ორგანიზატორული და კულტურულ-აღმზრდელობითი<sup>8</sup>.

ფუნქცია ძირითადი ვერ იქნება, სანამ არ შეიქმნება შესაბამისი პირობები (ჩამოყალიბდება ამ ფუნქციის უზრუნველყოფელი სახელმწიფო მექანიზმი, განვითარდება კანონმდებლობა და მისი განხორციელების პრაქტიკა და ა. შ.)<sup>9</sup>.

ბუნებით სარგებლობის ახალი ეკონომიკური საფუძვლების ჩამოყალიბებასთან ერთად ბუნებისდამცველი საქმიანობა ორი ფორმით გვევლინება: უპირველეს ყოვლისა, ბუნება-

<sup>6</sup> ვ. ი. ლენინი თხზ., ტ. 29, გვ. 557.

<sup>7</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზ., ტ. 21, გვ. 542.

<sup>8</sup> См.: Декреты Советской власти. М., 1957, т. 1, с. 17.

<sup>9</sup> См.: Казанцев Н. Д. О некоторых вопросах кодификации природоохранительного законодательства. Вестник МГУ. «Право», 1971, № 6, с. 14; Шемшученко Ю. С. Организационно-правовые вопросы охраны окружающей среды в СССР, Киев, 1976, с. 25; Колбасов О. С. Проблемы охраны окружающей среды в новой Конституции СССР — Советское государство и право, 1978, № 5, с. 21 и др.

<sup>10</sup> См.: Байтин М. И. Сущность и основные функции социалистического государства, Саратов, 1979, с. 279.

<sup>11</sup> См.: Загайнов Л. И. Экономические функции Советского государства. М., 1968, с. 10.



თსარგებლობის გამო ჩამოყალიბებულ საწარმოო ურთიერთობათა და ბუნებრივი ობიექტების კულტურულ-ესთეტიკური და მეცნიერულ-შემეცნებითი გამოყენებისას ჩამოყალიბებული საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმით.

ბუნებათსარგებლობის გამო ჩამოყალიბებული ეკონომიკური ურთიერთობათა რეგულირების სფეროში ბუნებისდამცველი ფუნქცია, ძირითადად, ეკონომიკური საქმიანობის ინტერესებს ექვემდებარება. აქ ბუნებისდამცველი ნორმები დარგობრივი კანონმდებლობის ელემენტად იქცევა და მხოლოდ მის ფარგლებში პოვებს შემდგომ განვითარებას<sup>12</sup>.

ბუნების ობიექტების კულტურულ-ესთეტიკური და მეცნიერულ-შემეცნებითი გამოყენების გამო ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებში სახელმწიფოს ბუნებისდამცველი საქმიანობა გვევლინება მთლიანად მოცულად. ბუნებისდამცველი ნორმები ვითარდება დამოუკიდებელი ბუნებისდამცველი კანონმდებლობის ფარგლებში.<sup>13</sup> სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის ეტაპზე ბუნებისდამცველ დონისძიებათა განხორციელება შედიოდა იმ ორგანოების კომპეტენციაში, რომლებსთვისაც ბუნებათსარგებლობა საწარმოო საქმიანობის აუცილებელი პირობა იყო. ამასთან კულტურულ-ესთეტიკური და მეცნიერულ-შემეცნებითი ბუნებათსარგებლობის დროს ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირების დარგში იქმნება სახელმწიფო მართვის სპეციალური ორგანოები. ამავე დროს გარკვეული განვითარება პოვა ბუნებისდამცველი კანონმდებლობის ნორმების დაცვისადმი კონტროლის განხორციელების გზით ბუნების დაცვის უზრუნველყოფის სახელმწიფო მექანიზმი. მაგალითად, 20-იანი წლების მეორე ნახევარსა და 30-იანი წლების დაბოლოებამდე რესპუბლიკებში, აგრეთვე საკავშირო დონეზე მოქმედებდნენ ბუნების დაცვის კომიტეტები. მაგრამ ცდება, შექმნილიყო ბუნების

დაცვის სპეციალური სახელმწიფო ორგანო, ამაო იყო, რადგან ბუნებათსარგებლობისას ჩამოყალიბებულ ურთიერთობებში საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების მოცემულ ეტაპზე უპირატესობა წარმოების ინტერესებს ენიჭებოდა.

30-იანი წლების შემდგომ და 40-იანი წლების მეორე ნახევრამდე პერიოდში ქვეითდება სახელმწიფოთა ბუნებისდამცველი საქმიანობა, რომელიც საზოგადოების განვითარების მოცემულ ეტაპზე კვლავინდებურად სამეურნეო-ორგანიზაციული და კულტურულ-აღმზრდელი ბუნებისდამცველი ფუნქციის სისტემაში შედიოდა.

ომისშემდგომ წლებში საბჭოთა ბუნებისდამცველ კანონმდებლობაში თავს იჩინს ბუნების დაცვის პრობლემების გადაწყვეტისადმი კომპლექსური მიდგომის ტენდენცია. მაგალითად, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 3 ივნისის დადგენილებაში „უკრაინის სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ბუნების დაცვის შესახებ“ მოწესრიგებულია მიწის, ფლორისა და ფაუნის დაცვის მთელი რიგი ურთიერთდაკავშირებული საკითხები<sup>14</sup>.

დადგენილებაში თავს იჩინს პირველი ცდა იმისა, რომ ბუნების დაცვის ინტერესები განთავისუფლდეს წარმოების ინტერესების უპირატესი ზეგავლენისაგან. მოკავშირე რესპუბლიკებში ბუნების დაცვის კანონების (1957-1963 წწ.), მიწის კანონმდებლობის საფუძვლების (1968 წ.) მიღების შემდეგ უაღრესად ბუნებისდამცველი ნორმების ერთიანობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ბუნებისდამცველ საქმიანობას უფრო მაღალ დონეზე. ბუნების დაცვის ინტერესები ახლა იმავე დონეზეა, რა უფრო წარმოების ინტერესები, ზოგჯერ კი უფრო მაღლაც დგას. იზრდება სახელმწიფო მექანიზმში სპეციალური ბუნებისდამცველი ორგანოების ხვედრითი წილი.


მაგრამ ეს ბუნებისდამცველი აქტებიც ბუნების ობიექტების დაცვას განიხილავდნენ იზოლირებულად, გარემოსთან მათი კავში-

<sup>12</sup> См.: декрет ВЦИК от 27 мая 1918 г. «О лесах», СУ РСФСР, 1918, № 42, с. 522; декрет СНК РСФСР от 30 апреля 1920 г. «О недрах земли». СУ РСФСР, 1920, № 36, с. 171; декрет СНК РСФСР от 20 июля 1920 г. «Об охоте», СУ РСФСР, 1920, № 66, с. 297 и др.

<sup>13</sup> См.: декрет СНК РСФСР от 16 сентября 1921 г. «Об охране памятников природы, садов и парков», СУ РСФСР, 1921, № 65, ст. 492; постановления ВУЦИК и СНК УССР от 16 июня 1926. «О памятниках культуры и природы». ВУ УРСР, 1926, № 32—33, ст. 259 и др.

<sup>14</sup> უკრაინის სსრ კანონპროექტი, № 11. გვ. 40.





რის გარეშე. ისინი არ ითვალისწინებდნენ ადამიანის ინდუსტრიული საქმიანობის მთელ მოცულობას. მიწა, მაგალითად, ხასიათდებოდა ან როგორც წარმოების საშუალება, ან როგორც წარმოების საშუალება და სივრცობრივი ბაზისი (მიწის კანონმდებლობის საფუძვლების მე-6 მუხლი), მაგრამ არ აისახებოდა მისი მნიშვნელობა, როგორც გარემოს უმნიშვნელოვანესი ფაქტორისა, რომელიც გავლენას ახდენს წყლების, მცენარეული და ცხოველთა სამყაროს, წიაღის მდგომარეობასა და ადამიანის ჯანმრთელობაზე.

ობიექტური ფაქტორი, რომელმაც გადამწყვეტი გავლენა მოახდინა სოციალისტური სახელმწიფოს ბუნებისდამცველი საქმიანობის აღგონისა და როლის შეცვლაზე მისი ფუნქციების სისტემაში, გახდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, რომელიც აუცილებლად დაკავშირებულია ბუნებაზე ანთროპოგენული დატვირთვის გაძლიერებასთან. „ბუნების, გარემოს დაცვა ჩვენი თანამედროვე სათვის უმწვავესი პრობლემა გახდა, — თქვა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე ამხანაგმა ე. ა. შვეარდნაძემ — არ გავაზვიადებთ, თუ ვიტყვით, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა შესრულებისას შევძელით ამ პრობლემებისაკენ 180 გრადუსით შემოვბრუნებულიყავით“<sup>15</sup>.

კანონებში მოკავშირე რესპუბლიკების ბუნების დაცვის შესახებ<sup>16</sup>, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1972 წლის 20 სექტემბრის დადგენილებაში „ბუნების დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა შესახებ“<sup>17</sup>, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 29 დეკემბრის დადგენილებაში „ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაძ-

ლიერებისა და გაუმჯობესების შესახებ“<sup>18</sup> და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 1 დეკემბრის დადგენილებაში „ბუნების დაცვის რესურსების გამოყენების გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“<sup>19</sup> არის დებულება, რომლის მიხედვითაც ზრუნვა ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის, მიწის, წიაღის, ტყეებისა და წყლების, მცენარეული და ცხოველთა სამყაროს, ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონმდებლობის მკაცრი დაცვა ხდება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საერთო-სახელმწიფოებრივი ამოცანა, სსრ კავშირში კომუნისტების მშენებლობის პროგრამის შემადგენელი ნაწილი.

სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებში, სსრ კავშირის კონსტიტუციასა და საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ საჭიროა გარემო ბუნების დაცვისა და მისი სიმდიდრის რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა შემდგომი შემუშავება. საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მასალებში არათუ დადასტურებულია ამ პრობლემის აქტუალურობა, არამედ გამოხატულია აგრეთვე მისი მკიდრო კავშირი ცხოვრების ყველა მხარესთან, ღრმად არის დახასიათებული მისი სოციალური მნიშვნელობა, დასახულია მისი გადაწყვეტის ეკონომიკური და სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ღონისძიებანი<sup>20</sup>.

სწორედ ამ პრობლემის გადაწყვეტას ისახავს მიზნად ბუნებისდამცველი საქმიანობა, რომელიც 60-იანი წლების დამლევსათვის სოციალისტური სახელმწიფოს ერთ-ერთი მუდმივი დამოუკიდებელი ფუნქცია გახდა<sup>21</sup>.

<sup>15</sup> საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მასალები, თბ., 1981 წ.

<sup>16</sup> იხ. მაგალითად, პრემიულა კანონისა „საქართველოს სსრ ბუნების დაცვის შესახებ“.

<sup>17</sup> სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებანი, 1972 წ. № 39, გვ. 559-563.

<sup>18</sup> СП СМ СССР, 1973, № 2, ст. 6.

<sup>19</sup> СП СМ СССР, 1979, № 2, ст. 6.

<sup>20</sup> საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მასალები, თბილისი, 1981 წ.

<sup>21</sup> См.: Макаревич Н. С. Охрана окружающей природной среды и функции социалистического государства. В кн.: Актуальные проблемы теории социалистического государства и права. М., 1974, с. 115; Стайнов Петко. Правовые вопросы защиты природы. М., 1974, с. 11; Колбасов О. С. Экология: политика, право. М., 1976, с. 60; Тютекин Ю. И. Природа, общество, закон. Руководство рациональным природопользованием как функция Советского государства, Кишинев, 1976; Шемшученко Ю. С. Указ, соч., сс. 24-34. Правовая охрана природы в СССР. М., 1976, с. 46.





ეს დასკვნა სოციალისტური სახელმწიფოს ბუნებისდამცველი საქმიანობის უახლესი სამართლებრივი გამოკვლევების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია.

სოციალისტური სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციების სისტემაში გარემოს დაცვის ფუნქციის არსებობის დასაბუთებას არა მარტო თეორიული, არამედ უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.

პოლიტიკური თვალსაზრისით იგი მეტყველებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობაზე თავისი ქვეყნის წინაშე თანამედროვე და მომავალ თაობათა ეკოლოგიური კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის, ამავე დროს ეს დასკვნა სტიმულს ანიჭებს და წარმართავს სახელმწიფო და სამართლებრივი მექანიზმის პრაქტიკული სრულყოფის პროცესს, რომელიც არეგულირებს ბუნებაზე გავლენასთან დაკავშირებულ ადამიანის ყველა სახეობის საქმიანობასა და საქციელს.

დებულება ბუნების დაცვის გაძლიერებისა და ბუნებრივი გამოყენების გაუმჯობესების დარგში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საქმიანობის უშუალო შედეგია.

საბჭოთა სახელმწიფოს ბუნებისდამცველი საქმიანობის განვითარების პროცესს 70-იანი წლების დამდეგს მოჰყვა წარმოებაზე ბუნების დაცვის პრიორიტეტის დამკვიდრება. ასეთი განვითარების შედეგია ის, რომ ბუნებისდამცველი საქმიანობა მართვას დაეკავებებარა.

სახელმწიფო მართვა წარმოადგენს ბუნების დაცვის თვისებრივად ახალ დონეს საბჭოთა სახელმწიფოს შესაბამისი ფუნქციის ფარგლებში და მნიშვნელოვანია იმით, რომ სახელმწიფოს ბუნებისდამცველი პროცესი უფრო მიზანდასახული, პროგრამული და გამაზომიერია<sup>22</sup>.

სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციამ და საქართველოს სსრ რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუციამ დაამკვიდრეს განვითარებული სოციალიზმის გარემო ბუნებისადმი სათუთი დამოკიდებულების კონცეფცია. ბუნებისდამცველი საქმიანობის აზროსულ უფრო მეტად ითვალისწინებდა საზოგადოებრივი განვითარების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების ოპტიმალური თანაფარდობის რეგულირებასა და ჩამო-

ყალიბებას გარემოს საჭირო ხარისხის უზრუნველყოფისა და საზოგადოების საწარმოო ძალების ზრდის მატერიალურ მოთხოვნილებათა დამკვიდრების მიზნით. აქ სახელმწიფოს ბუნებისდამცველი საქმიანობა, რომელიც ერთი დამოუკიდებელი ფუნქციის ფარგლებში ხორციელდება, უკვე აღარ გამოიყოფა სახელმწიფოს დანარჩენი ფუნქციებისაგან, პირიქით, შეიცავს და უქვემდებარებს მათ თავის პროგრამულ-მიზნობრივ დებულებებს.

ამგვარად, გარემოს ხარისხის მართვა უმაღლესი ეტაპია საბჭოთა სახელმწიფოს ბუნებისდამცველი საქმიანობის განვითარებაში. ეს თავისებური და რთული ხასიათი არ შეიძლება აისახოს კონკრეტულად ემპირიული ცოდნის დონეზე. იქმნება იმის მწვევე საჭიროება, რომ თეორიულად გავიაზროთ ეს საქმიანობა.

სოციალისტური სახელმწიფოს ბუნებისდამცველი ფუნქციის შემეცნების შედეგია იურიდიული მეცნიერების სტრუქტურაში თეორიული გააზრების პრინციპულად ახალ მიმართულებათა ჩამოყალიბება და განვითარება.

სწავლული იურისტების წრეში ისახება მეცნიერულობის ახალი სტერეოტიპი, რომელსაც ახსიათებს აზროვნების ფართო პროფილი, რადგან სოციალისტური სახელმწიფოს ბუნებისდამცველი ფუნქციისათვის დამახასიათებელია მრავალი ასპექტი (აღმზრდელიობითი, დაცვითი, მართვის და სხვა) და ეფუძნება ფართო წრის, როგორც ბუნებრივი, ისე სოციალური ობიექტების სხვადასხვა მდგომარეობის აღრიცხვას.

სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ბუნების დაცვის შემეცნებას შეესაბამება ამ შემეცნების სპეციალური მეთოდოლოგია, რომელიც აგრეთვე შესწავლის საგანი ხდება. ამას შედეგად მოჰყვება იურიდიული მეცნიერების მეთოდოლოგიის გამდიდრება.

იურიდიული მეცნიერების მეთოდოლოგიურ პრობლემათა საერთო კონტექსტით სოციალისტური სახელმწიფოს ბუნებისდამცველი ფუნქციისა და მისი განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი ფორმის — გარემოს ხარისხის მართვის შემეცნების მეთოდოლოგიის პრობლემა სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ეს აიხსნება საზოგადოების განვითარების სხვადასხვა მხა-

<sup>22</sup> იხ. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 29 დეკემბრის დადგენილება „ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაძლიერებისა და გაუმჯობესების შესახებ“, სსრ კავშირის დადგენილებათა კრებული, 1973, № 2. გვ. 6.



რეზე სოციალისტური სახელმწიფოს ბუნების-  
 სდამცველი საქმიანობის გავლენის სფეროს  
 გაფართოებით.

რა თქმა უნდა, ჩვენ ამასთან ვეყრდნობით  
 იმ დებულებას, რომ მეთოდოლოგია სახელ-  
 მწიფოებრივ-სამართლებრივი ბუნების დაც-  
 ვის შესახებ მეცნიერებაში იურიდიული მე-  
 ცნიერების საერთო მეთოდოლოგიის ორგა-  
 ნული ნაწილია. ამიტომ სოციალისტური  
 სახელმწიფოს ბუნებისდამცველი საქმიანო-  
 ბის შემეცნების მეთოდოლოგიის სპეცია-  
 ლური საკითხები შეიძლება წარმატებით გა-  
 დაწყდეს მხოლოდ მაშინ, თუ კვლევა დაეყ-  
 რდნობა იურიდიული მეცნიერების საერთო  
 მეთოდოლოგიის მიღწევებს.

სოციალისტური სახელმწიფოს ბუნების-  
 დამცველი საქმიანობის გამოკვლევები მიუ-  
 ნად ისახვენ უპირველეს ყოვლისა ამ საქ-  
 მიანობის ღრმა წვდომას, მისი შინაგანი არ-  
 სის გამოკვლენას.

ასეთ გავებას, როგორც ცნობილია, განმ-  
 საზღვრელი მნიშვნელობა აქვს სოციალის-  
 ტური სახელმწიფოს უკლებლივ ყველა ფუნ-  
 კციისათვის, შეადგენს ამ ფუნქციების ჭეშ-  
 მარისათა მეცნიერული ცოდნის საფუძველს.  
 იგი ეყრდნობა სოციალისტური სახელმწი-  
 ფოს მარქსისტულ-ლენინური თეორიის პრი-  
 ნციპულ დებულებებს, ამ სახელმწიფოს ძი-  
 რეულ განსხვავებას ექსპლოატატორული ტი-  
 პის სახელმწიფოებისაგან.

დღეისათვის შექნილია გარკვეული თეო-  
 რიული ცოდნა სოციალისტური სახელმწი-  
 ფოს ბუნებისდამცველი საქმიანობის შესა-  
 ნებ, მაგრამ მას აქვს კიდევ ბევრი ხარვეზი,  
 რომელთა აღმოფხვრა ამ პრობლემისადმი  
 მიძღვნილი გამოკვლევების ერთ-ერთი ძი-  
 რითადი ამოცანაა. იგი მრავალმხრივია და  
 ითვალისწინებს მის გადაწყვეტას ჩვენთვის  
 საინტერესო საქმიანობის განზოგადების სხვა-  
 დასხვა დონეზე. თეორიულ გააზრებას საჭი-  
 როებს როგორც მთლიანად ბუნებისდამცვე-  
 ლი ფუნქცია, ისე მისი რეალიზაციის ცალ-  
 კეული ფორმები, როგორც არის, მაგალი-  
 თად, გარემოს ხარისხის მართვა. ამასთან უნ-  
 და ვხელმძღვანელობდეთ როგორც მთლია-  
 ნად მომწიფებული სოციალიზმის პირობებ-

ში სწოგადობის მართვის ხასიათით, ისე  
 იმ თვისებებით, რომლებიც ენიჭება გარემოს  
 ხარისხის მართვის სტრუქტურაში და მისი  
 მეშვეობით სახელმწიფოს ბუნებისდამცვე-  
 ლი ფუნქციის სტრუქტურაში შესვლის სო-  
 ციალურ მართვას. ამ ამოცანის გადაწყვე-  
 ტისას უნდა გავითვალისწინოთ სხვადასხვა  
 ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები მა-  
 თი რეალური თანაფარდობით.

ამგვარად, სოციალისტური სახელმწიფოს  
 ბუნებისდამცველი საქმიანობის იურიდიული  
 შემეცნების თავისებურებანი გამოწვეულია  
 ობიექტურ-სუბიექტურ ხასიათის ფაქტორე-  
 ბით მათს დიალექტიკურ ურთიერთკავშირში.

ეს თავისებურებანი, ვიმეორებთ, გამოიხა-  
 ტება აზროვნების საკუთარ, მხოლოდ ეკო-  
 ლოგი იურისტებისათვის დამახასიათებელ,  
 კატეგორიულ-ცნობით სტრუქტურაში.

ბუნებისდამცველი აქტიურობის იური-  
 დიულ გამოკვლევებს ახასიათებს აგრეთვე  
 მათი კონცეფციურ-თეორიული საფუძველ-  
 ბის თავისებურებანი.

მაგრამ იურისტის, ბუნებისმეტყველის,  
 ეკონომისტისა და ფილოსოფოსის კონცეფ-  
 ციურ-თეორიული საფუძველი, უდავოდ,  
 სტრუქტურულ-შინაარსობრივი ერთიანობით  
 ხასიათდება. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „ყო-  
 ველი ცალკეული ათასობით გადასასვლელი-  
 თა დაკავშირებული სხვაგვარ ცალკეულე-  
 თან (ნივთებთან, მოვლენებთან, პროცესებ-  
 თან)..., რომ იგი არ არსებობს სხვაგვარად,  
 თუ არა ამ ურთიერთკავშირში, რომელსაც  
 ზოგადისაკენ მივყავართ“.

უგვარად, სოციალისტური სახელმწიფოს  
 ბუნებისდამცველი საქმიანობისადმი, ისევე,  
 როგორც სოციალურ-შემეცნებითი აქტიუ-  
 რობის სპეციფიკური მიმართულებისადმი მი-  
 დგომა, არ გამოირიცხავს ზოგადს ამ საქმი-  
 ანობის იურიდიულ, საბუნებისმეტყველო-  
 მეცნიერულ და ფილოსოფიურ შემეცნება-  
 ში, ზოგადის გათვალისწინებას იმ მხრივ,  
 რომ ამ შემეცნების სხვადასხვა მიმართულებ-  
 ბანი, საბოლოო ანგარიშით, ექვემდებარება  
 გარემო ბუნების დაცვის საერთო ამოცანის  
 გადაწყვეტას.



# ყურადღება — გაეოცდილება!

## კანონიერების დაცვა კომუნისტური შრომის სანაკრძოში

მდიდარი შრომითი ტრადიციები აქვს სსრ კავშირის 60 წლისთავის სახელობის თბილისის კერამიკის კომბინატს, რომელიც ოცი წელია კომუნისტური შრომის საწარმოს საპატიო სახელს ატარებს. კომბინატის მრავალრიცხოვანი კოლექტივისათვის ჩვეულებრივი ამბავია სახელმწიფო გეგმებისა და ვალდებულებების გადაჭარბებით შესრულება, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება, მოწინავეთა გამოცდილების განზოგადება და სიახლეთა დანერგვა. ზრუნვა საერთო-სახალხო მაჩვენებლების ზრდისა და იმ ამოცანების გადაწყვეტისათვის, რომლებსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უსაზღვევ მუშათა კლასს. შრომითი კოლექტივის თავდადებული გარჯის შედეგია ის, რომ კომბინატი არაერთხელ დაჯილდოვდა გარდამავალი წითელი დროშით.

კომბინატი ძირითადად სამი სახეობის პროდუქციის უშვებს. ეს არის მონაპირკეთებელი კერამიკული ფილები, სამშენებლო ფაიფურის ნაწარმი და მხატვრული კერამიკა, სასაქონლო პროდუქციის საერთო წლიური მოცულობა კი ექვს მილიონ მანეთზე მეტია. ჩვენი ნაწარმი დიდად მოსწონთ არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. იგი საზღვარგარეთაც იგზავნება, კერძოდ, ჩეხოსლოვაკიაში, დანიაში, კანადაში, საფრანგეთში, პოლანდიასა და სხვა ქვეყნებში, საიდანაც ყოველწლიურად მოგვდის ახალ-ახალი შეკვეთები, ეს იმას ნიშნავს, რომ მომხმარებელს მოსწონს ჩვენი პროდუქცია, რითაც სამართლიანად შეგვიძლია ვიამაყოთ.

1983 წლის 11 თვის დავალება კომბინატმა გადაჭარბებით შესრულა და სახელმწიფოს მისცა 100 ათასი მანეთის ზეგეგმითი სასაქონლო პროდუქცია, რომელიც ძირითადად გამოშვებულია მხოლოდ დაზოგილი ნედლეულის და თბოენერგეტიკული რესურსების ხარჯზე.

კომბინატში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მატერიალური და ენერგეტიკული რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და დაზოგვას. ამაში დიდ როლს ასრულებს ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დროული დანერგვა, რაც ხელს უწყობს პროდუქციის ხარისხის, წარმოების ეფექტიანობის და შრომის ნაყოფიერების ამაღლებას.

კომბინატი იბრძვის სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებით დასახული ეკონომიკური და სოციალური ამოცანების შესასრულებლად. ჩვენი შრომითი კოლექტივისათვის ზნეობრივი ღირებულებანი — სინდისი, პატიოსნება, სიმართლე, პასუხისმგებლობა მარტო ფორმალური კატეგორიები არ არის. ეს არის მშრომელთა აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია და თავისთავად გულის-



ხმობს ინიციატივასა და საქმისადმი შემოქმედებითს მიდგომას, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობას, საზოგადოების სულიერ და მატერიალურ სიმდიდრეთა ზრდასა და გამრავლებას.

კომუნისტური შრომის საწარმოში ყველაზე მეტად პატიოსანი და კეთილსინდისიერი შრომა ფასობს, რადგან მტკიცე დისციპლინა, მინდობილი საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობა და სიყვარული ის ფაქტორებია, რომლებიც განსაზღვრავს კომბინატის საერთო სახეს და წარმატებებს. კოლექტივის საერთო წარმატებაში თავისი წვლილი შეაქვს კომბინატის იურიდიულ სამსახურს, რომლის როლი და მნიშვნელობა, საერთოდ, და განსაკუთრებით მშრომელთა სამართლებრივ აღზრდასა და კანონიერების განმტკიცებაში, ბოლო ხანს მნიშვნელოვნად გაიზარდა.

კომბინატის დირექციასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ სადაც კანონს პატივს არ სცემენ, არ ზრუნავენ შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებისათვის, მიწოდების ხელშეკრულებების ვადაზე შესრულებისათვის, წარმატებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

სანიმუშოდ არის დაყენებული კომბინატში სახელშეკრულებო დისციპლინა. არასოდეს არ დაგვირღვევია ვალდებულება და მუდამ დადგენილი განრიგით ვახდენთ პროდუქციის გადატვირთვა-გაგზავნას. ამას უპირველესად ის ადასტურებს, რომ ჯარიმა მიუწოდებლობისათვის კომბინატს არასოდეს არ გადაუხდია.

ჩვენ განუხრებლად ვხელმძღვანელობთ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 16 მარტის № 149 დადგენილებით „სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“, აქტიურად ვიყენებთ შესაბამის სანქციებს მთელ სამეურნეო საქმიანობაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის შემდეგ კომბინატში შეიქმნა შრომისა და სახელმწიფოებრივი დისციპლინის განმტკიცების მუდმივმოქმედი კომისია, რომელსაც მთავარი ინჟინერი კ. ტოგონიძე ხელმძღვანელობს. კომისიაში გაერთიანებული არიან წარმოების მოწინავენი, რომლებიც უშუალოდ ადგილებზე ადევნებენ თვალყურს შრომის ორგანიზაციას. მისი წევრებისათვის წვრილმანი საქმე არ არსებობს. ისინი ერთნაირად ზრუნავენ როგორც სოციალისტური ქონების დაცვისათვის, ნედლეულის დაზოგვისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ასევე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. სამუშაოზე დაგვიანების, ვაცდენის ან უხეშობის არც ერთი ფაქტი არ რჩება ურეაგირებოდ. იგი უმაღლეს ხდება ხოლმე შრომის დისციპლინის განმტკიცების კომისიის მსჯელობის საგანი. ამგვარ გადაცდომათა გამოვლენასა და აღმოფხვრას კი ხელს უწყობს კომბინატში შექმნილი შრომის ატმოსფერო და ყველასათვის წესად ქცეული პასუხისმგებლობის გრძნობა. ყოველი სამუშაოდღე იმით იწყება, რომ მორიგე კონტროლიორები დილაადრიან იწყებენ სამაჩროებისა და უბნების შემოვლას, ზედმიწევნით მოწმდება ყველაფერი, პროდუქციის ხარისხიც და ნედლეულით მომარაგებაც, სამაჩროების სისუფთავეც და მუშების სამუშაოზე გამოცხადების გრაფიკიც. გამოვლენილი ნაკლოვანებანი შეძლებისდაგვარად ადვილზევე ოპერატიულად წყდება, ხოლო, თუ



კომისია საჭიროდ ჩათვლის, საკითხი გადაეცემა კომბინატის ხელმძღვანელობას ღონისძიებათა განსახორციელებლად. შრომის დისციპლინის განმტკიცების კომისიის გარდა სხვა კომისიებიც ფუნქციონირებს, მათ შორის სამართალდარღვევათა და ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ მებრძოლი საკორდინაციო კომისია, რომლის თვალთახედვის არეშიც მოქცეულია კომბინატის თითქმის ყველა უბანი. მისი ყურადღების ცენტრშია შრომის ორგანიზაციის, პროდუქციის ხარისხის, სოციალისტური საკუთრების დაცვის, ახალი ტექნიკის გამოყენების და ფართოდ დანერგვის, უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის და სხვა უამრავი საკითხი, რომლებიც ჩვენი საქმიანობის მთავარი ფაქტორებია.

ამის წყალობითაც არის, რომ კომბინატი დღეს არა მარტო ქალაქის არამედ რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა რიგებშია. დიდი ხანია აქ არ ყოფილა მატერიალურ ფასეულობათა სერიოზული ხელყოფის ან სახელმწიფო ქონების დატაცების ფაქტები. ერთდერით, რაც ჩვენს წუხილს იწვევს, ის არის, რომ ჯერ კიდევ მთლიანად არ არის აღმოფხვრილი წვრილმანი ქურდობისა და სამუშაოთა უმიზეზო გაცდენის ფაქტები. ასეთი დარღვევები თუმცა იშვიათია, მაგრამ კომბინატის კოლექტივი მას მაინც გულისტკივილით განიცდის და მიმართავს ღონისძიებებს მათ მიმართ, ვინც სახელს უტეხს სახელოვან კოლექტივს.

9 აგვისტოს სამუშაოზე მთვრალი მოვიდა მოსაპირკეთებელი ფილები საამქროს გამომწველი მინდიაშვილი. საქმე განსახილველად გადაეცა სამართალდარღვევათა და ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ მებრძოლ საკორდინაციო კომისიას. გამართულ სჯა-ბაასში მონაწილეობა მიიღეს ბრიგადის წევრებმა, რომლებმაც გააკიცხეს ღვინის მოყვარული, დაგმეს მისი საქციელი და მხარი დაუჭირეს მის დასჯას. მინდიაშვილი სამი თვით დავაქვეითეთ ნაკლებ ხელფასიან სამუშაოზე.

სასარგებლო საქმიანობას ეწევა კერამიკის კომბინატთან შექმნილი ამხანაგური სასამართლო, რომელიც სისტემატურად განიხილავს იმ პირთა საქმეებს, რომლებიც ხშირად იგვიანებენ სამსახურში, უმიზეზოდ აცდენენ სამუშაო დღეებს, უხეშობენ და შეურაცხყოფას აყენებენ თანამოსაქმეებს. ამხანაგურმა სასამართლომ მკაცრად დასაჯა ნ. მეტრეველი, ნ. ნიკოლაიშვილი, გ. მირზოი, ი. ფაშაევა, ლ. მიკირტიჩიანი და მათი მეგობრები, რომლებიც ცდილობდნენ პროდუქციის გატანას და მითვისებას. ვინაიდან ამ პროდუქციის ღირებულება უმნიშვნელო იყო და ამ პირთა მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა არ შეიძლებოდა, მათ შესახებ იმსჯელა ამხანაგურმა სასამართლომ. ასეთი მიდგომის გარეშე შეუძლებელია მუშეები აღვზარდოთ მაღალი ზნეობის ადამიანებად.

შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეში დიდ როლს ასრულებს სამართლებრივი პროპაგანდა, რომელიც აქტიურად არიან ჩაბმული იურიდიული სამსახური და აქტივი. კომბინატში ხშირად შეხვედებით აგრეთვე რაიონის ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლებს, რომლებიც ლექცია-საუბრებს აწყობენ სამართლებრივ თემებზე; მონაწილეობენ კითხვა-პასუხის საღამოებში. კომბინატის მუშა-მოსამსახურეებმა ინტერესით მოისმინეს ქ. თბილისის 26 კომისიის სახელობის რაიონის პროკურორის თანაშემწის დ. რამიშვილის, ამავე რაიონის სახალხო მოსამართლის ნ. ჯანუაშვილის, ადვოკატ დ. ჯალაღონიას, იურიდიული კონ-



სულტაციის გამგის ს. ბეგლარიშვილის და სხვათა გამოსვლები ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორც არის ახალი საბინაო კანონმდებლობა, შრომის ხელშეკრულება, პასუხისმგებლობა ხულიგნობისათვის და სხვა.

კანონიერების განმტკიცებაში ჩვენ მუდმივ თანადგომას გვიწვევენ კომბინატის პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. პარტიული ბიუროს სხდომებზე სისტემატურად განიხილება ისეთი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სოციალისტური კანონიერების დაცვასთან. ბიუროსთან შექმნილია მშრომელთა საჩივრებისა და წინადადებების, ხარისხის, სახელშეკრულებო ვადების დაცვის, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მომჭირნე ხარჯვისა და სხვა კომისიები. ისინი ოპერატიულად, საქმიანად, პრინციპულად განიხილავენ ცალკეულ საამქროებსა და უბნებში შექმნილ მდგომარეობას და პრაქტიკულ ღონისძიებებს ახორციელებენ წამოჭრილი პრობლემების დასაძლევად.

განსაკუთრებით კარგად მუშაობს ხარისხის კომისია, რომელმაც შეიმუშავა ორგანიზაციულ-ტექნიკური ხასიათის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. ამითაც აიხსნება, რომ კომბინატის პროდუქციის ნახევარზე მეტი უმაღლესი ხარისხისა და უმეტესობას მინიჭებული აქვს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი, 46 სახეობის პროდუქცია კი გამოდის საპატიო ხუთკუთხედით.

ქერამიკული კომბინატის იურიდიული სამსახური აქტიურად იყენებს სამართლებრივ საშუალებებს, რომლებიც ზემდგომი ორგანოების მიერ სპეციალურად მიღებული რეკომენდაციებით არის დასახული. მაგრამ ჩვენი პარტიული და ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა უფრო მეტს მოითხოვს მისგან, რადგან გვინდა კანონისადმი პატივისცემა და მისი შესრულების აუცილებლობა ყველას მრწამსი გახდეს, მას ასრულებდეს ყველა, დიდიც და პატარაც, პასუხისმგებელი პირიც და მუშაც.

ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ იმსჯელა კომბინატის იურიდიული სამსახურის საქმიანობის შესახებ და დასახა ამოცანები მისი მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის.

იურისკონსულტმა გ. გაბიტაშვილმა იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის მიერ მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე შეიმუშავა საორიენტაციო გეგმა ხანგრძლივი პერიოდისათვის და ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ კვლავაც მაღალი იყოს კომბინატის ავტორიტეტი და სახელი.

ქერამიკულ კომბინატს სახალხო რაზმელთა 90-კაციანი ჯგუფი ჰყავს. აქ გაერთიანებულ აქტივისტებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დიდი გამოცდილება აქვთ. ყოველი თვის 23 რიცხვში ისინი მორიგეობენ რაიონის ტერიტორიაზე და მცირეოდენ დარღვევასაც არ ტოვებენ უყურადღებოდ, რაზმელები კი ცხოვრებასა და საქმიანობაში სამაგალითო მუშაკები და მოქალაქენი არიან.

კომუნისტური შრომის საწარმოს, თბილისის ქერამიკის კომბინატის დირექცია საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევს კანონიერებასა და მართლწესრიგის განმტკიცების საკითხებს, გააძლიერებს ბრძოლას სამართალდარღვევათა წინააღმდეგ და თავის წვლილს შეიტანს ქალაქში სანიმუშო მართლწესრიგის უზრუნველყოფაში.

თ. აგლაძე,

თბილისის ქერამიკის კომბინატის დირექტორი.





### მოსსლომოს სსსრკ-ის ალტერნატიული რადიო-კომიტეტი

მართლმწიფის განმტკიცებისა და დანაშაურობის წინააღმდეგ ბრძოლაში საგრძნობ როლს ასრულებს საბჭოთა კანონების პროპაგანდა, რომელიც ხორციელდება რადიოს მეშვეობითაც. რადიომსმენელთა ვარკვეული ნაწილი დიდ ინტერესს იჩენს საბჭოთა სამართლის საკითხებისადმი. თავიანთ წერილებში ისინი გვთხოვენ განვუმარტოთ შრომის, მიწის, სამემკვიდრეო სამართლის საკითხები, გავაცნოთ სოციალური უზრუნველყოფის და საბინაო კანონმდებლობაში ბოლო დროს შეტანილი ცვლილებანი.

რადიოჟურნალს „ადამიანი და კანონი“ აქვს მუდმივი რუბრიკები „სამართლებრივი ცოდნა მასებს“ და „ჩვენი ფოსტა“. მიკროფონთან ხშირად ვიწვევთ რესპუბლიკის ცნობილ იურისტებს, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების მუშაკებს, იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებს, რომლებიც რადიომსმენელებს აცნობენ საბჭოთა სამართლის ნორმებსა და პრინციპებს.

წლეულს 19 იანვარს რადიოთი გამოვიდა საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი კარლო გარდაცხადე, რომელიც რადიომსმენელებს ესაუბრა იმ სახელებზე, რომლებიც შეტანილია სოციალური უზრუნველყოფის კანონმდებლობაში, აგრეთვე ომისა და შრომის ვეტერანთა საპენსიო უზრუნველყოფაზე, პენსიაზე 20 პროცენტი დანამატის დარიცხვის პირობებზე.

ერთ-ერთ ჟურნალში მიკროფონი დაეთმო საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს ალექსანდრე შუშანაშვილს, რომელმაც რადიომსმენელებს გააცნო ახლად მიღებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტები, სახალხო სასამართლოების არჩევის, სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის რუსუდან პიტავას გამოსვლის თემა იყო საბჭოთა სოციალური კანონმდებლობის საკითხები. მან რადიომსმენელთა ყურადღება გაამახვილა ქორწინების გაფორმების წესებზე და სოციალური ურთიერთობის განმტკიცებაში სასამართლოების როლზე, ოჯახის წინაშე მოქალაქეთა პასუხისმგებლობის გაზრდის აუცილებლობაზე, განუმარტა მსმენელებს თუ როდის არა აქვს ქმარს კანონით უფლება აღძრას საქმე განქორწინების შესახებ.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის კარლო ბიჭვილის საუბარი შეეხებოდა სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას სა-

ზოგადობრივად სასარგებლო შრომისათვის ბოროტად თავის არიდებისათვის. რადიომსმენელებს მან განუმარტა, რომ სისტემატური მაწანწალობა, მათხოვრობა, აგრეთვე ხანგრძლივი დროის განმავლობაში პარაზიტული ცხოვრება ჩვენი კანონმდებლობით ისჯება.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ოთარ გამყრელიძის გამოსვლის თემა იყო საკითხი აუცილებელი მოგერიების შესახებ. მან აღნიშნა, რომ მოქალაქე თავდასხმების მართლშობიერი დაშვებისათვის კანონით არ ისჯება.

რადიოჟურნალში დიდი ადგილი ეთმობა ისეთ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, როგორც არის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების ქურდობა, ძარვა, ბინის ქურდობა, ავტომანქანების გატაცება.

ამასთან დაკავშირებით რადიოჟურნალში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროსმა ზაურ კვიციანიამ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კონსულტანტმა კამერ ცხადაძემ თავის საუბარში განიხილა ისეთი დამატებითი სასჯელები, როგორც არის ქონების კონფისკაცია, მშობლის უფლების ჩამორთმევა, სამხედრო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევა.

რადიომსმენელებს ესაუბრა აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი გივი ეხვიაი. იგი შეეხო საკაციაო პროტესტს, რომელიც დიდ როლს ასრულებს სოციალისტური მართლმსაჯულების უზრუნველყოფაში.

შრომის კანონმდებლობის საკითხებზე მსმენელებს უბასუხებს ჩვენი იურიდიული კონსულტანტი, საქართველოს პროფსაბჭოს იურიდიული კონსულტაციის გამგე გივი ბაზტაძე.

რადიოჟურნალს აქვს რუბრიკა „ჩვენი ფოსტა“. მსმენელთა შეკითხვებს სისტემატურად უპასუხებენ იურიდიული კონსულტანტები, სოცურუზრუნველყოფის სამინისტროს პენსიათა და დახმარებათა სამმართველოს უფროსის მოადგილე ირინე ლლონტი და ამავე სამინისტროს პენსიათა და დახმარებათა რესპუბლიკური ცენტრის უფროსი ალექსანდრე ზირაქიშვილი.

ლ. მანისურაძე,  
რადიოჟურნალ „ადამიანი და კანონის“ რედაქტორი.



## დასასუკაბული სიყვარული და ავტორიტეტი



თელავის რაიონის პროკურორი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი ტრისტან მეტრეველი ნამდვილად გამორჩეული პიროვნებაა. მას დასასუკაბული ავტორიტეტი აქვს მოპოვებული თავის კოლეგებსა და მეგობრებს შორის. ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში დაბადებულმა და გაზრდილმა ჭაბუკმა ცხოვრების რთული და საინტერესო გზა განვლო, ბევრი რამ ნახა და შეიცნო, საკუთარ თავზე გამოსცადა ომისა და ომისშემდგომი წლების სიდუხჭირე, არ შეუშინდა გაჭირვებას და, რომ იტყვიან, უკვე ცხოვრებამოვლილი ახალგაზრდა იყო, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

1949 წელს ტრისტან მეტრეველმა წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და იურისტის კვალიფიკაცია მიიღო. იგი საგარეჯოს პროკურატურაში გაამწესეს გამომძიებ-

ლად. ახალბედა გამომძიებლის პირველი ნაბიჯები, შეუმცდარი ალლო და შრომისმოყვარეობა ადვილად შეამჩნიეს საგარეჯოში და ორი წლის შემდეგ, 1951 წელს, რაიონის სახალხო მოსამართლედ აირჩიეს.

1958 წელს ტ. მეტრეველი კვლავ დაუბრუნდა პროკურატურის ორგანოებს. ჯერ საგარეჯოს პროკურორის თანაშემწე იყო, 1964 წლიდან კი ამავე რაიონის პროკურორია.

1972 წლიდან ტრისტან მეტრეველი თელავის რაიონის პროკურორად გადაიყვანეს.

განვლილი წლები აღსავსეა უამრავი მოგონებებით, საინტერესო თავგადასავლებით, სევდიანი ამბებით და იმის სისარულითაც, რომ დამნაშავე თავისუფლად ვერ იპარპაშებს. დიახ, ეს არის პროფესიული სინარული და თუ გნებავთ, სიამაყეც იმ ადამიანისა, რომელიც თითქმის ოცდათხუთმეტი წელია დამნაშავეობის წინააღმდეგ იბრძვის.

...კაბინეტში სანდომიანი გარეგნობის მოხუცი ქალი შემოვიდა და თვალცრემლიანმა იმედიანი მზერა მიაპყრო პროკურორს, შველა სთხოვა. მისი ერთადერთი შვილი, რომელიც მეზობელ სოფელში იყო გათხოვილი, უგზო-უკვლოდ დაიკარგა. გულდათუთქულივით დედა ათასნაირ ეჭვს გამოთქვამდა, ზოგჯერ ზომიერებასაც კი კარგავდა და იქვე მოითხოვდა პასუხის გაცემას. ტრისტან მეტრეველი მშვიდად უსმენდა მოხუცს, მაგრამ შინაგანად გრძნობდა, რომ ამ ქალის თავს რაღაც უბედურება იყო. პროკურორმა მოხუცი დააწყნარა, დაარწმუნა რომ ყველაფერს მალე მოეფინებოდა ნათელი და კარებამდე მშვიდად მიაცილა.

საქმე კი არც ისე იოლი აღმოჩნდა. დაკარგული ქალის, კვალი არსად ჩანდა. ნათესავებისა და ახლობლების დაკითხვამ ვერაფერი საგულისხმო



ვერ მისცა გამოძიებას. შემუშავდა არაერთი ვერსია. პროკურორს ყველაზე მეტად მაინც ის აკვირვებდა, რომ სხვებზე უფრო მშვიდად ქმარი იყო, რომელიც რაღაც ნაძალადევად წუწუნებდა. მაგრამ ეჭვი მაინც ეჭვია და ის ათასჯერ უნდა შემოწმდეს, ვიდრე დასკვნას გამოიტან, ბრალს წაუყენებ კაცს და დაადანაშაულებ, რომ პასუხი აგოს.

ტრისტან მეტრეველს პროფესიულმა აღლომ და გამოცდილებამ არ უღალატა. ოპერატიული მუშაობის შედეგად ქმარი სულ მალე იძულებული გახდა ელიარებინა შემზარავი დანაშაული. ეჭვიანობის ნიადაგზე გაბოროტებულ კაცს ცოლი სოფლის განაპირას ხევში გაეტყუებინა, თავში ბლაგვი საგანი ჩაერთყა, მოეკლა და იქვე დაემარხა.

დანაშაული გამოძიდა, დამნაშავე დაისაჯა, პროკურორმა სანიმუშოდ შეასრულა თავისი მოვალეობა.

— მაგრამ დასანანია, რომ ერთი სიცოცხლე უკვალოდ გაქრა, — ამბობს პროკურორი, — თუმცა დამნაშავეს დასჯით ჩვენ მაინც ვაღწევთ, რომ სხვებმა ვერ გაბედონ მსგავსი დანაშაულის ჩადენა. ეს ალბათ სიცოცხლისათვის ბრძოლაც არის.

სულ უმნიშვნელო დეტალით გამოძიების დაწყება ჩვეულებრივი ამბავია პროკურორის პრაქტიკაში.

პროკურატურაში მწყემსი მოვიდა. ერთ-ერთი სოფლის ტყეში მას ეპოვნა ადამიანის თავის ქალა, ნადირისაგან დამახინჯებული გვამი, კაბის ნაგლეჯები და ქალის ფეხსაცმელი. შემთხვევის დათვალეირებამ ხელშესახები ვერაფერი მისცა გამოძიებას. დაინიშნა სამედიცინო ექსპერტიზა. ექსპერტის აზრით, მკვლელობა დაახლოებით ერთი თვის წინათ უნდა ყოფილიყო ჩადენილი, მაგრამ რაიონში ამ ხნის მანძილზე არ აღმოჩნდა არც ზეპირი და არც წერილობითი განცხადება ვინმეს უგზოუკვლოდ დაკარგვის შესახებ. ამ გარემოებამ კი უფრო გაართულა საქმე, რადგან ჯერ დაზარალებული იყო დასადგენი და მხოლოდ ამის შემდეგ — დამნაშავე.

მალე ფარდა აეხადა კიდევ ერთ ბოროტებას, რამაც უფრო განამტკიცა ის აზრი, რომ არ არსებობს გაუხსნელი დანაშაული. დადგინდა, რომ გზასაცდენილი ახალგაზრდა ქალი, რომლის მშობლებმაც არ იცოდნენ მისი ასავალ-დასავალი, დამნაშავეებმა სიცოცხლეს გამოასალმეს და გვამი ტყეში დააგდეს ნადირის საჯიჯგნად.

ბევრი რამ აქვს მოსაგონარი ტრისტრან მეტრეველს. ვინ მოთვლის, ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე რამდენი საქმე გახსნა. მისი კარგი მუშაობა არაერთხელ არის აღნიშნული ზემდგომი ორგანოების მიერ. მიღებული აქვს ოცდაორი მადლობა, წახალისება და ფასიანი საჩუქარი სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და საქართველოს სსრ პროკურორისაგან. 1964 წლიდან უცვლელად არის საგარეჯოს, შემდეგ კი თელავის ყველა მოწვევის რაიონული საბჭოების დეპუტატი, რაიკომის წევრი.

მხნედ და ამყად დააბიჯებს თელავის ქუჩებში თავის პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული, გულმართალი პროკურორი ტრისტან მეტრეველი. მას მოწიწებით ესალმებიან. ეს იმ დიდი სიყვარულის გამოხატულებაა, რომელიც მან სამართლიანად დაიმსახურა.



## დეღვის ორაკული

„ბედნიერი ხართ? თუ არა, — მიმართეთ მისტერ პარკერ პაინს“ — ასეთ განცხადებას ყოველ დილით წაიკითხავთ „ტაიმსში“. მკითხველთა ერთი ნაწილი უგულვებელყოფს მას, დანარჩენებს ეღიმებათ, მაგრამ ზოგიერთი მოდის მისტერ პარკერ პაინის სადა და უბრალო ბიუროში: თითოეული მათგანი თავისებურად უბედურია, — ასე იწყება ცნობილი ინგლისელი მწერლის აგატა კრისტის მოთხრობების სერია „პარკერ პაინი იძიებს“, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გამოიცა ლონდონში. ამ მოთხრობებს საფუძვლად უდევს ნამდვილი ამბები, ისინი გვაცნობენ კაპიტალისტური საზოგადოების სოციალურ ტრაგედიებს. მკითხველს ვთავაზობთ ერთ-ერთი ასეთი მოთხრობის „დეღვის ორაკული“ შემოკლებულ თარგმანს.

ქრსებითად, მისის უილარდ ჯ. პიტერსს ნაკლებად აინტერესებდა საბერძნეთი.

მაგრამ ის აზრი, რომ თუ შემთხვევა მოიტანდა, შეეძლო დაეკვებინა დელფის ვწვევივარო, სიბლავდა მას და ამიტომაც ყოველნაირად ცდილობდა საკუთარ თავში გაეღვიძებინა ინტერესი ანტიკური საბერძნეთისადმი, თუმცადა ეს არაჩვეულებრივად ძნელი გახლდათ. ბერძნულ ქანდაკებაში ერთობ ბევრი რამ იყო დაუმთავრებელი! მას ხშირად აკლდა თავი, ხელი ან ფეხი...

უილარდი (ბოლო დრომდე იგი „უმცროსის“ ტიტულს ატარებდა, რომელიც სძულდა) მისის პიტერსის ვაჟიშვილი იყო. მას 18 წელი შეუსრულდა და პიტერსს იგი გაგიჟებით უყვარდა. სწორედ იგი იყო გატაცებული ანტიკური ხელოვნებით და სწორედ მან, გამხდარმა, ფერმკრთალმა, სათვალისანმა (იგი ცუდად ინელებდა საჭმელს), წააქეზა დედა საბერძნეთში გამგზავრებულიყვნენ...

იმ დილას უილარდი ძალიან ადრე ვავიდა შინიდან რათა ბიზანტიური მოზაიკა დაეთვალიერებინა. პიტერსი ინსტიქტურად გრძნობდა, რომ მოზაიკა ვერ გაათბობდა მას (ვერც პირდაპირი მნიშვნელობითა და ვერ სულიერი თვალსაზრისით), ამიტომაც შვილს მოუბოდიშა — ექსკურსიაში მონაწილეობას ვერ მივიღებო.

როდესაც იგი სასაუზმოდ რესტორანში შევიდა, აღმოჩნდა, რომ აქ სულ რამდენიმე კაცი იყო: დედა ქალიშვილითურთ, რომელთა ჩაცმულობა, მისის პიტერსის აზრით, უკიდურესად ექსტრავაგანტურად გამოიყურებოდა. საუბრობდნენ ცეკვისას თვითგამოხატვის საშუალებებზე. საშუალო ასაკის მსუქანი ჯენტლმენი, მისტერ ტომპსონი, რომელიც დაეხმარა მას, როდესაც იგი სადარბაზოდან გამოდიოდა, და საშუალო ასაკის უცნობი მელოტი ჯენტლმენი, რომელიც წინადლით საღამოს ჩამოვიდა.

ეს უკანასკნელი ყველაზე მეტხანს დარჩა რესტორანში და სულ მალე მისის პიტერსმა მასთან საუბარი გააბა. იგი გულღია ხასიათის ქალი იყო და უყვარდა სჯა-ბაასა.

პიტერსმა უ:პბო, ჯენტლმენს, ყოველივე უილარდის შესახებ, უთხრა რა,



არაჩვეულებრივი ნიჭი ჰქონდა და როგორ იყო გატაცებული ძველი საბერძნეთით. ამ რბილ და კეთილმოსურნე ადამიანში რაღაც ისეთი რამ იგრძნობოდა, რაც გულახდილობისათვის განგაწყობდა.

რა საქმიანობას ეწეოდა თვითონ იგი ან რა ერქვა, პიტერსმა ვერ გაიგო. მან არაფერი გაანდო მისის პიტერსს, გარდა იმისა, რომ მოგზაურობს და სავსებით „ისვენებს საქმეებისაგან“.

— ეს ტიპი ვინაა არის? — იკითხა მან მისტერ ტომპსონის შესახებ, რომელმაც სწრაფად ჩაუარა მათ.

— ეს მისტერ ტომპსონია, — იცნო იგი პიტერსმა.

— ჰმ, მგონი, სადღაც შევხვედრივარ...

როდესაც მისის პიტერსი სასტუმროში დაბრუნდა, უკვე ნაშუადღევის ოთხი საათი იყო. პიტერსი დარწმუნებული იყო, უილარდი სასლში დახვდებოდა. უბედურების წინათგრძნობა იმდენად შორს იყო მისგან, რომ კინაღამ დაავიწყდა გაესხნა ბარათი, რომელიც მას სასტუმროს პატრონმა გადასცა და თან დასძინა — ვილაც უცნობმა დამიტოვა თქვენითვის გადმოსაცემად.

მან უგულოდ გახსნა ბარათი. მაგრამ, როგორც კი პირველი რამდენიმე სტრიქონი წაიკითხა, გაფითრდა. იგი იძულებული გახდა დაყრდნობოდა პირველსავე საგანს, რომელიც შეხვდა, რომ წონასწორობა არ დაეკარგა. ბარათი უცხოელის ხელით იყო დაწერილი, მაგრამ — ინგლისურად.

„ლედი, გაცნობებთ, რომ თქვენი ვაჟიშვილი მოვიტაცეთ და იგი ახლა საიმედოდ ადგილას გვყავს. პატივცემულ ჭაბუკ ჯენტლმენს არაფერს ვაწვებთ, თუკი ჩვენს მითითებებს დაემორჩილებით. თქვენი ვაჟის განთავისუფლებაში ჩვენ 10 ათას ინგლისურ გირვანქა სტერლინგს მოვითხოვთ. თუ თქვენ ამას სასტუმროს პატრონს აცნობებთ, ან პოლიციაში დაგვასმენთ, (ან კიდევ ვინმე სხვასთან), თქვენს ვაჟიშვილს მოკლავენ. გაძლევთ დროს, მოიფიქროთ ყველაფერი. სვალ მიიღებთ ჩვენგან მითითებებს, თუ როგორ უნდა გადმოგვცეთ ფული. თუ არ დაგვემორჩილებით, დიდად პატივცემულ ჭაბუკ ჯენტლმენს ყურებს დავაჭრით და გამოგიგზავნით. მეორე დღეს კი, თუ არ შეასრულებთ ჩვენს მითითებებს, იგი მოკვდება. ეს უბრალო მუქარა არ გეგონოთ. ერთხელ კიდევ გაისაზრეთ ყოველივე და არავის არაფერი არ უამბოთ“.

ქნელია აღწერა უბედური ქალის სულიერი განწყობილებისა. მოთხოვნა უცნაური, უაზრო და პრიმიტიული ფორმით იყო ჩამოყალიბებული, მაგრამ იგი საზარელი უბედურების გამოძახილს შეიცავდა. უილარდი, მისი ბიჭუნა, მისი საყვარელი, თავაზიანი, ხათრიანი, სერიოზული უილარდი!

მას დაებადა სურვილი დაუყოვნებლივ მიემართა პოლიციისათვის, ყველაფერზე დაეყენებინა... მაგრამ ასე რომ მოიქცეს, შესაძლებელია... ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

უბედურებამ ლამის ჭკუიდან შეშალა. რა ქნას? ათი ათასი გირვანქა — ეს რამდენია? რაღაც, დაახლოებით 40-50 ათასი დოლარი! მისი უილარდის კეთილდღეობასთან შედარებით ეს თანხა რა სასხენებელია! მაგრამ სად იშოვოს ამდენი ფული? სწორედ ახლა განიცდიდა ფინანსიურ სიძნელეს. რამდენიმე ასეული გირვანქა სტერლინგი აკრედიტივი — ეს იყო და ეს, რაც მას გააჩნდა.



გაისმა გონგის ხმა, რომელიც სადილად უხმობდა, და საცოდავი ქალი რესტორნისაკენ გაეშურა. იგი მექანიკურად ჭამდა, ვარშემო ვერავის ამჩნევდა.

როდესაც ხილი მოიტანეს, წინ დაუდეს კიდევ ერთი ბარათი, ხელწერა იმას არ ჰგავდა, რომლის დანახვაც მას აგრერიგად აშინებდა: ეს ინგლისელი კლერკის დახვეწილი ხელწერა იყო. მან უინტერესოდ გახსნა ბარათი, მაგრამ მისმა შინაარსმა დააინტერესა.

„დედფში აღარ არიან ორაკულები, რომლებიც ბედს იწინასწარმეტყველებენ, მაგრამ თქვენ შესაძლებლობა გაქვთ ისარგებლოთ მისტერ პარკერ პაინის რჩევა-დარიგებით!“

ამ სტრიქონების ქვემოთ მიწებებული იყო გაზეთებიდან ამოჭრილი განცხადება: „ბედნიერი ხართ? თუ არა ხართ, მიმართეთ მისტერ პარკერ პაინს!“

უფრო დაბლა ბარათზე მიმაგრებული იყო ფოტოსურათი, რომელზეც მისი ახალი ნაცნობი იყო გამოსახული.

მისის პარკერმა ორჯერ გადაიკითხა ამონაჭერი.

ბედნიერია?! განა ოდესმე ყოფილა ვინმე ასერიგად უბედური?! ჭეშმარიტად, თვით ბედი მოსდგომოდა კარს!

მან ნაჩქარევად დაწერა ქალაღდის პირველსავე ნაგლეჯზე, რომელიც ხელში მოხვდა: „გემუდარებით, დამენმარეთ! სომ არ შეიძლება ათი წუთის შემდეგ სასტუმროსთან შეგხვდეთ ერთმანეთს?“

მან ბარათი კონვერტში ჩადო და სთხოვა კონვერტი გადაეცათ ჯენტლმენისთვის, რომელიც ფანჯარასთან იჯდა. 10 წუთის შემდეგ მისის პიტერსი გამოვიდა სასტუმროდან და ნელი ნაბიჯით გაუყვა გზას ნანგრევებისაკენ. მან დაინახა პარკერ პაინი, რომელიც მას ელოდებოდა.

— ბედს უნდა ვუმადლოდე, რომ თქვენ აქ ბრძანდებით — თქვა პიტერსმა, — მაგრამ როგორ მიხვდით, რომ ჩემს თავს უბედურებაა?

— აღამიანის სახის გამომეტყველება, მადამ, — წარმოთქვა პაინმა რბილი კილოთი. — უცებ მივხვდი, რომ რაღაც მოხდა. მაგრამ კერძოდ — რა, იმედი მაქვს ამას თქვენგან გავიგებ.

მისის პიტერსმა გადასცა წერილი, რომელიც მან ელექტრონის ფარნის შუქზე წაიკითხა.

— ჰმ, — თქვა მან, — ერთობ ყურადსაღები დოკუმენტია. მისი ზოგიერთი პუნქტი...

პაინი შეეცადა დაეწინარებინა ქალი. ეჭვს არ იწვევსო, ბანდიტები კარგად მოექცევიან თავის ტყვეს, სანამ იგი მათთვის სიმდიდრის პოტენციური წყაროა.

— მაგრამ მე როგორ მოვიქცე?

— ხეალამდე მოიცადეთ, — თქვა პაინმა, — ეს იმ შემთხვევაში, თუ არ აპირებთ დაუყოვნებლივ პოლიციას მიმართოთ.

მაგრამ მისი ძვირფასი უილარდი სომ შეიძლება მოკლან!

— თქვენ გგონიათ, რომ მას არაფერს დაუშავებენ?

— ამაში ეჭვიც არ მეპარება, — მშვიდად თქვა პარკერ პაინმა. — საქმე ის განსაკუთრებულია თუ არა ისე დავიბრუნოთ იგი, რომ ათი ათა-



სი გირვანქა სტერლინგი არ გადაუხადოთ. ჩემი აზრით, განგაში უნდა ატეხოთ. მის დასაძებნად ჯგუფი თუ შეიქმნება, საქმეს არ ავნებს.

— როგორ გგონიათ ბანდიტები სომ არ... — მისის პიტერსს ენა დაება.

— ო, არა. სანამ ლაპარაკი არ შეეხება გატაცებას, ისინი არაფერს არ მოიმოქმედებენ.

— შემიძლია თქვენი დახმარების იმედი ვიქონიო?

— ეს ჩემი მოვალეობაა, — თქვა პარკერ პაინმა.

**მეორე დღით**, როდესაც ტანთ იცვამდა, მისის პიტერსმა ისეთივე ჭუჭყიანი იაფფასიანი კონვერტი შენიშნა.

„დილა მშვიდობისა, ლედი. ყველაფერი მოიფიქრეთ? თქვენი ვაჟიშვილი სავსებით ჯანმრთელია. ჯერჯერობით... მაგრამ ჩვენ ფული გვჭირდება. შესაძლოა, გაგიჭირდეთ ასეთი დიდი თანხის შოვნა, მაგრამ ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ თქვენ ბრილიანტის ყელსაბამი გაქვთ. ძალიან კარგი ბრილიანტების ყელსაბამი. იგი ჩვენ სავსებით ხელს გვაძლევს. თქვენ, ან ის პირი, ვისაც თქვენ ამას დაავალებთ, ყელსაბამს სტადიონზე მოიტანს. სტადიონიდან გაემართებით ხისკენ, რომელიც კლდის პირას დგას. მიიღეთ მხედველობაში, რომ თვალყურს გადავენებთ. ყელსაბამი მხოლოდ ერთმა კაცმა უნდა მოიტანოს. ყელსაბამის სანაცვლოდ თქვენს ვაჟიშვილს დაგიბრუნებთ. დრო: დილის 6 საათი, როგორც კი მზე ამოვა. თუ მოგვიანებით ჩვენ პოლიციას დაგვასვენთ, თქვენს შვილს ტყვიას დავახლით სწორედ იმ დღეს, როდესაც ვაგზალზე გაემართებით.“

ეს ჩვენი უკანასკნელი სიტყვაა, ლედი. ხვალ დილას ყელსაბამს თუ არ მოგვიტანენ, თქვენი ვაჟიშვილის ყურებს გამოგიგზავნიან. მეორე დღეს კი იგი მოკვდება“.

**პიტერსმა** მოძებნა პარკერ პაინი და წერილი უჩვენა. მან ყურადღებით წაიკითხა იგი.

— მართალია? — ჰკითხა მან. — აი ის, ბრილიანტის ყელსაბამს რაც შეეხება?

— სავსებით. ჩემმა ქმარმა ყელსაბამი ასი ათას დოლარად იყიდა.

— ო, კარგად ინფორმირებული ბანდიტები ყოფილან, — წაიბურტყუნა პარკერ პაინმა. — მაგრამ თქვენ სომ მტკიცე ხასიათის ქალი ხართ. ნუთუ მოგწონთ, როდესაც გაბრიყვებენ და განძღულებენ 100 ათასი დოლარი გადაუხადოთ? ნუთუ აპირებთ დამნაშავეთა ბანდას ბრილიანტის ყელსაბამი ჩააბაროთ?

„მტკიცე ხასიათის ქალის“ გრძნობები მისის პიტერსის გულში დედის გრძნობებს ებრძოდნენ.

— კი მაგრამ, თქვენი აზრით, რა უნდა ვქნა ახლა?

პარკერ პაინს გაეღიმა.

— მინდა ვცადო და ჩემი საკუთარი გეგმა განვახორციელო. — მან მიიხედ-მოიხედა. რესტორნის დარბაზში არავინ ჩანდა, ორივე კარი ორივე მხრიდან მისურული იყო, — მისის პიტერს, ათენში ნაცნობი იუველიერი მყავს. იგი ხელოვნური თვლების დამზადების ოსტატია, პრველხარისხიან თვლებს



ამზადებს. — პაინმა ხმას დაუწია და ჩურჩულზე გადავიდა. — მე მას ტელეფონით დავეუკავშირდები და ვთხოვ აქ მოვიდეს და თან თვლების კომპლექტი წამოიღოს.

— თქვენ მხედველობაში გაქვთ...

— თქვენი ყელსაბამის პატიოსან თვლებს იგი ხელოვნურებით შეცვლის.

— ამაზე გონებამანვილური რამ ჩემს სიცოცხლეში არ გამიგონია!

— პიტერსი ალტაცებით შესცქეროდა პარკერს.

— თვალი ადევნეთ, ვინმემ ყური არ დამიგდოს; როდესაც მას ტელეფონით დაველაპარაკები...

ყველაფერი გეგმის თანახმად ვითარდებოდა. იუველირი ჩამოვიდა სადილამდე ცოტა ხნით ადრე ავტობუსით, რომელიც ტურისტებით იყო სავსე. პიტერსმა თავისი ყელსაბამი მის ოთახში მიიტანა. ყელსაბამმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იუველირზე. მან სამგზავრო ჩანთიდან საჭირო ინსტრუმენტები მოიმარჯვა და მუშაობას შეუდგა.

სადამოს 11 საათი იყო, როდესაც პარკერ პაინმა პიტერსის ოთახის კარზე დააკაკუნა.

— აი, ინებეთ.

მან პიტერსს მცირე ზომის ზამშის ბუდე გადასცა. პიტერსმა გახსნა იგი.

— ჩემი ბრილიანტები!

— ჰმ. ეს ყელსაბამია, რომელშიც ნამდვილი ბრილიანტები ხელოვნური თვლებით არის შეცვლილი. დამეთანხმეთ, რომ შესანიშნავი ნახელავია.

— ნამდვილად თვალწარმტაცია!

— არისტოპულოსი ჭკვიანი კაცია.

— როგორ ფიქრობთ, ხომ არ დაეჭვდებიან?

— რანაირად? ბანდიტებმა იციან, რომ თქვენ ყელსაბამი გაქვთ.

თქვენ ამ ყელსაბამს გადასცემთ მათ.

— ჩემი აზრით, ყოველივე შესანიშნავად შესრულდა, — გაიმეორა მისის პიტერსმა. — ხომ ვერ შეძლებთ ყელსაბამი თქვენ გადასცემთ ბანდიტებს? თუ ნამეტან ბევრს მოვიტხოვ თქვენგან?

— რასაკვირველია, გადავცემ ბუდეს, მხოლოდ წერილი მიბოძეთ, რომ მათს მითითებებს გავცნო, გმადლობთ. ახლა კი ღამე მშვიდობისა და გამხნევდით. სვალ დილით საუზმობისას თქვენი შვილი თქვენთან ოქნება.

პიტერსმა მშფოთვარე ღამე გაატარა. ძილში მაჯლაჯუნა აწვა. ამ სიზმრებში შეიარაღებული ბანდიტები ჯავშნიან ავტომანქანებიდან ტყვიას უშენდნენ უიღარდს, რომელიც პიჟამოში გამოწყობილი მთის ფერდობზე გარბოდა. გაეხარდა, რომ გაეღვიძა. როგორც იქნა, ირიჟრაჟა.

7 საათზე კარზე დააკაკუნეს. ყელი გაუშრა და ხმა არ ემორჩილებოდა.

— მობრძანდით, — თქვა მან.

კარი გაიღო და ოთახში მისტერ ტომპსონი შემოვიდა. მისის პიტერსმა თვალელები დააჭყიტა, არ იცოდა, რა ეთქვა. დიდი უბედურების წინათგრძობა დაეუფლა მას, მაგრამ ტომპსონი ბუნებრივი კილოთი ლაპარაკობდა, ოითქოსდა მის მოსვლაში არაფერი იყო არაჩვეულებრივი.



— დილა მშვიდობისა, მისის პიტერს.

— როგორ ბედავთ, სერ! როგორ ბედავთ?!

— მაპატიეთ, რომ ასე დილაადრიანად გესტუმრეთ, — თქვა ტომპსონმა. — თქვენთან საქმე მაქვს, გადაუდებელი.

პიტერსი წინ გადაიხარა და მრისხანედ შეხედა ტომპსონს.

— მაშ ასე, ეს თქვენ ყოფილხართ?! თქვენ მოიტაცეთ ჩემი ბიჭი! ბან-დიტები აქ არაფერ შუაშია!

რასაკვირველია, ეს ბანდიტების ნახელავი არ არის. მთელი გეგმა ერთობ არადამაჯერებლად იყო შემუშავებული. ყოველ შემთხვევაში, მას არტისტიზმი აკლდა.

— სად არის ჩემი ბიჭი? — მკაცრად ჰკითხა პიტერსმა.

— იგი კარების უკან დგას.

— უილარდ!

კარი გაიღო და ოთახში შემოვარდნილი გაყვითლებული, გაუპარსავი უილარდი გულში ჩაეკრა დედას.

— ასეა თუ ისე, — მიმართა ტომპსონს პიტერსმა, როდესაც გონს მოვიდა. — მე სრული უფლება მაქვს პასუხი მოგთხოვოთ ყოველივე იმისათვის, რაც მოიმოქმედეთ!

— ცდები, დედა! — წამოიძახა უილარდმა. — სწორედ ამ ჯენტლმენმა გამათავისუფლა.

— სად ჰყავდი დატყვევებული?

— სახლში, მთის მწვერვალზე. აქედან დაახლოებით ერთი მილია.

— ნება მიბოძეთ, ქალბატონო პიტერს, — თქვა ტომპსონმა, — დაგიბრუნოთ თქვენი საკუთრება.

მან გადასცა თხელ ქალღმერთში ვახვეული რაღაც ნივთი. ქალღმერთი იატაკზე დაეცა და ყველამ დაინახა ბრილიანტის ყელსაბამი.

— არ არის აუცილებელი იმ კოლოფში გქონდეთ შენახული თვლები მისის პიტერსს, — თქვა ტომპსონმა და გაეღიმა, — ნამდვილი თვლები ამ ყელსაბამშია. კოლოფში კი მხოლოდ და და მხოლოდ ბრილიანტის ბრწყინვალე იმიტაციაა.

— მთელ ამ ამბავში არაფერი მესმის, — თქვა დაბნეულმა პიტერსმა.

— ეს შემთხვევა ჩემი თვალთახედვით უნდა განიხილოთ, — თქვა ტომპსონმა. — ჩემი ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ ვიღაც პირმა მიონდომა სხვისი სახელის გამოყენება. გაზედუ და უკან გამოგყევით თქვენ და თქვენს მეგობარს. უფრო მეტიც, უნდა გამოგიტყდეთ, რომ თქვენთვის შეუმჩნევლად ყური დაფუგდე თქვენს მეტად თავშესაქცევ საუბარს. ეს ლაპარაკი იმდენად საეჭვო მომეჩვენა, რომ მისი შინაარსი სასტუმროს ადმინისტრატორს გავანდე. მან ჩაინიშნა ტელეფონის ნომერი, რომელსაც თქვენი მეგობარი ელაპარაკა. სურათი სავსებით ნათელი გახდა. თქვენ აღმოჩნდით ჭკვიანი ქურდების ბანდის მსხვერპლი. ისინი ძირითადად ძვირფასეულობებს იპარავდნენ. მათთვის ცნობილი გახდა, რომ თქვენ გაქვთ ბრილიანტის ყელსაბამი. გამოგყვინენ აქ, დედულში. მოიტაცეს თქვენი ვაჟი, ბანდიტების სახელით მოგწერეს წერილი და საქმე ისე გაჩარხეს, რომ რჩევისათვის თქვენ სწორედ ამ ბან-



დის მეთაურს მიმართეთ. ყოველივე, რაც შემდეგ მოხდა, მეტად მარტივია. კეთილმა ჯენტლმენმა გადმოგცათ კოლოფი, რომელშიც ხელოვნური თვლებია, თვითონ კი თქვენი ყელსაბამითა და მისი თანამზრახველებითურთ გაუჩინარდა. დღეს დილას ამაოდ მოგიწევდათ თქვენი ვაჟიშვილის ცდა. თქვენ მეგობარსაც ველარ იხილავდით და გადაწყვეტდით, რომ იგიც ბანდიტებმა იმსჯევრპლეს ჩემი ვარაუდით, მხოლოდ ერთი დღის შემდეგ ერთ-ერთი თანამზრახველი „შემთხვევით აღმოაჩენდა“ თქვენს ვაჟს იქ, სადაც იგი დაამწყვდიეს. შესაძლოა ამ დროისათვის რაღაც ეჭვი გაგიჩნდებოდათ. მაგრამ ამ დროისათვის დამნაშავენი უკვე შორს იქნებოდნენ.

— ახლა სადღა არიან?!

— ო, ამჟამად ისინი საიმედო ადგილას არიან. ამაზე მე ვიზრუნე.

— ავაზაკი, — თქვა პიტერსმა, რომელმაც დაკარგა მისთვის ჩვეული თავდაჯერებულობა. — მლიქვნელი ავაზაკი, რომელიც ბოროტად იყენებს პატიოსანი ადამიანების ნდობას!

— დიან! არცთუ სასიამოვნო ტიპია, — დაეთანხმა ტომპსონი.

— ვერაფრით ვერ მივმხვდარვარ, როგორ მოახერხეთ ყოველივე ამის გახსნა? — წამოიძახა ალტაცებულმა უილარდმა. — რა უჩვეულო, გასწვამან-ვილური ამბავია!

— სრულიადაც არა, — მიუგო ტომპსონმა. — როდესაც ინკოგნიტოდ მოგზაურობ და გაიგებ, რომ ვილაცას სურს გამოიყენოს შენი სახელი...

პიტერსი გაშტერებით დააცქერდა მას.

— კი მაგრამ, ვინ ხართ?

— ჩემი სახელია მისტერ პარკერ პაინი.



# ინფორმაცია

## სამეცნიერო კონფერენცია სისხლის სამართლის აქტუალურ პრობლემებზე

1983 წლის 2-3 ნოემბერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის თაოსნობითა მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში გაიმართა საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „სისხლის სამართლის აქტუალური პრობლემები“, რომელიც მიიქმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ თინათინ წერეთლის დაბადების 80 წლისთავს.

სამეცნიერო კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ე. ხარაძემ.

— მართალია, უკვე სამი წელი გავიდა, — თქვა მან, — მას შემდეგ, რაც პროფესორი თ. წერეთელი ჩვენ გვერდით აღარ არის, მაგრამ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი წასვლით გამოწვეული გულსტკივილი ჯერაც არ ვაგვენლებია, რადგან მისი სახით ქართველმა საზოგადოებრიობამ დაკარგა დიდი შემოქმედებითი ძალის მკვლევარი, დაუცხრომელი საზოგადო მოღვაწე, ახლავაზობის გულისხმიერი აღმზრდელი. იგი იყო თეოსაჩინო საბჭოთა მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. დიდად ბედნიერად ვთვლით თავს რომ ამ შესანიშნავი კონფერენციის გახსნა მე დამავალეს. გთხოვთ წუთიერი დღმილით პატივი ვცეთ ქალბატონ თინათინის ნათელ ხსოვნას.


შემდეგ აკადემიკოსი ე. ხარაძე გულითადად მიესალმა კონფერენციის მონაწილეებს და უსურვა მათ ნაყოფიერი მუშაობა.

მოხსენება — „თინათინ წერეთლის ცხოვრება და მოღვაწეობა“ — გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის შოადგილემ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა თ. შავუღლიძემ, რომელმაც დაწვრილებით მიმოიხილა თეოსაჩინო მეცნიერის ცხოვრება და მოღვაწეობა კერძოდ, აღნიშნა რომ თ. წერეთელი ბრწყინვალედ ფლობდა სამართლის მეცნიერების რამდენიმე დარგს: სისხლის სამართალს, ს.მოქალაქო სამართალს, სახელმწიფო და სამართლის თეორიას. იგი იყო პირველი და ერთადერთი დოქტორი იურისტი ქალი საქართველოში, პირველი დოქტორი ქალი საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერებაში და ერთადერთი იურისტი ქალი მთელ საბჭოთა კავშირში, რომელიც აკადემიის შემადგენლობაში იყო არჩეული. ყოველივე ეს ჰილოდ რჩეულთა ხვედრია, მაგრამ მთავარი ეს როდია — იგი ყოველთვის მალა იდგა თავის ოფიციალურ ტიტულებზე.

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ს. კუზნეცოვას მოხსენების თემა იყო „თინათინ წერეთლის შეხედულებანი სისხლის სამართლის ფუნდამენტალურ პრობლემებზე“. მომხსენებელმა ვრცლა დილაპარაკა თ. წერეთლის კლასიკური ნაშრომა „მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში“ უაღრესად დიდ მნიშვნელობაზე და თქვა, რომ ამ მონოგრაფიის თავისი აქტუალურობა დღესაც არ დაუკარგავს. უფრო მეტიც, იგი საბჭოთა სისხლის სამართალში კვლავ ამ პრობლემაზე დაწერილ ერთადერთ მონოგრაფიად რჩება. ალბათ მისი უდიდესი მეცნიერულ-პრაქტიკული ღონის გამოა, რომ სხვა ავტორები სისხლის სამართლის ესოდენ რთულ, ფუნდამენტურ თემას დღემდე აქტიურად არ ჰკიდებენ ხელს. ყოველ შემთხვევაში, თ. წერეთლის მონოგრაფიის გაუთვალისწინებლად ამ პრობლემის კვლევისას ვერც ერთი მეცნიერი შორს ვერ წავა, რადგან თ. წერეთლის აღნიშნულ ნაშრომსა და, საერთოდ, მთელ მის ნაშრომწარს წითელ ზო-

ნაშრომსა და, საერთოდ, მთელ მის ნაშრომწარს წითელ ზო-





ლად გასდევს ფუნდამენტურობა, მეცნიერული პრინციპულობა და მაღალი პროფესიული კომპეტენტურობა.

სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო მოხსენებები: „თინათინ წერეთლის კონცეფცია მიზეზობრივი კავშირისა“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი **გ. ტყეშელაძე**), „ბიოგრაფიული მეთოდის მნიშვნელობა სისხლის სამართლის მეცნიერების ისტორიის კვლევისათვის“ (დაუსწრებელი საკავშირო იურიდიული ინსტიტუტის სისხლის სამართლის კათედრის დოცენტი **შ. რაშკოვსკაია**), „დანაშაულის ობიექტი და სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის სისტემა“ (იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **მ. ლეკვიშვილი**), „თ. წერეთლის შრომებში სისხლის სამართლებრივი თეორიის დისციპლინათა შორისო კავშირების შესახებ“ (სსრ კავშირის პროკურატურის ინსტიტუტის სექტორის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ა. რატიანი**), „დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის აქაღმურების ზოგიერთი პრობლემა“ (სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სექტორის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვ. სავიცი**), „თინათინ წერეთლის შეხედულება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველზე“ (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **ო. გამყრელიძე**), „სისხლის სამართლის ეფექტიანობა და საზოგადოებრივი აზრი“ (სსრ კავშირის პროკურატურის ინსტიტუტი. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **გ. ფერემოვა**), „ბრალის სისხლისსამართლებრივი და სწავლობის-ფსიქოლოგიური ასპექტები“ (იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **ვ. კოჯანი**), „რეალური შესაძლებლობის კატეგორიის გამოყენება თინათინ წერეთლის მიერ მცდელობის ცხების აგების დროს“ (იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **ლ. სურგულაძე**), „თინათინ წერეთლის მონაწილეობა საქაონმდებლო აქტების მომზადებაში“ (საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დამანაშავეობის სოციალოგიის სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის გამგე, ფილოსოფიის მეც-

ნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ა. გაბიაიანი**), „დანაშაულებრივი ქმედობის მიზეზები კრიმინალიზაციის თეორიის სუბსტანცია“ (შორეული აღმოსავლეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **ა. კარაბეგვი**).

სამეცნიერო კონფერენციაზე გამოვიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ნ. ჭავჭავაძე**. მან აღნიშნა, რომ თინათინ წერეთელი შესანიშნავად იყო დაუფლებული მარქსისტულ ფილოსოფიას. მთელი მისი მეცნიერული მემკვიდრეობა გვიდასტურებს, რომ იგი ყლობდა კვლევის ფილოსოფიურ მეთოდებს. სწორედ ფართო ერუდიციამ და მეცნიერების მომიჯნავე დარგების ღრმა ცოდნამ მისცა თ. წერეთელს საშუალება შეექმნა ფუნდამენტური ნაშრომები, რომლებმაც საყოველთაო აღიარება მოუტანა მას. ამიტომ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თინათინ წერეთელმა თავისი ძვირფასი შემოქმედებით ღრმა კვალი დააჩნია არა მარტო სამართალმცოდნეობას, არამედ ფილოსოფიური აზროვნების განვითარებასაც.

კონფერენციის მონაწილეებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ თინათინ წერეთლის შესანიშნავი მეცნიერული მემკვიდრეობის უახლოესი ხანაში რუსულ ენაზე გამოცემა გადაუდებელი საქმეა და რომ ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს.

სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში შეაჯამა **თ. შავგულიძე**. მან თქვა, რომ კონფერენცია მაღალ მეცნიერულ დონეზე მიმდინარეობდა და მთელ მის მუშაობაში წითელ ზოლად გასდევდა შესანიშნავი ქართველი მეცნიერის თ. წერეთლის ნათელი ხსოვნისა და მისი დიდი მეცნიერული მემკვიდრეობის პატივისცემა.

სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სირაძე**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგის მოადგილე **მ. უგრეხელიძე**, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი **ა. შუშანაშვილი**, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, აკადემიკოსი **ა. ზურაბაშვილი**.





# უკრაინისტა და იუკრისტა ბიჭვინთის უხევედრა

1988 წლის 6-10 დეკემბერს ბიჭვინთის უკრაინისტა და კინემატოგრაფისტთა შე. მოქმედებით სახლში გაიმართა რესპუბლიკის უკრაინისტთა თათბირ-სემინარი. აქ თავი მოიყარეს საოლქო, საქალაქო, რაიონული და მრავალტირაჟიანი გაზეთების რედაქტორებმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უკრაინისტიკის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, სსრ კავშირის უკრაინისტთა კავშირისა და მისი შემოქმედებითი სექციების წარმომადგენლებმა, მოძმე რესპუბლიკის უკრაინისტებმა.

8 დეკემბერს თათბირ-სემინარი დაეთმო თემა: „ინფორმაციის მასობრივი საშუალებების როლი მშრომელთა სამართლებრივ აღზრდის საქმეში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა შეხებაში“.

საქართველოს უკრაინისტთა კავშირის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი ნ. ბჟინაძის უხევედრაში სიტყვის შემდეგ თათბირ-სემინარის მონაწილეების წინაშე გამოვალენ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ზ. რატიანი, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე ბ. ბაბუნაძე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები ბ. ფალიაშვილი და შ. ჩიქვაძე, საქართველოს პროფსაბჭოს იურიდიული კონსულტაციის გამგე ბ. ბაბუნაძე, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის პროპაგანდისა და მოსაზრების სამართლებრივი აღზრდის სამმართველოს უფროსი ბ. მიქაბაძე, უკრაინა „საბჭოთა სამართლის“ რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი ნ. ბერძენიშვილი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე სამართლის პროპაგანდის ამოცანებზე უკრაინისტებს ესაუბრა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ზ. რატიანი. მან, თქვა, რომ კომუნისტური პარტია და მთავრობა განუზომლად დიდ მზრუნველობას იჩენენ აღმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის სრულყოფისათვის. ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა სისხ-

ლისა და სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის კიდევ უფრო დახვეწისათვის. მთელი ამ მუშაობის შედეგები და მიზანმიმართულებანი ფართო მასშტაბის ნათელი და გასაგები უნდა გახადოს რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა — პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ. მისახალმებელია, რომ ამ მეტად საპატიო ამოცანას უკრაინისტთა მრავალრიცხოვანი არმია კარგად ართმევს თავს. იმედი გვაქვს, რომ იურისტთა და უკრაინისტთა შორის საქმიანი, მჭიდრო კონტაქტები კიდევ უფრო განმტკიცდება.

თემაზე — „მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით სამართლებრივი საკითხების გაშუქებისას უკრაინისტთა კომპეტენტურობის შესახებ“ — უკრაინისტებს ესაუბრა პროფესორი ბ. ფალიაშვილი. მან აღნიშვნა, რომ აღმინისტრაციული ორგანოებს საქმიანობის თაობაზე საზოგადოებრივი აზრის შექმნის საქმეში განუზომლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სწორად გამოყენებას. თუ პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ უკომპრომისო ბრძოლა არ გამოუცხადეს პარაზიტებს, მუქთანობებს, ცილიმსმწამებლებსა და ანონიმური წერილების ავტორებს, ნებისმიერი ცალკეული ორგანოს მუშაობა, თუნდაც თავდადებული, კარგ შედეგს ვერ მოიტანს, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ რედაქციები, განსაკუთრებით კი რაიონული გაზეთებისა, დროულად არ არიან ინფორმირებული იმ ცვლილებათა შესახებ, რომლებსაც პერიოდულად განიცდის საბჭოთა კანონმდებლობა. მიიანინა, რომ სწორედ ამ გზით მოგვარდება სამართლებრივი საკითხების გაშუქებისას უკრაინისტთა კომპეტენტურობის საკითხი.

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის სამართლებრივი პროპაგანდის საკითხებზე თათბირ-სემინარის მონაწილეებს ესაუბრა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე ბ. ბაბუნაძე. ქვეყნის ეკონომიკის მართვის კარდინალური ცვლილებები, აღნიშნა მან, ბუნებრივია, მოითხოვს სამართლებრივ უზრუნველყოფასაც, რაც ორგანულად გულისხმობს სამართლებრივი პროპაგანდის ფორმების დახვეწას. ამ პროცესების სწორი სამართლებრივი პროპაგან-





დის გარეშე შეუძლებელია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებათა შესახებ სწორი საზოგადოებრივი აზრის შექმნა, სოციალური ოპტიმიზმის დამკვიდრება. ამ რთულ და პასუხსაგებ მისიას ჩვენი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები წარმატებით ართმევენ თავს, მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა ვთქვათ, რომ ეკონომიკური განვითარების ახალი ეტაპის ამსახველი მასალები ჭერ კიდევ იშვიათად გვხვდება ჩვენი პრესის ფურცლებზე. ამ საქმეში სცოდავენ არა მარტო უურნალისტები, არამედ იურისტები და ეკონომისტებიც. შეუწყნარებლად ცოტაა სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნების უშუალო მონაწილეთა გამოცვლები, არასაკმარისია პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება, მოწინავეთა პროპაგანდა. ამის უპირველესი მიზეზი კი ის არის, რომ რედაქციები მჭიდრო ურთიერთობას ვერ ამყარებენ შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან. უნდა ვიფიქროთ, რომ დღევანდელი შეხვედრა ბევრად შეუწყობს ხელს ამ საქმის მოგვარებას.

საბინაო კანონმდებლობის პრობლემებზე ილაპარაკა პროფესორმა შ. ჩიკვაშვილმა. როგორც ვიცით, აღნიშნა მან, ამას წინათ საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ დამტკიცა საქართველოს სსრ საბინაო კოდექსი. ეს საბჭოთა საქართველოს ისტორიაში პირველი საბინაო კოდექსია მანამდე ამ საკითხზე საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი მოიცავდა. კოდექსმა საგრძნობლად გააფართოვა მოქალაქეთა უფლებები საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის მხრივ, გააძლიერა ამ უფლებების განხორციელების გარანტიები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კოდექსმა საბინაო კანონმდებლობის თითქმის ყველა საკითხი გადაწყვიტა.

შემდეგ შ. ჩიკვაშვილმა თათბირ-სემინარის მონაწილეებს დაწვრილებით განუშარტა საბინაო კოდექსის არსებითი სახელები.

„რესპუბლიკის პროფკავშირების როლი მშრომელთა სოციალურ-სამართლებრივი ინტერესების დაცვის, შრომის დისციპლინის განმტკიცების, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და ინფორმაციის მასობრივი საშუალებების ამოცანები ამ საკითხების გაშუქებაში“ — ამ თემაზე უურნალისტებს ესაუბრა საქართველოს პროფსაბჭოს იურიდიული კონსულტაციის გამგე ბ. ბახტაძე. რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, თქვა მან, დიდ ყურადღებას უთმობენ შრომითი კოლექტივების მონაწილეო-

ბას სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა განხორციელებაში, წარმოებისა და სოციალური განვითარების დაგეგმვაში, კადრების მომზადებასა და განაწილებაში, საწარმოთა და დაწესებულებათა მართვის, შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში, იმ სახსრების გამოყენების საკითხთა განხილვასა და გადაწყვეტაში, რომლებიც განკუთვნილია წართეების განვითარებისათვის, აგრეთვე სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და მშრომელთა მატერიალური წახალისებისათვის.

საქართველოს პროფკავშირებს საგრძნობი წვლილი შეაქვთ რესპუბლიკაში ნეგატიურ მოვლენებთან, დანაშაულობასთან და სხვა სამართალდარღვევებთან ბრძოლის საქმეში. უნდა ითქვას, რომ პრესა, განსაკუთრებით კი რაიონული, პროფკავშირული მუშაობის ამ მხარეს სათანადოდ არ აშუქებს. სამართლებრივი პროპაგანდის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს სამართალდარღვევებთან ბრძოლაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების, უპირველესად, პროფკავშირების როლის წარმოჩენა, რადგან კანონის დარღვევათა პროფილაქტიკაში მათ განუყოფლად დიდი წვლილი უნდა შეიტანონ. რაიონული გაზეთები კიდევ უფრო მეტ მასალებს უნდა აქვეყნებდნენ სოფლის მეურნეობის მუშაკთა შრომითი უფლებების რეგულირების თავისებურებათა თაობაზე; ყოვლად დაუფხვებელია, რომ გაზეთებში გამოქვეყნებული იურიდიული კონსულტაციები ზოგჯერ შეცდომებს შეიცავენ.

თათბირ-სემინარზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პრესის, რადიოსა და ტელევიზიის გამოსვლების ქმედითობისა და კომპეტენციის საკითხებს, აღვიღებზე პროპაგანდისტული და ორგანიზატორული მუშაობის გააქტიურებას, სამართლებრივ საკითხებზე მომუშავე უურნალისტთა კადრების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

იურისტებმა ამომწურავი პასუხი გასცეს უურნალისტების მრავალ შეკითხვას.

თათბირ-სემინარის მუშაობა შეაჯამა საქართველოს უურნალისტთა კავშირის გამგეობის პასუხისმგებელმა მდივანმა ნ. ბეძინაძემ. საქართველოს უურნალისტთა კავშირის გამგეობასთან არსებული სამართლისა და მორალის სექცია, თქვა მან, მეტად ნაყოფიერად მუშაობს. უურნალისტებისა და იურისტების ასეთი შეხვედრები და უშუალო საუბრები პრობლემურ საკითხებზე ტრადიციად უნდა ვაქციოთ.



# საგეგმეო-პრაქტიკული კონფერენცია

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს საქო დარბაზში გაიმართა სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „ადვოკატთა მიერ მოქალაქეთა შრომითი უფლებების დაცვა“, რომელიც მოაწყო რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა და სასამართლო დაცვის საზოგადოებრივმა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ბ. ბაბისძემ. კონფერენცია, თქვა მან, ეძღვნება მოქალაქეთა შრომითი უფლებების დაცვას, რომელიც გარანტირებულია სსრ კავშირის კონსტიტუციით. ჭერ კიდევ არის მუშა-მოსამსახურეთა უკანონო დათხოვნის ფაქტები. სამუშაოზე აღდგენილ პირებს კი იძულებით განაცდურს უმეტესად უნაზღაურებელ ორგანიზაციებში და არა ის პირები, რომელთა უკანონო ბრძანებების საფუძველზეც გათავისუფლდნენ ისინი.

მოქალაქეთა შრომითი უფლებების დაცვას, ადვოკატთა სწორ პოზიციას სასამართლოში დიდი მნიშვნელობა აქვს, შრომის კანონმდებლობის ნორმების მოთხოვნათა განხორციელებისათვის.

მოსხენებით — „შრომის ხელშეკრულების მოშლის საფუძვლები და რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის წევრთა პრაქტიკა“ — გამოვიდა ქ. თბილისის კალინინის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი მ. სუსნიშვილი. ჩვენს ქვეყანაში, თქვა მან, ყველა მოქალაქეს აქვს შრომის უფლება. საბჭოთა კანონმდებლობა დგას მშრომელთა შრომის უფლების სადარაჯოზე, განსაზღვრავს მუშა-მოსამსახურეთა შრომის პირობებს, ადგენს შრომის ხელშეკრულების დანებისა და მოშლის საფუძვლებს.

სკკპ XXVI ყრილობამ და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმეს მოქალაქეთა შრომითი უფლებების დაცვას, მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს. მიუხედავად ამისა ბევრგან საწარმოში და დაწესებულებებში ჭერ კიდევ არ იცავენ შრომის კანონმდებლობის მოთხოვნებს. ხშირია მუშა-მოსამსახურეთა უკანონო დათხოვნები საავტომობილო ტრანსპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, საყოფაცხოვრებო მომსახურების ვაკრო ს სამინისტროებისა და ცეკავშირის სისტემის საწარმოებში.

მოსხენებით „შრომის დისციპლინის გან-

მტკიცების სამართლებრივი საფუძვლები“ გამოვიდა ქ. თბილისის კალინინის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი ნ. ბაქოშვილი. შრომა ჩვენს ქვეყანაში, თქვა მან, სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერის საფუძველია. შრომის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შრომით კულექტივს, რომელიც კონსტიტუციის მე-8 მუხლის თანახმად მონაწილეობს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების გადაწყვეტაში. წარმოების მართვაში მშრომელთა მონაწილეობის ერთი ფორმაა კოლექტიური ხელშეკრულება, რომელსაც დებს პროფკავშირის კომიტეტი ადმინისტრაციასთან. მის შესრულებაში დიდი როლი აქვს განუყოფელი შრომის დისციპლინის, შრომის შინაგანაწესის დაცვას. საზოგადოებრივი ორგანიზაციები ახორციელებენ ღონისძიებებს რათა ნაკლები იყოს სამუშაო დროის დანაკარგები. მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული შრომის რესურსები, ჩამოყალიბდეს მყარი შრომითი კოლექტივი.

„თანამდებობის პირთა მიერ უკანონო მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება“ ასეთი იყო ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატის დ. სუსნიშვილის მოსხენების თემა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 18 მაისის ბრძანებულება, თქვა მომხსენებელმა, ითვალისწინებს იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც მოქალაქეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას უკანონო მოქმედებით მიაყენეს სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, აგრეთვე თანამდებობის პირებმა. მომხსენებელმა გაანალიზა მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების უკანონო მოქმედებით მოქალაქეთათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი და პირობები.

მოსხენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ქ. თბილისის ლენინის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატმა მ. შალვლაშვილმა, ოქტომბრის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატმა შ. ძალმახალიძემ, გლდანის რაიონის ადვოკატმა ბ. რაშვამ.

კონფერენციამ მიიღო რეკომენდაციები. კონფერენციის მონაწილეებმა ერთხმად დაამტკიცეს საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის შრომის შინაგანაწესი.





# წიგნის განხილვა

წლებულს 24 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულმა ფაკულტეტმა მოაწყო ა. ზურაბაშვილის, ა. გაბიანი, გ. ლეჟავას, ბ. ნანიშვილის წიგნის „მავნე ჩვევიდან მძიმე დაავადებამდე“ საჯარო განხილვა. შესავალი სიტყვა წარმოთქვა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა დ. ცინცაძემ. რომელმაც აღნიშნა, რომ წიგნის ავტორები სხვადასხვა დარგის სპეციალისტები არიან და მათი ამგვარი მეცნიერული თანამშრომლობა სასიამოვნო პრეცედენტია. ნაშრომი ყურადღებას იქცევს პრობლემების კომპლექსური შესწავლით, საკითხების ორიგინალური გადაწყვეტით.

მოსხენებით გამოვიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის გამგე. პროფ. გ. ტყეშელიაძე.

კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევით, თქვა მან, გამოვლენილია საქართველოში ნარკოტიკუმის კრიმინოლოგიური მახასიათებლები. რომლებიც დაფუძნებულია ფართო კრიმინოლოგიურ ინფორმაციაზე. მათ მოსაპოვებლად დიდი შრომატევადი მუშაობა გაწეული. ამ მახასიათებლების საფუძველზე წამოყენებულია დასაბუთებული წინადადებები რომლებიც უთუოდ ხელს შეუწყობს ამ უღარესად საშიშ სენთან ბრძოლას.

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჩვენს საგამომიბო-სასამართლო პრაქტიკაში კარგა ხანია სადავოდ ითვლება ნარკომანთა მიმართ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 252-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილებისა და 252-ე მუხლის გამოყენების საკითხი. ნაშრომში კანონმდებლობის ტექსტში სწორად არის შენიშნული: გ. ტყეშელიაძემ ავტორთა პოზიციის განსამტკიცებლად მოიყვანა შემდეგი არგუმენტი: გასაღების მიზნის გარეშე ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო დამზადების. შექმნის. შენახვის, გადაზიდვისა და გაგზავნისათვის სისხლისსმართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებით ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება ნარკომანთა ნებაყოფლობითი მკურნალობა. ძნელად წარმოსადგენია, რომ პირმა საყოფარის სურვილით, ნებაყოფლობით გადაწყვიტოს მიმართის შესაბამისი ჩანართელობის დაცვის ორგანოს მკურნალობისათვის, თუკი მას იმთავითვე სისხლისსმართლებრივი პასუხისმგებლობა ემუქრება.

დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა რომ სხვადასხვა დარგის მეცნიერთა თანამშრომ-

ლობა, რომლის ნაყოფიც არის განსახილველი მონოგრაფია მისაბამ მაგლითად უნდა მივიჩნიოთ.

გამოვიდა იურიდიული ფაკულტეტის მე-5 კურსის წარჩინებული სტდენტი მ. ფუხაშვილი. ავტორთა კოლექტივის მერ შესრულებული ეს ნაშრომი თქვა მან. არის ტოქსიკომანის კომპლექსური კვლევის პირველი, მეტად სერიოზული ცდა და შესანიშნავი შენაძენია როგორც სპეციალისტებისათვის, ისე მკითხველთა ფართო წრისათვის, ნაშრომი უხათოდ ბიძგს მისცემს ამ პრობლემების მთელი რიგი საკითხების უფრო გაღრმავებულ კვლევას.


ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფსიქიატრიული და ნარკოლოგიური დახმარების განყოფილების გამგემ ო. აბაშიძემ აღნიშნა, რომ ნაშრომში ურთულესი, დღისისათვის ყველაზე საჭიროებო პრობლემება განხილული. მას სერიოზულ მკვლევართა ხელი ატყვია. წიგნის ავტორებმა კომპლექსურად შეისწავლეს პრობლემის თითქმის ყველა ძირითადი საკითხი და, რაც მთავარია, შეძლეს მათი გადმოცემა ფართო მკითხველისათვის გასაგები ენით.

შემდეგ ო. აბაშიძემ ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ წარმოებს ამჟამად რესპუბლიკაში ნარკომანთა მკურნალობა, რა ღონისძიებებს ახორციელებენ ამ მხრივ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები, რომლებიც თვითონ პრაქტიკულ საქმიანობაში ფართოდ იყენებენ მონოგრაფიის ავტორთა რეკომენდაციებს.

რესპუბლიკური ნარკოლოგიური კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი ა. გმურელიძე თავის გამოხვლაში შეეხო ნაშრომის სამედიცინო ასპექტებს. მისი აზრით. გამოკვლევა დიდ სამსახურს გაუწევს როგორც ექიმ ნარკოლოგებს, ისე მედიცინის სხვა დარგის მუშაკებს.

დასასრულ გამოვიდნენ ნაშრომის ავტორები ა. ზურაბაშვილი, ა. გაბიანი და ბ. ნანიშვილი. მათ ილაპარაკეს მომავალი ერთობლივი მეცნიერული კვლევის გეგმებზე, პასუხი გსცევს შემოსულ შეკითხვებს და მაღლობა გადაუხადეს როგორც ნაშრომის საჯარო განხილვის ორგანიზატორებს, ისე დამსწრე საზოგადოებას წიგნის განხილვაში აქტიური მონაწილეობისათვის.





# ცნობები ავტორთა შესახებ

**ოთარ ევბინის ძე ჩერქაზია** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, არაერთ ნაშრომის ავტორი, პირველად გამოდის ჩვენი უურნალის ფურცლებზე.

**ჯამალ რაფიელის ძე კუხალაშვილი** — საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი, პირველად იბეჭდება ჩვენს უურნალში.

**ვლადიმერ ივანის ძე მანისუბაძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი სახელმწიფო არბიტრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ზ წიგნის, ბროშურის და მრავალი შრომის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს უურნალში.

**ლაონიდ ნიხილის ძე სასვარალიძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი, პირველად იბეჭდება ჩვენს უურნალში.

**ოთარ სერგოს ძე ხაზარაძე** — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, 30 შრომის ავტორი, პირველად იბეჭდება ჩვენს უურნალში.

**ვარლენ ლეშანის ძე სიმონიშვილი** — საქართველოს სსრ პროკურატურის პროკურორ-კრიმინალისტი, მეორედ იბეჭდება ჩვენს უურნალში.

**ელგუჯა ლეშანის ძე ჰასრაძე** — გორის რაიონის სახალხო მოსამართლე, პირველად იბეჭდება ჩვენს უურნალში.

**ბაბაი მინონის ძე ლეზბარაშვილი** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 10 შრომის, 1 წიგნის და 1 ბროშურის ავტორი.

**ბიძინა ვარლამის ძე ხაზარაძე** — ქ. რუსთავის სახალხო მოსამართლე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 20 შრომის, 2 მონოგრაფიის და ერთი ბროშურის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს „საბჭოთა სამართალში“.

**აშთანდილ სერგოს ძე ხაზარაძე** — ოდესის ი. მეჩნიკოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასპირანტი, მეორედ გამოდის ჩვენი უურნალის ფურცლებზე.

**თენგიზ ნიკოლოზის ძე აბლაძე** — სსრ კავშირის 60 წლისთავის სახელობის კერამიკის კომბინატის დირექტორი, პირველად იბეჭდება ჩვენს უურნალში.

**ლილი ზაქარაიას ასული მანისუბაძე** — უურნალისტი, საქართველოს რადიოს პროპაგანდის მთავარი რედაქციის რედაქტორი.

**ოთარ ივანის ძე ხუციშვილი** — თელავის რაიონული გაზეთის რედაქტორი, პირველად იბეჭდება უურნალ „საბჭოთა სამართალში“.



მეღე 25 წელი შესრულდება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების შექმნიდან, რომლებსაც პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით საგრძნობი წვლილი შეაქვთ ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში.

გარეკანის პირველ გვერდზე აღბეჭდილი არიან მოწინავე სახალხო რაზმელები თბილისის კერამიკის კომბინატის ტექნიკური კონტროლის განყოფილების კონტროლიორი მანანა ელბაქიძე და სარემონტო ჯგუფის ბრიგადირი თამაზ მინდიაშვილი.

მასალა კერამიკის კომბინატის საქმიანობის შესახებ იხილეთ უურნალის ამავე ნომერში (გვ. 61).  
სლაიდი ზ. სეირბანიანი.

«САВЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 6, 1983 (на грузинском языке). Двухмесячный, научно-практический журнал Миннстерства юстиции ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плевахова, 103, тел. 95-58-87, 95-88-49.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



6130/35



ფასი 60 კპვ.

ინდექსი 76185